პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 იანვარი ოთხშაბათი 2013 №011 (13 927) ფასი 80 თეთრი

# ქეცბაია საფრანგეთამდე კიდევ ერთ საპარინგზე ოცნებობს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



2

# სატრანსფერო მითქმა-მოთქმა დინამოს გარშემო

შესაძლო ახალწვეულები: ტატანაშვილი, არზიანი, კვირკველია



## ნავა ლორია?

გიორგი, ჯერჯერობით, გუნდთან ერთად ვარჯიშობს

3

ფოტო: www.fcdinamo.ge

# საქართველო მეორედ პარკერის წინააღმდეგ




12

16 აგვისტო
საქართველო
VS
სერბეთი

17 აგვისტო
საქართველო
VS
საფრანგეთი

# ავსტრალიის ღია პირველობის ბებერი გმირი

42 წლის იაპონელმა მე-12 ჩოგანი ნადია პეტროვა 2 სეტში დაამარცხა!



კიმიკო დატე რეკორდსმენიც გახდა

16

# გვარდიოლა ბაიერნს მოურიგდა?

იტალიელებმა და ინგლისელებმა პეპი მიუნხენში დანიშნეს, ბაიერნი უარყოფს, თუმცა არის ერთი გარემოება...




8

## LFP-ის ვიცე-პრეზიდენტი: ესპანეთში თამაშებს ყიდიან!



ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის (LFP) ვიცე-პრეზიდენტი **ხავიერ ტებასი** ამბობს, რომ მატჩების ჩაწყობა ესპანეთის პრიმერა დივიზიონშიც ხდება. ჩინოვნიკი შიშობს, რომ ქვეყანა იტალიური „სკომესოპოლის" (2011 წლის მოვლენები იტალიურ ფეხბურთში) დარ სკანდალს ვერ გადაურჩება.

„პირადად ეჭვიც არ მეპარება, რომ თამაშები ლა ლიგაშიც იყიდება. ყველა დამნაშავე გამოსააშკარავებელია, მაგრამ ჯერჯერობით დამამტკიცებელი საბუთები არ გვაქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენც იტალიის მსგავსი სკანდალი გველის", - უთხრა ტებასმა რადიო „ონდა სეროს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიას საფრანგეთამდე სპარინგი სურს

## ნაკრები ალბანეთში შეიკრიბება

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2013 წლის საფეხბურთო სეზონს 6 თებერვალს ალბანეთში ამხანაგური მატჩით გახსნის. 22 მარტს კი პარიზში "სტად დე ფრანსზე" საფრანგეთს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში დაუპირისპირდება.

როგორც გავარკვიეთ, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს **თემურ ქეცბაიას** ამხანაგური შეხვედრის გამართვა პარიზულ დაპირისპირებამდეც სურს.

*"ალბანეთთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მაგრამ ფრანგებთან შეხვედრამდე კიდევ ერთი ამხანაგური თამაშის გამართვა გვსურს, ნაკრები უფრო რომ შეთამაშდეს. ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკება წამოიწყო, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით, ვის შევხვდებით. ჩვენ არ ვართ ისეთი რეიტინგის მქონე ქვეყანა, რომელიც მეტოქეს იოლად დაითანხმებს. ვნახოთ, იმედია, საინტერესო სპარინგს მაინც გამოვძებნით."* – თქვა "ლელოსთან" ქეცბაიამ.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ალბანეთთან შეხვედრისთვის, „ჯვაროსნები" თემურ ქეცბაიასთან ერთად 4 თებერვალს ტირანაში შეიკრიბებიან. ეროვნული გუნდის თავკაცი ნაკრებში გამოძახებულთა სიას კი მოგვიანებით გამოაცხადებს.

6 თებერვლის მატჩი ტირანას „ქემალ სტაფაზე" გაიმართება. მაგრამ მატჩის დაწყების დროზე ქართული და ალბანური მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ 22 მარტს საფრანგეთი—საქართველოს მატჩი ადგილობრივი დროით 21 საათზე დაიწყება. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფრანგულმა მხარემ ოფიციალური შეტყობინება გამოუგზავნა.

**მერაბ მამულაშვილი**



თემურ ქეცბაია

ფეარ პლეის რეიტინგი

# საქართველო 35-ეა

ევროტურნირებზე მოსახვედრად საშინაო არენაზე წარმატების გარდა, კიდევ ერთი გზა არსებობს – ამისთვის მაღალი პოზიცია უნდა გეკავოს უეფას სამართლიანი თამაშის, ანუ ფეარ პლეის რეიტინგში. აღნიშნული რეიტინგი ევროტურნირების მატჩების მიხედვით დგება და მაღალ საფეხურებს ის ქვეყნები იკავებენ, რომელთა კლუბებიც სხვებთან შედარებით ნაკლებ ყვითელ და წითელ ბარათებს იღებენ, რომელთა ფეხბურთელებიც კარგი ქცევითა და მეტოქისა და გულშემატკივრის პატივისცემით გამოირჩევიან.

სამ საუკეთესო ქვეყანას უეფა ევროპის ლიგის დამატებით საგზურს აძლევს, რაც ფეარ პლეის რეიტინგში წარმატებისთვის არცთუ ურიგო მოტივაციაა. ამ რეიტინგში, როგორც წესი, სკანდინავიელები გამოირჩევიან და ასეთი სურათია ბოლო მონაცემებშიც: ზედა სამ ადგილს ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი ინაწილებენ.

ამ რეიტინგში საქართველო გამორჩეული არასდროს ყოფილა და ამჯერადაც მოკრძალებულ, 35-ე ადგილზე იმყოფება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

# საქართველოს ნაკრები მუნდიალის შესარჩევში

გაზაფხულიდან საქართველოს ქალთა ასაკობრივი ნაკრებები საერთაშორისო ტურნირებში ჩაერთვებიან. 4-9 აპრილს ჩვენი ეროვნული ნაკრები ლიტვაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე იასპარეზებს, სადაც მასპინძელთა გარდა, მისი მეტოქეები ფარერები და ჩერნოგორია იქნებიან. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ივნისში საქმეში ჩვენი 17-წლამდელი გოგონები ჩაერთვებიან. ისინი ესტონეთის ოთხგუნდიან საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. სექტემბერში კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. ჩვენი გუნდი 21-26 სექტემბერს მაკედონიაში მასპინძლებს, შოტლანდიელებსა და რუმინელებს დაუპირისპირდება. მომდევნო რაუნდში ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გავა.

ცნობისთვის, საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებს ფიფას ოფიციალურ რეიტინგში 131-ე ადგილი უკავია, რეიტინგის საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. აშშ
2. გერმანია
3. იაპონია
4. ბრაზილია
5. საფრანგეთი
6. შვედეთი
7. კანადა
8. ინგლისი
9. ავსტრალია
10. ჩრდილოეთ კორეა

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი



# გაძლიერების მოლოდინში

"ზესტაფონი" სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს განაგრძობს. ფეროელთა მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** გუნდი ძველით ახალი წლისთვის დაასვენა, გუშინდელი დღიდან კი საწვრთნელი პროცესი განახლდა.

უკვე გითხარით, რომ კაჭარავამ ფეხბურთელებს თავისი ასისტენტი **კახა გოგიჩაიშვილი** წარუდგინა. ამ სამწვრთნელო დუეტის ხელმძღვანელობით საქართველოს მოქმედი ჩემპიონი დღეში ორჯერ ვარჯიშობს. საქმეში აქტიურად არის ჩართული "ზესტაფონის" სერბი ფიზმომზადების მწვრთნელი **ივან ვუჩეტიჩი**. რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებსაც ტრავმები ბოლომდე ჯერ არ მოშუშებია, სატრენაჟორო დარბაზში მისი მეთვალყურეობის ქვეშ ემზადება.

"ზესტაფონი" მზადების დასკვნით ეტაპს თურქეთში გამართავს და სწორედ იქაური შეკრება გაარკვევს იმ შემადგენლობას, რომელსაც გუნდის სამწვრთნელო შტაბი ჩემპიონატის მეორე ეტაპსა და თასის გათამაშებაში დაეყრდნობა. ფეროელთა რიგებში ახალწვეულებს უნდა ველოდოთ. დიდია ალბათობა, რომ ქართველების გარდა, "ზესტაფონში" ახალი ლეგიონერებიც ვიხილოთ.

შეგახსენებთ, დღეისთვის ზემოიმერლებს ორი უცხოელი ჰყავთ – კოტდივუარელი **ბოტი გოა დემელი** და სერბი **იგორ ილიჩი**. კლუბი დატოვა გერმანელმა **პატრიკ მილხრაუმმა**.

ჯერ უცნობია, დარჩება თუ არა "ზესტაფონში" ცენტრალური მცველი **მამუკა კობახიძე**. მას კარიერის ვლადიკავკაზის "ალანიაში" გაგრძელების შანსი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# *ილია კოკაია:* ახალგაზრდების თამაში კლუბების ინტერესებშია

**"ლელო" უკვე წერდა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა, ანუ "12-თა საბჭოს" სხდომაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ კლუბებს ახალი წინადადება გააცნო, რომელიც ნაკრების მწვრთნელთა საბჭოზე შეიმუშავეს. ამ ინიციატივის მიხედვით, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის 18-კაციან განაცხადში უნდა იყოს 21 წლამდელი 2 ფეხბურთელი, რათა გაიზარდონ და მეტი სათამაშო გამოცდილება მიიღონ.**

**თავის მხრივ, კლუბებმა ფედერაციას საპასუხო წინადადებით მიმართეს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბები, პირველ სამ დამატებულ ლეგიონერზე სავალდებულო შესატანს (15 ათას ლარს) აღარ გადაიხდიან. სამს ზემოთ, ყოველ ახალ ლეგიონერზე გადასახადის გადახდა კვლავ მოუწევთ. ეს შეღავათი არ გავრცელდება ჩემპიონატის პირველ და ქვედა ლიგებზე. ფედერაციამ წინადადება მიიღო და ის ძალაში შევა, თუ სფფ-ის აღმასკომი დაამტკიცებს.**

**ამ საკითხებზე კომენტარი "ზესტაფონის" პრეზიდენტს, ილია კოკაიას ჩამოვართვით:**

- ლეგიონერებთან დაკავშირებული ინიციატივა კლუბებისგან მოდის და მიმაჩნია, რომ ეს ქართული კლუბებისთვის კარგი ნაბიჯი იყო.

**- ინიციატივა რამ განაპირობა?**

- ელემენტარულად იმ სურვილმა, რომ ბიუჯეტიდან ზედმეტი ხარჯები არ გაგვეღო. ფედერაციის პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია, რომ ჩემპიონატში დაბალი დონის ლეგიონერების შემოდინება არ სურთ. ისედაც გასაგებია, რომ დაბალი დონის ლეგიონერის მოწვევა გაუმართლებელია და მათში ფულს თავად კლუბები არ გადაიხდიდნენ.

ბევრი ვიმსჯელეთ და საბოლოოდ, ფედერაცია ამ შეღავათზე დაგვეთანხმდა. გადაწყდა, რომ ეს ცვლილება ექსპერიმენტის სახით, ერთი წელი იმოქმედებს. დავაკვირდებით, რა შედეგებს მივიღებთ და თუ არ გაამართლებს, არც მისი გაუქმება იქნება პრობლემა.

**- თემურ ქეცბაიასა და ნაკრების მწვრთნელთა ინიციატივაზე რას გვეტყვით?**

- როცა ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ქართული ფეხბურთი უნდა განვავითაროთ, ნაკრებების მწვრთნელთა საბჭოს წევრთა აზრით აუცილებლად უნდა დავინტერესდეთ. საინტერესოა, რას ფიქრობს ეს ხალხი და როგორ წარმოუდგენიათ ჩვენ წინაშე არსებული უამრავი პრობლემის მოგვარება. თუ მათ არ მოვუსმინეთ, არაფერი გამოვა.

გასაგებია, რომ ყველა კლუბს საკუთარი ინტერესი გააჩნია, მაგრამ გავითვალისწინოთ ქართული ფეხბურთის პრობლემაზე გამოსავალი ერთად უნდა ვიპოვოთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ ქეცბაიასა და მწვრთნელთა ინიციატივა კლუბებისთვისაც მისაღებია. ამის შესახებ ჩვენს მწვრთნელებს დაველაპარაკები და ვფიქრობ, თანხმობასაც მივიღებთ.



ილია კოკაია

**- თქვენ ხომ ისედაც განზრახული გქონდათ "ზესტაფონის" გაახალგაზრდავება.**

- ცხადია, ძირითად შემადგენლობაში ადგილს ასაკით ვერავის დავუჯავშნავთ და ვერც ახალ ფეხბურთელს მოვიგონებთ. მაგრამ ჩვენ მართლაც ვცდილობთ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები დავაწინაუროთ და თავის გამოჩენის შანსი მივცეთ. "ზესტაფონის" განვითარება სწორედ მათ გაზრდაზეა დამოკიდებული.

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი

# ახალი დირექტორი და ოპტიმისტური ფონი

"ზუგდიდმა" ჩემპიონატის პირველი ეტაპი ძალიან უსიამოვნო ვითარებაში დაასრულა. გეხსომებათ, რომ კუთვნილი ანაზღაურების მიუღებლობის გამო ფეხბურთელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ღია წერილი მისწერეს და რუსთავის "მეტალურგთან" თამაშზე უარი თქვეს. პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩი ზუგდიდელებმა რუსთავში დუბლშემადგენლობით ჩაატარეს.

ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ დავალიანების ნაწილი გაისტუმრა, რამაც "ზუგდიდის" გულშემატკივრებს წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნების იმედი გაუჩინა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს დღეებში.

ჯერ დაზუსტებით არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ სეზონის მეორე ნახევარს "ზუგდიდი" წელგამართული შეხვდება, თუმცა სრულიად შესაძლებელია, მალე კლუბი ფინანსურმა და სხვა სახის პრობლემებმა არ შეაწუხოს.

როგორც შევიტყვეთ, ცვლილებებია კლუბის ხელმძღვანელობაში. "ზუგდიდის" ახალ დირექტორად **მალხაზ ჭეჟია** დაინიშნა, რომელიც ყოფილი ფეხბურთელია და ბოლო წლებში ბალტიისპირეთში მოღვაწეობდა. მას დიდი სურვილი აქვს, "ზუგდიდი" პროგრესის გზაზე დააყენოს, თუმცა კლუბი, სავარაუდოდ, კვლავ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეცვალა ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და უახლოეს მომავალში გამოჩნდება, დადებითად წაადგება თუ უარყოფითად იმოქმედებს "ზუგდიდზე" საპარლამენტო არჩევნების შედეგები.

ჯერჯერობით, მეგრული კლუბის ბანაკიდან მეტი სიახლე არ არის. შევეცდებით, "ლელოს" ხვალინდელ ნომერში "ზუგდიდში" მიმდინარე ამბების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდოთ და კლუბის ახალი ხელმძღვანელის აზრებიც მოვისმინოთ.

ჩემპიონატის პირველი ეტაპი "ზუგდიდმა" 35 ქულით მეექვსე ადგილზე დაასრულა, რითაც პროგრამა-მინიმუმი – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უკვე შეასრულა. გუნდი გასულია საქართველოს თასის მერვედფინალში, სადაც ბოლნისის "სიონს" დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ლაგოდეხის საფეხბურთო კლუბ "ჰერეთის" ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშის და კლუბ "ლაგოდეხის" მთავარი მწვრთნელის**

**ზურაბ ფოფხაძის**

**გარდაცვალების გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# სად არის არგუმენტები?



ლევან ყენია

ინიციატივა ზოგადად კარგი რამეა, ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანი ფიქრობს და აქტიურობს. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაიაც** ინიციატივით გამოვიდა: უმაღლესი ლიგის გუნდებმა სამატჩო განაცხადში მინიმუმ ორი 21-წლამდე ფეხბურთელი შეიყვანონო.

იდეა ნოვაციურია, მაგრამ რისი მომტანი იქნება ეს და რამდენად არის იმის შანსი, რომ ნაკრების მწვრთნელის ინიციატივას კლუბებმა მხარი დაუჭირონ?

იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, რომლებიც პირველი გუნდის სამატჩო განაცხადში ვერ ხვდებიან, არსებობს დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატი. „დინამო თბილისს" დუბლების ჩემპიონატის გარდა სულაც პირველ ლიგაში ჰყავს გუნდი.

ორი 21-წლამდე ფეხბურთელის განაცხადში ყოფნის დაკანონება - ეს არის ხელოვნური გზა გუნდის გაახალგაზრდავებისთვის და რატომ უნდა იყოს ის ეფექტური?

როცა მწვრთნელი გაახალგაზრდავებაზე ჩამოაგდებს სიტყვას, ზოგს ექმნება იმის ილუზია, რომ ეს მწვრთნელი წინდახედული და პროგრესულია. ცხადია, ნებისმიერ გუნდს სჭირდება ახალი სისხლი და გაახალგაზრდავება, მაგრამ ხელოვნური მეთოდები რამდენად კარგი იქნება, ამის არგუმენტებით დასაბუთება ძალიან ძნელია.

დავიწყოთ იმით, რომ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და ასაკობრივი ლიმიტები არ უყვარს. ვილაცამ რომ თქვას, საქართველოს ბევრი კარგი მწვრთნელი არ ჰყავს და უმაღლესი ლიგის კლუბებს დავუწესოთ, პირველ გუნდში ერთი მწვრთნელი მაინც ჰყავდეს 41-წლამდეო, ნორმალური იქნება?

ქეცბაიას აზრით, მისი ინიციატივის გაზიარებით ის ნეგატიური ტენდენციაც შემცირდება, 18-19 წლის ფეხბურთელებს უცხოეთში რომ არბენინებენ.

ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ არის ნეგატიური მოვლენა, თუ 18-19 წლის ფეხბურთელი მოხვდება უკეთეს ქვეყანაში, უკეთეს გუნდში, უკეთეს მწვრთნელთან და ივარჯიშებს და ითამაშებს უკეთეს მოედნებზე?

**შოთა და არჩილ არველაძეები** 19 წლისანი წავიდნენ თურქეთში, **კახა კალაძეც** მაგ ასაკში მივიდა კიევის „დინამოში", 19 წლის **გიორგი ქინქლაძე** მეორე ბუნდესლიგის „სააბრიუკენში" წავიდა, **ლევან ყენია** სულაც 17 წლის იყო, „შალკეში" რომ გადავიდა...

ეს ნიჭიერი ფეხბურთელები ქართული გუნდების ძირითად შემადგენლობაში რომ თამაშობდნენ, მაშინ არანაირი ასაკობრივი ცენზი არ არსებობდა, ანუ მათ არ დახმარებიათ კანონი ორი 21-წლამდე ფეხბურთელი განაცხადში ყოფნას რომ ითვალისწინებს. ახლა წარმოიდგინეთ, ეს ფეხბურთელები დროულად რომ არ გასცლოდნენ საქართველოს ჩემპიონატს, მათ რაიმე პროგრესი ექნებოდათ?

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი ინდივიდია და ასეა სპორტშიც. ზოგისთვის ჯობს, ადრევე მიაშუროს უცხოეთს, ზოგისთვის კი კარგია, რომ ჯერ საქართველოს ჩემპიონატში ითამაშოს წლობით და მერე წავიდეს საზღვარგარეთ.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. ეროვნული ნაკრების ხელოვნურად გაახალგაზრდავება ჯერ **ვლადიმერ გუცაევმა** სცადა, შემდეგ **გაიოზ დარსაძემ,** მერე ქეცბაიამ - რომელი გამოდგა წარმატებული?

ცხადია, კლუბი სულ სხვა სპეციფიკაა, აქ მართლაც შესაძლებელია მიზანმიმართული მუშაობა გაახალგაზრდავებაზე, მაგრამ მხოლოდ ასაკის გამო ერთ ფეხბურთელს მეორესთან ჰქონდეს უპირატესობა, ეს რატომ უნდა იყოს გამართლებული? რატომ უნდა დაიკავოს 20 წლის ფეხბურთელმა 22 წლის ფეხბურთელის ადგილი, თუ უფროსს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის?

ქართულ კლუბებს პრობლემები არ აკლია, ზოგს ელემენტარული ინფრასტრუქტურა არ გააჩნია, - იმ სტადიონზე, სადაც საშინაო მატჩებს მართავს, გულშემატკივრისთვის საპირფარეშო არ აქვს და ზოგს თუ აქვს, ისეთი, რომ აირწინაღის გარეშე ვერ შეხვალ.

ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ღარიბ კლუბებშიც გამოჩენილან, მაგრამ ეს ადრე ხდებოდა, დღეს ეს დიდი იშვიათობაა და თუ რომელიმე ასეთ გუნდს ტალანტი გამოუჩნდება, მას კი არ დამალავს, არამედ ყველანაირად ეცდება, რომ ათამაშოს, შეძლებულ კლუბებს მოაწონოს და ეს თქვენი ასაკობრივი ცენზი სულაც არ სჭირდება.

მოწინავე ქართული გუნდები კი ევროსარბიელზე გასასვლელად იბრძვიან და შედეგი მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, „დინამო" და „ზესტაფონი" ლეგიონერებზეც არის ორიენტირებული...

ქეცბაიას იდეა რეალობაში ჩაკარგული ჩანს.

**დავით თავართქილაძე**

კოლხეთი

## თემურ ბარქაია:

# ფაზისის საკითხი მალე გაირკვევა

ფოთის "კოლხეთი", ისევე როგორც ბოლო 15 წლის განმავლობაში, კვლავ გაურკვევლობაშია. სავარაუდოდ, წინა სეზონის მსგავსად, გუნდს კვლავ წვალება მოუწევს და შესაძლოა, მეორე წრეშიც ნეიტრალურ მოედანზე ითამაშოს.

საქმე ისაა, რომ ფოთში შარშან "ფაზისის" სტადიონის განახლება დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციამ მოედნის საფარი დააგო, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტრიბუნების სრულად განახლება დროულად ვერ მოასწრო, სამუშაოები ჯერ მხოლოდ აღმოსავლეთ ტრიბუნის ნაწილზე დასრულდა, ახლა კი მუშაობა შეჩერებულია.

ეს საკითხი ახლა აქტუალური გახდა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში "12-თა საბჭოს" სხდომა სტადიონების ლიცენზირების თემით გაიხსნა. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, უეფამ მოთხოვნები გაამკაცრა, რაზეც კლუბებს ადრე აუწყეს, მაგრამ სფფ-ის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რამდენიმე კლუბს სტადიონების ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ მოუწესრიგებიათ. **ზვიად სიჭინავას** განცხადებით, რამდენიმე გუნდი თუ პრობლემებს ჩემპიონატის განახლებამდე არ მოაგვარებს, საკუთარი სტადიონის ნაცვლად, თამაში ნეიტრალურ მოედანზე მოუწევს.

რა მდგომარეობა ამჟამად "ფაზისზე"? ამ კითხვით "კოლხეთის" ხელმძღვანელს, **თემურ ბარქაიას** მივმართეთ: *"ადგილობრივ ხელისუფლებას სტადიონი უნდა განეახლებინა. სამუშაოები დაიწყო, მაგრამ შემდეგ შეჩერდა. ეს ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია, რადგან გაურკვეველი იყო, ვინ იქნებოდა ფოთის მმართველი. დღეისათვის, ფედერაციის მოთხოვნის შემდეგ, საკითხი კვლავ აქტუალური გახდა და ახალი ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯების იმედი გვაქვს. უახლოეს დღეებში ფოთის ახალ მმართველებს შევხვდებით და გავარკვევთ, რა და როგორ დაიგეგმება. ეს პრობლემა რომ მოსაგვარებელია, ორი აზრი არ არსებობს. სანამ სტადიონი განახლდება, ვერ გეტყვით, სად ვითამაშებთ. მოედანი ძალიან კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ გასაკეთებელია გასახდელები და ლოჟა. იმედი მაქვს, რომ სეზონის დაწყებამდე ეს პრობლემები მოგვარდება. ფოთის ახალ მერს ჯერ არ შევხვედრივართ. მაგრამ "კოლხეთი" მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება, კლუბის მეპატრონე კი ქალაქ ფოთის მერიაა და იმედია, პრობლემა მალე მოგვარდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი



გიორგი ლორია

# რა ცვლილებებია თბილისის დინამოში?

## ლორია დღემდე კლუბშია, არზიანი გაოცებულია

ბოლო დროს უამრავი ინფორმაცია ვრცელდება თბილისის "დინამოს" შესაძლო ახალწვეულებსა და გუნდიდან წამსვლელებზე.

ჯერ ქართველებზე ვთქვათ: ერთ-ერთი ვერსიით, კლუბს რუსთავის "მეტალურგის" თავდამსხმელის **დიმიტრი ტატანაშვილის**, აგრეთვე, გორის „დილას" ფეხბურთელების **ზურაბ არზიანისა** და **დავით კვირკველიას** დაბრუნება სურს.

ამავე დროს, ამტკიცებდნენ, რომ "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების 26 წლის მეკარე **გიორგი ლორიას** ხაბაროვსკის "სკა-ენერგიასა" და დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" იწვევენ.

მათ გარდა, უცხოელებზეც ვრცელდებოდა ინფორმაცია: თითქოს, „დინამო" ლორიას სავარაუდო შემცვლელად 27 წლის ბელგიელ **გლენ ვერბაუდს** განიხილავს, რომელიც ბოლოს "ვესტერლოში" გამოდიოდა; იმატებენ 29 წლის სლოვაკ შემტევ ნახევარმცველს, **პეტერ გრაიციარს**, რომელიც პრაღის „სპარტას" ღირსებას იცავდა; თითქოს, გადაწყვეტილია 24 წლის გამბიელი ფორვარდის **ოუსმან ჯალუს** გადმოსვლაც, რომელიც ბოლოს თურქეთის პირველი ლიგის „ჩეიქურ რიზესპორში" გამოდიოდა.

მოკლედ, "დინამოში" საკადრო რევოლუცია "მოეწყო", რაზეც კომენტარისთვის თბილისური კლუბის წარმომადგენელს დავუკავშირდით. თუმცა, მან გვითხრა, ახლა იმდენი ჭორ-მართალი ვრცელდება, ყველაფერზე სერიოზულად ვერ ვილაპარაკებთო. ცხადია, ეს გვარები შემთხვევით არ დასახელებულა, საფუძველი არსებობს, მაგრამ სხვა საკითხია, დასახელებული მოთამაშეები კლუბში მართლა ჩაირიცხებიან თუ მხოლოდ მენეჯერთა შეთავაზებებია. თუმცა, ერთი ის ვიცით, რომ ზურაბ არზიანი გავრცელებული ხმებით გაოცებულია და მას კატეგორიულად უარყოფს. ის გორის "დილაშია" და ჯერჯერობით, სეზონისთვის ამ კლუბში მოემზადება.

მხოლოდ ის დაგვიდასტურეს, რომ "დინამომ" დაიმატა **გიორგი შაშიაშვილი** (გორის "დილა"), **ლაშა შინდაგორიძე** ("ზესტაფონი") და **ნიკა დიასამიძე** (ბათუმის "დინამო"), ხოლო კლუბი **ალბერტ იაგუემ** და **გოგიტა გოგუამ** დატოვეს.

გიორგი ლორიამ კი სამედიცინო შემოწმება "დინამოში" გაიარა და ჯერჯერობით, თბილისურ კლუბში ვარჯიშობს. თუმცა, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კარიერას მართლაც რომელიმე ძლიერ ლიგაში გააგრძელებს. მარტო ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრამ საქართველოს ნაკრების მეკარის იმიჯი ისე გაზარდა, წარმოუდგენელიც იქნება და გაუმართლებელიც, კვლავ საქართველოში რომ ითამაშოს - მას ბევრად უკეთესი სარბიელი შეეფერება.

თბილისში ლეგიონერები ჯერ არ ჩამოსულან, მაგრამ მათ შვებულება მალე დაუსრულდებათ და "დინამოს" უახლოეს პერიოდში შეუერთდებიან.

სეზონის განახლებამდე კი თვენახევარი არის დარჩენილი და "დინამოში" ცვლილებები გამორიცხული ნამდვილად არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო (ბთ)

# ვარჯიშით და ტრანსფერებით



გია გურული

სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას შეუდგა ბათუმის „დინამო". **გია გურულის** გაწვრთნილი გუნდი აჭარის დედაქალაქში, ანგისას მოედანზე ვარჯიშობს, 21 იანვრიდან კი ორკვირიან შეკრებაზე გადავა ქობულეთში. ამის შემდეგ ბათუმის "დინამოს" კიდევ ერთი შეკრების სურვილი აქვს - წავა თუ არა გუნდი თურქეთში, ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

ბათუმის "დინამოდან" ჯერ მხოლოდ ერთი ფეხბურთელია წასული: 18 წლის **ნიკა დიასამიძე** „დინამო თბილისში" გადავიდა. ბათუმელთა გუნდში ისიც გვითხრეს, რომ ეს ტრანსფერი სხვა ვალდებულებასაც მოიცავს: **დუშან უჰრინის** „დინამოდან" აჭარაში ორი ფეხბურთელი უნდა გაუშვან განათხოვრებით.

დიასამიძე უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, სხარტი და ტექნიკური, შეუძლია არაორდინრული გადაწყვეტილების მიღება, შემტევია და არაერთ პოზიციაზე ეხერხება თამაში.

ჯერ უცნობია, თუ რომელ ფეხბურთელებს გაუშვებს „დინამო თბილისი" ბათუმურ კლუბში.

ბათუმის "დინამოში" უკვე მივიდა ორი ახალი მოთამაშე: 30 წლის მცველი **გიგა ჟვანია** მარტვილის „მერანიდან" და 23 წლის მცველი **ჯემალ გაბუნია** ფოთის „კოლხეთიდან". გია გურულის გუნდი კიდევ ელის რამდენიმე ახალ ფეხბურთელს.

**დავით თავართქილაძე**

DINAMO TBILISI
1925

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი / ეტაპის შეჯამება

მეტალურგი (რუსთავი). ადგილი VII

# მთავარი მოულოდნელობა



გიორგი ყიფიანი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

პირველი ეტაპის ყველაზე დიდი მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, „მეტალურგის" წარუმატებლობაა - ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული და სტაბილური გუნდი პირველ ექვსეულში ვერ მოხვდა! არადა „მეტალურგი" (იგივე „ოლიმპი") უმაღლეს ლიგაში მეშვიდე სეზონს ატარებს და ერთადერთი გამონაკლისის გარდა (როცა გუნდმა IV ადგილი დაიკავა), მუდამ საპრიზო სამეულში „ტრიალებდა". რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდი გაზაფხულზე თავისთვის მართლაც შეუფერებელ, ქვედა ექვსეულში გააგრძელებს ბრძოლას და „დინამოს", „ზესტაფონის", „დილასა" თუ „ტორპედოს" ნაცვლად, ბევრად მოკრძალებული ამბიციის მქონე მეტოქეებთან მოუწევს დაპირისპირება. „მეტალურგის" წარუმატებელ ასპარეზობას, რაღა თქმა უნდა, არაერთი მიზეზი აქვს (სუბიექტურიც, ობიექტურიც), თუმცა, ეს ყველაფერი ჩვენზე უკეთ, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელებს მოეხსენებათ. ისე, ნებისმიერი გუნდის ასპარეზობა თავის გულშემატკივართა რაოდენობაზე რომ აისახება ხოლმე, ფაქტია და ამ მხრივ, არც „მეტალურგი" იყო გამონაკლისი - მიმდინარე სეზონში რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე უჩვეულოდ ცოტა მაყურებელი მოდიოდა. არადა, ზემოთაც ვახსენეთ, რომ 2006 წელს დაარსებული კლუბი მაშინვე მოწინავეთა შორის დამკვიდრდა და თითქმის ყოველწლიურად ევროტურნირებზეც მონაწილეობდა. სხვათა შორის, ჩემპიონატში წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, „მეტალურგს" მაინც დარჩა ევროტურნირების საგზურის მოპოვების შანსი, თუმცა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი მართლაც ბევრისთვის აუხსნელი ფაქტი თუ მოვლენა კიდევ ერთხელ გვინდა ვახსენოთ; ჰო, უცნაურზე მეტი იყო, როცა წინა სეზონში ლამის გაჩემპიონებულ გუნდს ესოდენ არასტაბილური სტარტი ჰქონდა მიმდინარე ჩემპიონატში. თავად განსაჯეთ: პირველ ეტაპზე „მეტალურგმა" მხოლოდ ერთხელ მოახერხა ზედიზედ ორი მატჩის მოგება! აღარაფერს ვამბობთ იმაზეც, რომ იმავე წინა სეზონისაგან განსხვავებით, „მეტალურგი" თითქმის უშანსოდ იყო ჩემპიონატის ფავორიტებთან დაპირისპირებაში: ერთადერთი, მხოლოდ „ზესტაფონთან" ჰქონდა დადებითი ბალანსი, თორემ „დინამოსთან", „დილასა" და „ტორპედოსთან" ჩატარებულ ყველა დაპირისპირებაში ისე დამარცხდნენ, ამ მეტოქეთა კარში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანეს!

...უცნაურია, მაგრამ ფაქტია: რაც „მეტალურგი" არსებობს, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ერთსა და იმავე მწვრთნელს სეზონი სრულად ჩაემთავრებინოს! გამონაკლისი არც მიმდინარე ჩემპიონატია: „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მარცხის მერე **კობა ჟორჟიკაშვილის** წინა სეზონის დამსახურება აღარავის ახსოვდა და ამ გამოცდილ სპეციალისტსაც კარისკენ მიუთითეს. მის ნაცვლად მოსულ ახალგაზრდა მწვრთნელ **გიორგი ყიფიანს** კი მართლაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუხდა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ აშკარად მოკლე სათადარიგოთა სკამის მქონე „მეტალურგმა" მთავარი ამოცანის შესრულება (პირველ ექვსეულში მოხვედრა) მაინც ვერ შეძლო.

### მეკარე

სეზონი გამოცდილმა მეკარემ, 32 წლის **გრიგოლ ბედიაშვილმა** დაიწყო, თუმცა პირველი ტურის მერე მისი ადგილი გუნდის ახალწვეულმა, 23 წლის **ივან ჰოსმანმა** დაიკავა. სამწუხაროდ, ტანმაღალი ხორვატი მეკარე არასტაბილურად თამაშობდა და პირველი წრის ბოლომდე „მეტალურგის" კარს გამოცდილი **ზურაბ ბათიაშვილი** იცავდა. 32 წლის ბათიაშვილი რუსთაველთა ძირითადი მეკარე გახდა და, ალბათ, ასე იქნება მეორე ეტაპზეც.

### დაცვა

ამ სეზონის დაწყების წინ „მეტალურგიდან" ორი წამყვანი მცველი წავიდა: **გივი კვარაცხელია** და **გიორგი სეთურიძე** (ორივე - „დინამოში"); ამის მიუხედავად, რუსთაველთა გუნდის უკანა ხაზი ერთობ გამოცდილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული: მარჯვენა მცველად უმეტეს შემთხვევაში, 27 წლის **ლაშა ჯაფარიძე** ასპარეზობდა, ცენტრში - 34 წლის **მიხეილ მახვილაძე** და ა31 წლის **ალექსანდრე ინწკირველი**; ხშირად უწევდათ თამაში უნივერსალ ფეხბურთელებს, 27 წლის **დენის დობროვოლსკისა** და 23 წლის **გიორგი გავაშელიშვილს**. თუმცა მეტ-ნაკლებად სტაბილურად პირველი ეტაპი „მეტალურგის" ახალწვეულმა, 24 წლის **ანზორ სუხიაშვილმა** ჩაატარა, რომელიც მარცხენა ფლანგზე უკონკურენტო გახლდათ.

### ნახევარდაცვა

წინა სეზონში სწორედ შუახაზი იყო „მეტალურგის" წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი საწინდარი, რასაც ამ ჩემპიონატზე ვერ ვიტყვით. შესაძლოა, ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: დისკვალიფიკაციისა თუ ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა „მეტალურგის" ერთ-ერთ ლიდერს, 27 წლის **რევაზ გეწაძეს**, რუსთაველი ქომაგები უფრო მეტს მოელოდნენ 24 წლის **ირაკლი მაისურაძისგან**, ისე როგორც 22 წლის **გიორგი თექთურმანიძისგან** (აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაისურაძეს ხშირად უცვლიდნენ ამპლუას). 24 წლის **ლუკა რაზმაძე**, 24 წლის **გიორგი მიქაბერიძე** და 24 წლის **გიორგი ქავთარაძე** „მეტალურგში" უკვე „სტაჟიან" წევრებად ითვლებიან, თუმცა წინა სეზონებში, ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ. პირველი ეტაპის ბოლო მატჩებში გიორგი ყიფიანი თამამად ენდობოდა 19 წლის **ივანე ხაბელაშვილს** და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ახალგაზრდა გარემარბს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

### თავდასხმა

პირველი ეტაპის ბოლო ტურამდე „მეტალურგს" 21 მატჩში მხოლოდ 16 გოლი ჰქონდა გატანილი, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი ვერაფერი შედეგია. არადა, უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის გოლიადორული თვისებებით დაჯილდოებული ისეთი ფორვარდებით, რუსთაველებს რომ ჰყავდათ: 29 წლის **დიმიტრი ტატანაშვილმა** და 22 წლის **ირაკლი სიხარულიძემ** 7-7 გოლი კი გაიტანეს, მაგრამ, ისეთი მატჩებიც გვახსოვს, უფრო შედეგიანად თამაში რომ მართებდათ.

### საუკეთესო მატჩი

ასეთად, უდავოდ, მეორე ტურის შეხვედრა უნდა მივიჩნიოთ, როდესაც „მეტალურგმა" სტუმრად შეძლო მოქმედი ჩემპიონის „ზესტაფონის" დამარცხება (1:0). თანაც, ეს ერთგვარი რევანშიც იყო წინა სეზონის პერიპეტიებისა: შეგახსენებეთ, რომ წინა სეზონის საჩემპიონო დავაში (კაბინეტში რომ გადაწყდა!) „ზესტაფონმა" აჯობა რუსთაველებს და თასის ნახევარფინალურ დაპირისპირებაშიც იმერლებმა იმარჯვეს. რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატში „მეტალურგს" 2 ან 3 გამორჩეული მატჩი არ ჩაუტარებია...

### ყველაზე ცუდი მატჩი

პირველი, რომელიც გვახსენდება, XX ტურის შეხვედრა იყო: „მეტალურგი" საკუთარ მოედანზე უშანსოდ დამარცხდა ქუთაისის „ტორპედოსთან" (0:4); იგივეს თქმა შეიძლება „ვიტ ჯორჯიასთან" ასევე საშინაო წაგებაზე და, რაღა თქმა უნდა, გადამწყვეტი მატჩი უნდა ვახსენოთ! ჰო, XX ტურის შეხვედრას ვიხსენებთ, როცა პირველი ეტაპის დასრულებამდე 3 ტურით ადრე „მეტალურგი" კვლავაც ინარჩუნებდა ზედა ექვსეულში მოხვედრას, მაგრამ არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე „ჩიხურას" დამარცხება მაინც ვერ შეძლო. ისე, რუსთაველებს რომ ამ შეხვედრაში გაემარჯვათ, არავინ იცის ბოლო ორ ტურში მოვლენები როგორ განვითარდებოდა და საერთოდაც, ზედა ექვსეული როგორ დაკომპლექტდებოდა...

### ლიდერი

წინა სეზონში „მეტალურგს" ერთდროულად რამდენიმე ლიდერი ჰყავდა (გივი კვარაცხელია, რევაზ გეწაძე, ირაკლი მაისურაძე, ლუკა რაზმაძე, დიმიტრი ტატანაშვილი), რასაც მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ნამდვილად ვერ ვიტყოდით.

### მიზანი

„მეტალურგის" ახალი თავკაცი გიორგი ყიფიანი ახალგაზრდა და ამბიციური სპეციალისტია და გვჯერა, რომ გუნდის თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად ყველაფერს გააკეთებს. „მეტალურგი" მალე უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება, რამდენიმე ახალწვეულსაც დაიმატებს და მეორე ეტაპსაც „სახეშეცვლილი" შეხვდება. გუნდის მთავარი მიზანი კი, რაღა თქმა უნდა, საქართველოს თასზე წარმატებული ასპარეზობაა - ევროტურნირებზე მოხვედრის ერთადერთი გზა ესღა რჩება. აი, რაც შეეხება ჩემპიონატს, აქ ყველაფერი გარკვეულია: „მეტალურგს" პირველ ლიგაში დაქვეითება არ ემუქრება და მეორე ეტაპის შეხვედრებსაც, ალბათ, სათასო მატჩებისათვის სამზადისად გამოიყენებს.

**გია ტუხაშვილი**

#### მეტალურგის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | მეტალურგი - დინამო (თბ) | 0:1 |
| II ტური | ზესტაფონი - მეტალურგი | 0:1 |
| III ტური | მეტალურგი - მერანი | 1:0 |
| IV ტური | მეტალურგი - ტორპედო | 0:4 |
| V ტური | დინამო (ბთ) - მეტალურგი | 0:2 |
| VI ტური | მეტალურგი - კოლხეთი | 2:1 |
| VII ტური | დილა - მეტალურგი | 3:0 |
| VIII ტური | მეტალურგი - ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| IX ტური | ჩიხურა - მეტალურგი | 1:0 |
| X ტური | მეტალურგი - სიონი | 1:0 |
| XI ტური | ზუგდიდი - მეტალურგი | 2:1 |
| XII ტური | დინამო (თბ) - მეტალურგი | 3:0 |
| XIII ტური | მეტალურგი - ზესტაფონი | 1:1 |
| XIV ტური | მერანი - მეტალურგი | 0:0 |
| XV ტური | ტორპედო - მეტალურგი | 1:0 |
| XVI ტური | მეტალურგი - დინამო (ბთ) | 2:1 |
| XVII ტური | კოლხეთი - მეტალურგი | 2:3 |
| XVIII ტური | მეტალურგი - დილა | 0:2 |
| XIX ტური | ვიტ ჯორჯია - მეტალურგი | 0:1 |
| XX ტური | მეტალურგი - ჩიხურა | 1:1 |
| XXI ტური | სიონი - მეტალურგი | 0:0 |
| XXII ტური | მეტალურგი - ზუგდიდი | 5:1 |

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი - 14, ივან ჰოსმანი - 7, გრიგოლ ბედიაშვილი - 1;

მცველები: ანზორ სუხიაშვილი - 21 (1), ალექსანდრე ინწკირველი - 19, ლაშა ჯაფარიძე - 19, მიხეილ მახვილაძე - 18, გიორგი გავაშელიშვილი - 12, თორნიკე კაკუშაძე - 1;

ნახევარმცველები: ირაკლი მაისურაძე - 21, ლუკა რაზმაძე - 20, გიორგი მიქაბერიძე - 20 (2), გიორგი ქავთარაძე - 18 (1), დენის დობროვოლსკი - 17 (1), რევაზ გეწაძე - 16 (1), გიორგი თექთურმანიძე - 15, ივანე ხაბელაშვილი - 9, გიორგი განუგრავა - 6, ზვიად ლობჟანიძე - 3, გიორგი გურეშიძე - 2, გიორგი ხიდეშელი - 1.

თავდამსხმელები: დიმიტრი ტატანაშვილი - 22 (7), ირაკლი სიხარულიძე - 20 (7), დავით ჯანელიძე - 6 (1).

მწვრთნელები: კობა ჟორჟიკაშვილი (I - VIII), გიორგი ყიფიანი (IX - XXII)



რევაზ გეწაძე (ბურთით) და ანზორ სუხიაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | ***მეტალურგი*** | ***22*** | ***9*** | ***4*** | ***9*** | ***21*** | ***26*** | ***31*** | ***11*** | ***5*** | ***2*** | ***4*** | ***13*** | ***14*** | ***17*** | ***11*** | ***4*** | ***2*** | ***5*** | ***8*** | ***12*** | ***14*** |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი



ლისანდრო ლოპესი

# მაროტა: ვარსკვლავებზე არ ვნადირობთ

## ლისანდრო ლოპესის შანსი

მას შემდეგ, რაც "იუვენტუსმა" სერია A-ს მიჯრით ორ შეხვედრაში დაკარგა ქულები, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ტურინულ გრანდში ექსტრაკლასის ფორვარდის გადაბირების საკითხი. ბოლო პერიოდში, აღარაფერი ისმის **დიდიე დროგბასა** და **ფერნანდო ლორენტეს** შესახებ - სამაგიეროდ, წინა პლანზე სხვა გვარებმა წამოიწია. კერძოდ, "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "ბებერი ქალბატონის" მესვეურები **ლისანდრო ლოპესით** დაინტერესდნენ და უახლოეს მომავალში წინადადებითაც მიმართავენ. 29 წლის არგენტინელი ბოლო სამი წელია "ლიონში" ასპარეზობს, იქამდე კი "პორტუს" ღირსებას იცავდა. ფრანგულ გუნდში ლისანდროს 102 მატჩი აქვს ჩატარებული და 54 გოლი გატანილი.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ტურინელები ლისანდროს სანაცვლოდ ფრანგებს 8 მილიონ ევროს შესთავაზებენ და შესაძლოა, ზედ ერთ-ერთი ახალგაზრდა თავდამსხმელიც მიაყოლონ, ოღონდ იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც დღეს განათხოვრებული ჰყავთ სხვადასხვა გუნდში. სატრანსფერო საკითხებზე პრესას ტურინული გრანდის სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** გაესაუბრა:

*"გაძლიერებას ნამდვილად ვაპირებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასტრონომიული თანხების დახარჯვა გვაქვს განზრახული. ხმაურიან ტრანსფერებს ნუ ელოდებით, რადგან დღეს ამის აუცილებლობა უბრალოდ არაა. შესაძლოა, ყველა რგოლში თითო მოთამაშეც კი გადავიბიროთ, მაგრამ ვარსკვლავებზე რომ არ ვნადირობთ, ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ. ფორვარდი? - კარგი თავდამსხმელი ნამდვილად არ გვაწყენდა, თუმცა უფრო მეტს ვერაფერს გეტყვით".*

რთული სათქმელია, რას გულისხმობს ბეპე მაროტა მეგა-ტრანსფერში და ვის - ვარსკვლავებში... ლისანდრო ლოპესი შესაძლოა ტოპ-ფორვარდთა კატეგორიას არ მიეკუთვნება და ვერც დიდიე დროგბას შევადარებთ, მაგრამ მისი ტურინში გადაბარგება რომ უხმაუროდ არ ჩაივლის, ესეც ფაქტია. ლისანდრო კარგი გამტანი თავდამსხმელია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვს. ვნახოთ, ყველა კითხვას უახლოეს დღეებში გაეცემა პასუხი.

ფედერკალჩო



ჯანკარლო აბეტე

# აბეტე კიდევ 5 წლით

## უხმაურო არჩევნები

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებმა უჩვეულოდ მშვიდად ჩაიარა, რადგან ერთადერთი კანდიდატი 50 წლის **ჯანკარლო აბეტე** გახლდათ. დიახ, არჩევნებს არც წინ უძღოდა კალჩოსთვის დამახასიათებელი ვნებათაღელვა და არც შემდეგ მომხდარა რაიმე ინციდენტი. ამ ყველაფერში "დამნაშავე" თვითონ აბეტეა, რომელიც 2007 წელს ჩაუდგა ფედერკალჩოს სათავეში და აბსოლუტური ურავლესობის აზრით, საქმეს უნარიანად უძღვება. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯანკარლოს არც ერთი კონკურენტი არ გამოუჩნდა.

აბეტემ არჩევნებში 95%-ით გაიმარჯვა - 256 დელეგატის ხმა მიიღო, დანარჩენმა 32-მა კი თავი შეიკავა. გამარჯვების შემდეგ, პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა: *"იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მაშინ ჩავუდექი სათავეში, როდესაც კალჩოპოლის პროცესი მძვინვარებდა და ჩვენი ფეხბურთი ღრმა კრიზისში იყო. ვფიქრობ, ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა კალჩოს იმიჯის გამოსასწორებლად და მიხარია, რომ ამას ბევრი ამჩნევს. ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა კორუფციის, კრიმინალის წინააღმდეგ და იტალიური ფეხბურთი კიდევ უფრო გავწმინდოთ. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება".*

ჯანკარლო აბეტე ფედერკალჩოს პრეზიდენტი 2017 წლამდე იქნება, ამ პერიოდში კი "სკუადრა აძურა" ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ იტალიის ეროვნული ნაკრები ორივე ფორუმზე ღირსეულად იასპარეზებს, ხოლო აპენინური გუნდები ძველ დიდებას დაიბრუნებენ. მოკლედ, აბეტეს დიდი მიზნები აქვს: ნაკრების და კლუბების წარმატება კორუფციისგან თავისუფალი კალჩოს პირობებში.

ბლიც-ინტერვიუ კლაუდიო მარკიზიო

# როდესაც ნაპოლის ვეთამაშებით, მოედანზე გამწარებული დავრბივარ

**კლაუდიო მარკიზიო დაშავებულია და პრესასთან ურთიერთობის დროც გამოუჩნდა. "იუვენტუსის" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი ესტუმრა, რამდენიმე საინტერესო კითხვა დაუსვა და არანაკლებ საინტერესო პასუხები მოისმინა...**

**- რომელი გუნდი მოიგებს სკუდეტოს: "ნაპოლი" თუ "ლაციო"?**

- "იუვენტუსი", რადგან რეალურად, ჩვენ ყველაზე ძლიერები ვართ. მართალია, მცირე ჩავარდნა გვაქვს, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია. ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ. ჩვენ მთავარ კონკურენტად "უდინეზეს" დავასახელებ, ტოტო დი ნატალე ათამაშდა, ეს კი ყოველთვის სახიფათოა.

**- თანაგუნდელებიდან ვის ეწყობით ყველაზე კარგად მოედანზე?**

- ანდრეა პირლოს, რადგან მის მხარდამხარ თამაში ერთი სიამოვნებაა. შეუძლებელია ვერ შეეწყო ანდრეას, რადგან ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებს და სხვის შეცდომებსაც აზღვევს. ბედნიერი ვარ, რომ გუნდშიც და ნაკრებშიც მის მხარდამხარ მიწევს ასპარეზობა.

**- რომელ მეტოქეს ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

- თუ ფეხბურთელს გულისხმობთ, ვერ გიპასუხებთ, რადგან ერთი კონკრეტული მოთამაშის გამორჩევა გამიჭირდება. რაც შეეხება გუნდს, ეს უდავოდ "ნაპოლია". განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათთან იტალიის თასის და სუპერთასის მატჩები გავმართეთ. ასეთ ხისტ მატჩებში მონაწილეობა არც მიმილია, ფეხებში იმდენჯერ მომხვდა, რომ მთელი სეზონი მეყოფა. ნეაპოლელები ყოველთვის გამომწვევად იქცევიან და ჩემშიც აგრესიას იწვევენ. როდესაც მათ წინააღმდეგ ვთამაშობ, მოედანზე გამწარებული დავრბივარ, ეს არაერთხელ შემიმჩნევია.



კლაუდიო მარკიზიო

**- "ინტერის" დამარცხება უფრო რთულია თუ "მილანის"?**

- გააჩნია პერიოდს და იმას, თუ ვინ როგორ ფორმაშია. იყო დრო, "მილანის" დამარცხება საშინლად რთული იყო, "ინტერთან" კი შედარებით იოლად გავდიოდით ფონს და პირიქით... როდესაც ერთმანეთის პირისპირ დიდი გუნდები დგანან, იქ ყველაფერს დეტალები წყვეტს. მიმდინარე სეზონში, "მილანთანაც" და "ინტერთანაც" ურთულესი მატჩები გადავიტანეთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ლომბარდიულ გრანდს საუკეთესო დროება არ უდგას.

**- მილანელთა კრიზისი კარგია "იუვენტუსისთვის"?**

- არც ერთ შემთხვევაში, რადგან მძაფრი კონკურენციის გარეშე ყველაფერს ფასი ეკარგება. პირადად მე, ვისურვებდი, რომ მიმდინარე სეზონში ჟოზე მოურინიოს "ინტერთან", კარლო ანჩელოტის "მილანთან", ჩეზარე პრანდელის "ფიორენტინასთან" და ფაბიო კაპელოს "რომასთან" გვიწევდეს კონკურენცია. ჩემპიონატი თქვენ მერე განახათ...

ფიორენტინა

# პერინი ფლორენციელთა სამიზნეში



მატია პერინი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ფიორენტინას" მესვეურები 20 წლის ტალანტით, **მატია პერინით** დაინტერესდნენ. ახალგაზრდა კიპერი "ჯენოას" საკუთრებაა, თუმცა იჯარის წესით, "პესკარაში" ასპარეზობს. მის მიმართ არაერთი გრანდი იჩენს ინტერესს, მათ შორის, "მილანი", მაგრამ როგორც ჩანს, ყველაზე სერიოზულად მაინც ფლორენციელები არიან განწყობილნი... ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბევრისთვის მოულოდნელად, ამ პოზიციაზე ტოსკანელებს პრობლემა შეექმნათ.

გახსოვთ ალბათ, ზაფხულში "ფიორენტინას" მესვეურებმა **ემილიანო ვივიანო** გადაიბირეს და მთელი იმედები მასზე დაამყარეს, მაგრამ 27 წლის კიპერი ფორმიდან ამოვარდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამბობენ, ვივიანო ვარჯიშებზეც კი საშინლად გამოიყურება და ამად არის, რომ "ვიოლას" კარს დღეს **ნორბერტო ნეტო** იცავს. თუმცა, როგორც ჩანს, ფლორენციელები ნეტოზე დიდი იმედების დამყარებას არ აპირებენ და პერინზეც ამად უჭირავთ თვალი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ვიოლას" მესვეურები გენუელებს უახლოეს დღეებში მიმართავენ, დანარჩენი კი უკვე მოლაპარაკების პროცესზეა დამოკიდებული.

რომა



დანიელე დე როსი

# დე როსის წასვლა უნდა?

## რომაელთა სიმბოლო თადარიგში

**ზდენეკ ზემანი** არაპროგნოზირებადი ადამიანია და ეს ყველაფერში ვლინდება... აბა, ვინ იფიქრებდა თუ გუნდის ერთ-ერთ სიმბოლოს, **დანიელე დე როსის** თადარიგში გადაისვრიდა, დუბლებიდან დაწინაურებულ **ალესანდრო ფლორენცის** კი ძირითადში მიანდობა ადგილს. არადა, 29 წლის დე როსი **ფრანჩესკო ტოტისთან** ერთად, "რომას" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა, მაშინ, როდესაც იგივე ფლორენცი მათი გასამრჯელოს მეათედსაც არ იღებს. მოკლედ, დე როსი სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი, რამაც ახალი ცნობების აგორებას დაუდო სათავე... ამბობენ, რომ დანიელეს "რომადან" აბარგება და კარიერის ინგლისში გაგრძელება სურს, სადაც მისი სამსახურით არაერთი გუნდია დაინტერესებული. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი "ჯალოროსის" გენერალურმა დირექტორმა **კლაუდიო ფენუჩიმ** გააკეთა:

*"დე როსი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და დარწმუნებული ვარ, რომ მალე დაიბრუნებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. მართალია, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ დე როსის კალიბრის მოთამაშე რომ თადარიგში დიდხანს ვერ დარჩება, ცხადზე უცხადესია. დანიელეს წასვლა უნდა? - ამის შესახებ არაფერი მსმენია და ვერაფერს გეტყვით. დიდი იმედი მაქვს, რომ გავრცელებული ცნობები ჭორია და მეტი არაფერი. დე როსი ნამდვილი რომაელია და მეეჭვება, ოდესმე 'ჯალოროსის" დატოვება მოისურვოს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

● 20-წლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. III ტური




ნიკოლას ლოპესი შესანიშნავ ფორმაშია

## შანსი ყველას აქვს

**B ჯგუფი**

**პერუ-ვენესუელა 1:0**

გოლი: 1:0 ბენავენტე (37-პენ).

**ურუგვაი-ეკვადორი 2:2**

გოლები: 1:0 ნ. ლოპესი (20), 1:1 ესტერილია (45), 1:2 ხ. გუტიერესი (56), 2:2 რ. აგირე (85).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ურუგვაი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-7 | 5 |
| 2. პერუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ვენესუელა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ეკვადორი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 5. ბრაზილია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

**ბომბარდირები:** 3 – ნ. ლოპესი (ურუგვაი); 2 – ბენავენტე (პერუ), ნ. კასტილიო (ჩილე), კ. კუევასი (ჩილე), როლანი (ურუგვაი), ვიეტო (არგენტინა).

არგენტინაში გრძელდება 20-წლამდელთა კოპა ამერიკა, სადაც გუშინ B ჯგუფის მესამე ტურის მატჩები გაიმართა. ამ ტურში ისვენებდა ბრაზილიის ნაკრები, რომელიც დაფიქსირებული შედეგების გამო, ბოლო, მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, "სელესაოს" კიდევ ორი მატჩი აქვს ჩასატარებელი და მომდევნო ეტაპზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვს.

პირველ შეხვედრაში, პერუმ ვენესუელას მოუგო. ერთადერთი გოლი, 18 წლის ნახევარმცველმა, **კრისტიან ბენავენტემ** პენალტით გაიტანა. ამ ფეხბურთელმა თავი პირველი ტურის შეხვედრაშიც გამოიჩინა, როდესაც ურუგვაისთან გამართულ უხვგოლიან მატჩში (3:3), ანგარიში 85-ე წუთზე ასევე 11-მეტრიანით გაათანაბრა.

ამ გამარჯვების წყალობით, პერუმ 4 ქულა მოაგროვა და თუ მომდევნო ტურში ეკვადორსაც მოუგებს, ფინალური ჯგუფის საგზურს მიიღებს.

გაცილებით საინტერესო მატჩი მოგვიანებით გაიმართა. ურუგვაის ნაკრები ეკვადორს დაუპირისპირდა და კინაღამ დამარცხდა. "სელესტე" ამ წყვილის ფავორიტად ითვლებოდა და ურუგვაელებმა სტატუსის გამართლება თავიდანზე დაიწყეს: მატჩის მე-20 წუთზე ანგარიში "რომას" ფეხბურთელმა, **ნიკოლას ლოპესმა** გახსნა, რომლისთვისაც ეს ამ ტურნირზე უკვე მესამე გოლი იყო.

გატანილი გოლის შემდეგ, ურუგვაი მოეშვა და საკუთარ კარში ორი ბურთი მიიღო. თავი "სანტოს ლაგუნას" და "ლდუ კიტოს" 19 წლის ნახევარმცველებმა, **ელი ესტერილიამ** და **ხოსე გუტიერესმა** გამოიჩინეს. ურუგვაის ნაკრები ცვლილებაზე შემოსულმა **როდრიგო აგირემ** იხსნა, რომელმაც ანგარიში შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გაათანაბრა.

მართალია, ურუგვაი პირველ ადგილზეა, მაგრამ ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ **ხუან ვერსერის** გუნდს გარანტირებული არაფერი აქვს. "სელესტე" ბოლო ტურში ვენესუელას ხვდება და წაგების შემთხვევაში, შესაძლოა ჯგუფშიც ჩარჩეს.

ჯგუფში ჩარჩენა, როგორც იცით, სერიოზულად ემუქრება ტურნირის მასპინძელ არგენტინის ნაკრებს, რომლის მეტოქეებმაც თავიანთი მატჩები გამთენიისას გამართეს და მათ შესახებ ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ.

● საფრანგეთის ჩემპიონატი

## ცვიტანიჩი ნიცაში რჩება

საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა უდავოდ "ნიცა" გახლავთ – **კლოდ პუელის** გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და ამ მომენტისთვის მეხუთე ადგილსაც იკავებს. ზღვისპირელთა წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, გუნდის არგენტინელი ფორვარდი, **დარიო ცვიტანიჩი** გახლავთ.

ცვიტანიჩმა, რომელიც "ნიცამ" სეზონის დაწყების წინ "აიაქსიდან", სულ რაღაც 400 000 ევროდ შეიძინა, ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონში უკვე 12 გოლი გაიტანა და ის ამ შედეგით, ბომბარდირთა დავაში, მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** (18 გოლი) ჩამორჩება. "აიაქსის" და "ბოკა ხუნიორსის" ყოფილი ფეხბურთელის ასეთი კარგი ასპარეზობა შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა და ჟურნალისტების ინფორმაციით, ცვიტანიჩით რამდენიმე ძლიერი კლუბი დაინტერესდა, თუმცა "ნიცას" პრეზიდენტმა, **ჟან პიერ რივერმა** არგენტინელის წასვლა გამორიცხა:

*"დარიო შესანიშნავი ფეხბურთელია და ბრწყინვალე სეზონს ატარებს. მის წასვლაზე საუბარი არ არის. მას ჩვენთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს და "ნიცას" არა მარტო ზამთარში, ზაფხულშიც არ დატოვებს, რადგან ჩვენ კლუბის გაძლიერება გვსურს და არა მისი დასუსტება,"* – განაცხადა რივერმა "ფრანს ფუტბოლთან" საუბრისას.

როგორც მოგახსენეთ, "ნიცა" ამჟამად მეხუთე ადგილზეა და ბოლო 10 შეხვედრაში გუნდს 7 მოგება, 2 ფრე და მხოლოდ ერთი წაგება აქვს, თავად ცვიტანიჩმა კი ამ პერიოდში 9 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, კლოდ პუელის გუნდი საფრანგეთის თასის 1/16-ფინალში არის გასული, სადაც 23 იანვარს, საკუთარ მოედანზე "ნანსის" უნდა შეხვდეს.



დარიო ცვიტანიჩი

● ამბები

## ობამეიანი ზაფხულში წავა

"სენტ ეტიენის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი, **პიერ-ემერიკ ობამეიანი**, ამ სეზონს "მწვანეებში" დაასრულებს, თუმცა ფრანგული გუნდიდან ზაფხულში წავა.

*"მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წინადადება მაქვს, ზამთარში გუნდიდან ნამდვილად არ წავალ, რადგან სეზონის დასრულება აქ მსურს. ამის შემდეგ კი, დიდი ალბათობით, სხვაგან წავალ. ასე რომ ეს ჩემი ბოლო 6 თვეა "სენტ ეტიენში","* – განაცხადა ობამეიანმა.

ფეხბურთელმა, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს, სხვა ლიგაში თამაშის სურვილი გამოთქვა:

*"ლიგა 1-ში ნამდვილად არ დავრჩები და ამისთვის სამი სერიოზული მიზეზი მაქვს. პირველი: ერთადერთი გუნდი, რომელშიც "სენტ ეტიენიდან" გადასვლა ღირს, "პარი სენ ჟერმენი" გახლავთ, მაგრამ იქ ძალიან დიდი კონკურენციაა, ამიტომ ეს გამორიცხულია. მეორე მიზეზი არის ის, რომ უბრალოდ ცვლილებები და ახალ ქვეყანაში ცხოვრება მსურს. რაც შეეხება მესამე მიზეზს: მართალია ფული ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ*



*არ გახლავთ და საკუთარი შემოსავლითაც უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ საფრანგეთში არსებული საგადასახადო სისტემა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩემი აზრით, საკუთარი შემოსავლის 75-პროცენტის გადახდა სრული სიგიჟეა".*

შეგახსენებთ, რომ ობამეიანი თავის საფეხბურთო კარიერას, მისი ორი ძმის (**კატილინა ობამეიანი და ვილი ობამეიანი**) მსგავსად, "მილანში" იწყებდა, სადაც პიერ-ემერიკის მამა უფროს სკაუტად მუშაობდა. გაბონელმა ფორვარდმა (ნაკრებში: 26 თამაში და 8 გოლი) საკუთარი შესაძლებლობები სწორედ "სენტ ეტიენში" გამოავლინა, რომლის რიგებშიც შარშან 16 გოლი გაიტანა, წელს კი მის ანგარიშზე 8 გატანილი ბურთია.

## ვიტორიას მესის ბიძაშვილის შეძენა სურს

ბრაზილიური კლუბი "ვიტორია", რომელმაც შარშან სერია A-ს საგზური მოიპოვა, **ლიონელ მესის** ბიძაშვილის, **მაქსი ბიანკუჩის** შეძენით არის დაინტერესებული. ამის შესახებ 28 წლის ფეხბურთელის აგენტმა "ტვიტერის" საშუალებით განაცხადა.

ბიანკუჩიმ ბოლო ორი სეზონი პარაგვაულ "ოლიმპიაში" გაატარა, სადაც ის "კრუს ასულიდან" იყო განათხოვრებული. მექსიკაში წასვლამდე ბიანკუჩი 3 წლის განმავლობაში "ფლამენგოს" ღირსებას იცავდა, სადაც 2009 წელს ბრაზილიის ჩემპიონიც გახდა.

არგენტინელმა ფლანგის შემტევმა, ბრაზილიაში დაბრუნების სურვილი "ოლე"-თან საუბრისას გამოთქვა:

*"ბრაზილიაში დაბრუნება მსურს, რადგან ამ ქვეყნიდან ყველაზე კარგი წინადადება მივიღე. ყველაფერი უახლოეს რამდენიმე დღეში გადაწყდება და გაიგებთ, თუ სად ვითამაშებ".*

პრესის ცნობით, ბიანკუჩი, ქალაქ სალვადორის კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

● ტრავმა



ტიაგო სილვა "აიაჩოსთან" მატჩის დროს

## ტიაგო სილვა სამ კვირას გამოტოვებს

ბრაზილიელი **ტიაგო სილვა**, საკუთარ გუნდს დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ვერ დეხმარება. 28 წლის ცენტრალურმა მცველმა ტრავმა პარასკევს, "აიაჩოსთან" გამართულ შეხვედრაში მიიღო და მატჩის 57-ე წუთზე მოედანიც დატოვა. ამ დაზიანების გამო, ტიაგო სილვა "პარი სენ ჟერმენის" მნიშვნელოვან შეხვედრებს დააკლდება. პარიზელებს, იანვრის თვეში საკმაოდ რთული კალენდარი აქვთ – ლიგა 1-ში პსჟ-ს დაპირისპირება "ბორდოსთან", "ლილთან" და "ტულუზთან" უწევს, გარდა ამისა, 23 იანვარს პარიზელები, იმავე "ტულუზს" თასზე ეთამაშებიან.

ფრანგული კლუბის ექიმები იმედოვნებენ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი დროულად გამოჯანმრთელდება და გუნდს ჩემპიონთა ლიგის განახლების წინ დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პსჟ-ს მეტოქე "ვალენსია" გახლავთ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა 12 თებერვალს, ესპანეთში გაიმართება.

### ნენე ალ-გარაფაში გადავიდა

"პარი სენ ჟერმენის" ყოფილმა ფეხბურთელი **ნენე**, რომელმაც კლუბი იანვარში დატოვა და "L'Equipe"–ის ცნობით, კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ 1 მილიონი ევროც მიიღო, სათამაშოდ ყატარში წავიდა და ადგილობრივ "ალ-გარაფაში" ჩაირიცხა. 31 წლის ბრაზილიელმა კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჟურნალისტების ცნობით, ამ პერიოდში ნენე 11 მილიონ ევროს მიიღებს.

"ალ-გარაფა" ყატარის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბია. გუნდის დამრიგებელი, "მარსელის", "სოშოს", "ლიონის" და "სენტ ეტიენის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, **ალენ პერენი** გახლავთ. ნენე გუნდში ერთადერთი ლეგიონერი არ იქნება – საფრანგეთის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირს "ალ-გარაფაში" ავსტრალიელი **მარკ ბრეშიანო** და თანამემამულეთა ტრიო: **დიეგო ტარდელი**, "სპარტაკის" ყოფილი ნახევარმცველი **ალექსი** და ერთ დროს ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, **აფონსო ალვეში** დახვდებიან.

საერთოდ, ბოლო წლებში ამ გუნდში არაერთ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია. თავად განსაჯეთ, "ალ-გარაფაში" კარიერის ბოლო წლებში სათამაშოდ წავიდნენ: **მარსელ დესაი, ჰაქან იაკინი, ჟუნინიო პერნამბუკანო, სონი ანდერსონი, ზე რობერტო და პაულო ვანჩოპე.**

● დანიშვნა

## ერიქსონი მიუნხენ 1860-ის მწვრთნელია

**სვენ-გორან ერიქსონი** მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას აგრძელებს. შვედეთის ("დეგერფორსი" და "გიოტებორგი"), პორტუგალიის ("ბენფიკა"), იტალიის ("რომა", "ფიორენტინა" და "ლაციო"), ინგლისის (ეროვნული ნაკრები, "მანჩესტერ სიტი", "ნოთს ქაუნთი" და "ლესტერი"), მექსიკის (ეროვნული ნაკრები), კოტ დივუარის (ეროვნული ნაკრები) და ტაილანდის ("ტერო სასანა") შემდეგ, შვედი სპეციალისტის CV-ში კიდევ ერთი ქვეყანა, გერმანია გამოჩნდა. 64 წლის ერიქსონი, მეორე ბუნდესლიგის "მიუნხენ 1860"-ის მწვრთნელად დაინიშნა. შვედი მწვრთნელი, ბავარიელებს **ალექს შმიდტთან** ერთად გაუძღვება, რომელიც აქამდე მიუნხენელთა მთავარი მწვრთნელი ერთპიროვნულად იყო.

შეგახსენებთ, რომ ერიქსონი, სულ ცოტა ხნის წინ, მოლაპარაკებას უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან აწარმოებდა, მაგრამ მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ და საბოლოოდ, უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **მიხაილ ფომენკო** დაინიშნა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



სვენ-გორან ერიქსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● შოტლანდიის ნაკრები

# შოტლანდიელთა ახალი სარდალი



გორდონ სტრახანი

BBC-ის ცნობით, 55 წლის **გორდონ სტრახანი** შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გუშინ შუადღისას დაინიშნა. გამოცდილი სპეციალისტი 2010 წლის ოქტომბრიდან უმუშევარი გახლდათ, მას მერე, რაც "მიდლსბრო" საკუთარი ნებით დატოვა. იქამდე ის "ქოვენთრიში" (1996–2001), "საუთჰემპტონსა" (2001/04) და "სელტიკშიც" (2005/09) მუშაობდა. მისი წინამორბედი **კრეიგ ლევაინი** წარუმატებელი მუშაობის გამო (4 შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა) გასული წლის 5 ნოემბერს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ პოსტიდან დაითხოვეს. ჯერჯერობით დაზუსტებულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, მაგრამ როგორც ბრიტანული ვებგვერდები წერდნენ, სტრახანთან კონტრაქტი ევრო 2016-ის დასრულებამდე უნდა გაფორმებულიყო. შეგახსენებთ, რომ მას შოტლანდიის ნაკრებში 1980/92 წლებში 50 თამაში აქვს ჩატარებული, რისი წყალობითაც საფეხბურთო ასოციაციამ რამდენიმე წლის წინ ის ქვეყნის საფეხბურთო დიდების დარბაზში შეიყვანა. სტრახანის გარდა ასოციაცია ვაკანტურ პოსტზე სხვა სპეციალისტებსაც განიხილავდა. მაგალითად **ოუენ კოილს, ჯო ჯორდანს, ლოთარ მათეუსს**, ასევე შოტლანდიის U21-ის დამრიგებელ **ბილი სტარკს**.

● დაპირისპირება

# ბარტონისა და ჰამანის ვირტუალური ომი

## ლოიკ რემი ნიუკასლის ნაცვლად ქუინზ პარკში მიდის?

"ბარსელის" 29 წლის ინგლისელ ნახევარმცველ **ჯოი ბარტონსა** და 2006/07 წლების სეზონში "მანჩესტერ სიტიში" მის ყოფილ თანაგუნდელს, 39 წლის გერმანელ **დიტმარ ჰამანს** შორის "ტვიტერზე" სერიოზული სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გაიმართა. ერთი შეხედვით მათ წაკინკლავების მიზეზი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ჯოის ფიცხ ხასიათს რას გაუგებ? 14 იანვრის ღამეს "ოლიმპიკის" ფეხბურთელმა თანაგუნდელ **ლოიკ რემის** სავარაუდო ტრანსფერზე სოციალურ ქსელში უტაქტო ჩანაწერი გააკეთა: *"სწორედ ახლა შემატყობინა ჯადოქარმა, რომ რემიმ კონტრაქტი "ქუინზ პარკთან" გააფორმა. არ ვიცი, რა მოხდა მასა და "ნიუკასლს" შორის. ალბათ ისევ დერეკ ლამბიასის ("კაჭკაჭების" ტექნიკური დირექტორი. რედ) სისულელის გამო"*. ცნობილი სკანდალისტის ამ გამოთქმას სწორედ ჰამანი გამოეხმაურა და დაუწერა: *"ნიუკასლისა" და "ქუინზ პარკის" სატრანსფერო პოლიტიკა შენი საქმე არ არის, რადგან ისინი ფულს შენ ფეხბურთის თამაშში გიხდიდნენ და არა რჩევებში". "მე ყოფილ კლუბებზე ცუდი არასოდეს არაფერი დამიწერია, შენ კი ჭკუის სასწავლი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გაქვს".*

გერმანელის ცოტა არ იყოს და პროვოკაციულ ფრაზას შეიძლება სხვა უკომენტაროდ დატოვებდა, მაგრამ ბარტონი ასე არასოდეს რომ არ მოიქცევა, შეგვიძლია თავი დავდოთ. მისი პასუხი ჰამანის მიმართ უკვე შეურაცხმყოფელი იყო. ყველაფერთან ერთად ჯოიმ მას "ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ცუდი პროფესიონალი" უწოდა. სიტყვიერი ომი კარგა ხანს გაგრძელდა, რომელიც ბოლოს ისევ ბარტონს მოჰბეზრდა და ქსელი დატოვა. ვიდრე მეტოქე "ბრძოლას" განერიდებოდა, ჰამანმა მას ისიც წამოაძახა, რომ როცა ევროპის მასშტაბის ვარსკვლავობაზე გაქვს პრეტენზია, საფრანგეთში არ უნდა თამაშობდეო. *"იმედგაცრუებული ვარ, რომ პროვოკაციას ავყევი. არასოდეს არ უნდა მისცე ძაღლს საშუალება, გიმტკიცოს, რომ ის ძაღლი არ არის,"* – აი, ფრაზა რომელიც ჯოიმ კარის გაჯახუნებამდე დაგვიტოვა.


**მანჩესტერ სიტიში 2006/07 წლების სეზონში დიტმარ ჰამანსა (მარცხნივ) და ჯოი ბარტონს გასაყოფი არაფერი ჰქონდათ**

P.S ლოიკ რემის რაც შეეხება, ბოლო ცნობებით, მას გუშინ "ქუინზ პარკში" სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო.

● ამბები

### ჩემპიონატის ახალი სპონსორი

ლუდის მწარმოებელი დანიური კომპანია "კარლსბერგი" პრემიერლიგის ახალი სპონსორი შეიქნა. მხარეთა შორის 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც 2013/14 წლების სეზონის დაწყებისთანავე შევა ძალაში და რომლის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. დანიელებს საფეხბურთო სამყაროსთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ: ისინი 18 წლის განმავლობაში, 1992-დან 2010-მდე, "ლივერპულის" გენერალური სპონსორები იყვნენ. ამჟამად კიკლუბებისგან მხოლოდ "კოპენჰაგენთან" თანამშრომლობენ. *"მოხარული ვართ, რომ "კარლსბერგმა" ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა,"* – განაცხადა ლიგის პრეზიდენტმა **რიჩარდ სკუდემორმა**.

### სანდერლენდის ახალწვეული

SPORTS.YAHOO.COM-ის ცნობით, "სანდერლენდმა" საუდის არაბეთის "ალ-ჰილალთან" 29 წლის სენეგალელი მცველის **კადერ მანგანეს** 6-თვიან იჯარაზე მიაღწია შეთანხმებას. **მარტინ ონილს** სეზონის ბოლომდე ესპანელი **კარლოს კუელიარის** შემცვლელი სჭირდება. 31 წლის უკანახაზელმა მუხლი დაიზიანა და "შავ კატებს" ივნისის ბოლომდე ველარ დაეხმარება.

### ბეშიქთაში სისეს დაუკავშირდა

"ქუინზ პარკის" 31 წლის ფრანგმა თავდამსხმელმა **ჯიბრილ სისემ** ერთი წლის წინ "რეინჯერებში" კარიერა ხმამაღალი განცხადებებით დაიწყო, პრემიერლიგაში წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნებას ვიმედოვნებო, თუმცა მის იმედებს გამართლება არ ეწერა. სისეს ახალი გუნდში დამკვიდრება გაუჭირდა. და აი, სერიოზული საკადრო პრობლემების მიუხედავად, **ჰარი რედნაპი** მზადაა, ჯიბრილი ტრანსფერზე დააყენოს. მას "ბეშიქთაში" იწვევს. სტამბოლელებს შეუძლიათ ფეხბურთელს პრაქტიკულად იმის გარანტიაც კი მისცენ, რომ ის აუცილებლად ითამაშებს, გუნდს განაცხადში ერთადერთი ჯანმრთელი თავდამსხმელი **უგო ალმეიდალა** შემორჩა.

### უიგანმა მცველი დაკარგა

"უიგანის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "ფულჰემთან" XXII ტურის შეხვედრაში 28 წლის ესპანელი ცენტრალური მცველი **ივან რამისი** მძიმედ დაშავდა და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, რომ ფეხბურთელს მარჯვენა მუხლზე ჯვარედინი მყესები აქვს განყვეტილი. *"ჩვენთვის ეს უმძიმესი დარტყმაა. ივანი "უიგანის" წამყვანი ფეხბურთელია და მისი შეცვლა ძალიან გაგვიჭირდება,"* – განაცხადა **რობერტო მარტინესმა**.

### შემოსავლის ახალი წყაროები ეშმაკებისთვის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა ორ ჩინურ კომპანიასთან 3-3-წლიანი ხელშეკრულებები გააფორმა. პირველი უალკოჰოლო სასმელების მსოფლიო გიგანტი Wahaha-ა, მეორე - წამყვანი ჩინური ბანკი China Construction. "იუნაიტედმა" ჩინური ბაზრის ათვისება ევროპული გრანდებისგან პირველმა დაიწყო, ეს 1975 წელს მოხდა. უკანასკნელ წლებში კი ყველაზე წარმატებული ინგლისური კლუბი ამ ქვეყანას რეგულარულად სტუმრობს. *"ჩინელებთან უკვე ათეული წლებია ვთანამშრომლობთ. ახალი სპონსორული ხელშეკრულებები კი ასეთ ურთიერთობებს მხოლოდ დადებითად თუ წაადგება,"* – განაცხადა "იუნაიტედის" კომერციულმა დირექტორმა **რიჩარდ არნოლდმა**.

### ჩელსიდან მალაგაში პრაქტიკისთვის

"ჩელსის" 18 წლის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი **ლუკას პიაზონი** სეზონის მეორე ნახევარს ლა ლიგის "მალაგაში" იჯარით გაატარებს. სამხრეთამერიკელს ნიჭს არავინ უკარგავს, თუმცა ასაკისა და ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული მუსკულატურის გამო ფეხბურთელი "ჩელსის" ძირითადში დამკვიდრებას ვერ ახერხებს. **რაფა ბენიტესის** აზრით, ლუკასი ესპანეთში სერიოზულ გამოცდილებას შეიძენს და "ჩელსის" მომდევნო სეზონში უფრო გამოადგება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● არასაფეხბურთო ინტერვიუ. ლეიტონ ბეინსი

# სკაუზერის აუხდენელი ოცნება

**"ევერტონისა" და ინგლისის ნაკრების 27 წლის მარცხენა მცველი ლეიტონ ბეინსი პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად არის აღიარებული. მასთან ინტერვიუ ჟურნალმა NME –მ (New Musical Express) აილო. როგორც ხვდებით, ამ გამოცემას ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს. ჟურნალი ლივერპულელი ვარსკვლავის გატაცებით დაინტერესდა. ლეიტონი მუსიკის დიდი თაყვანისმცემელია და განსაკუთრებით ბრიტანულ როკს წყალობს. საუბარი მთლიანად ამ თემას მიეძღვნა. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**


ლეიტონ ბეინსი ვარცხნილობითაც კი ბრიტროკის ვარსკვლავებს ჰგავს

**- ალბათ გაკვირვებული დარჩით, თუ რამხელა ყურადღება დაიმსახურა თქვენს ბლოგზე გამოქვეყნებულმა ჩანაწერმა მუსიკის შესახებ.**

- დიახ. მე ადრეც ვუზიარებდი ხალხს ჩემს შთაბეჭდილებებს მუსიკაზე, მაგრამ მერე შევწყვიტე, რადგან ისინი მთხოვდნენ კონკრეტული ჯგუფისთვის მომესმინა და მერე ჩემი აზრი დამეფიქსირებინა. ეს კი ჩემს სტილში არ ჯდება. ახლა კი კაფეში ვიჯექი მოწყენილი და გადავწყვიტე ჩანაწერი გამეკეთებინა. თავისი როლი ითამაშა "ტვიტერმაც", სადაც ხალხმა მისი გაზიარება დაიწყო. ყველაფერი ამის მერე დაიწყო.

**- თქვენი აზრით, რატომ უკვირს ხალხს, როცა იგებს, რომ ფეხბურთელი გემოვნებიან მუსიკას უსმენს?**

- ფანებს ფეხბურთელების მიმართ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი აქვთ. ფიქრობენ, რომ ჩვენ ყველანი ჰიპ-ჰოპის ან R'n'B-ის მსმენელები ვართ. ასეთებიც არიან, მაგრამ არა 100%-ით. უცნაურია, რომ როკის თაყვანისმცემელი ფეხბურთელი გამონაკლისად აღიქმება.

**- ჩვენმა ჟურნალმა Tame Impala-ს Lonerism წლის ალბომად დაასახელა. თქვენს თანაგუნდელებს თუ მოასმენინეთ ის?**

- ხშირად ვრთავ ჩემს საყვარელ მუსიკას გასახდელში, მათ შორის ამ ჯგუფსაც, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, უმრავლესობას მისი ატანა არ აქვს. მათი გემოვნების დახვეწა ნამდვილად არ გამომდის.

**- თქვენ მაილზ კეინთან (ცნობილი ლივერპულელი როკვარსკვლავი. რედ.) მეგობრობთ?**

- დიახ, უკვე რამდენიმე წელია, რაც ვიცნობთ ერთმანეთს. მოსმენილი მქონდა მისი და The Rascals-ის სიმღერები და ვიცოდი, ვინც იყო. ახლაც, როცა სოლო კარიერას მისდევს, მგონია, რომ საქმე კარგად გამოსდის.

**- ლივერპულური ბენდებიდან ვინ მოგწონთ?**

- მაგალითად მომეწონა The Sea-ის ახალი ალბომი; სასიამოვნო მოსასმენია The Wicked Whispers-ის სიმღერები. თითქოს 60-იანების სულით არიან გაჟღენთილები.

**- პირველი ვისი დისკი შეიძინეთ?**

- 10-11 წლისა ვიყავი, როცა უფროსი ბიძაშვილი ბობ დილანსა და "პინკ ფლოიდს" მასმენინებდა და მისი მოწეული სიგარეტის ბოლიც ბევრი მიყლაპია.

**- ფეხბურთელი ჯანმრთელი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. ახერხებთ მუსიკალურ ფესტივალებზე დასწრებას და გართობას?**

- უკანა რიგებში ვზივარ ხოლმე და მუსიკას ვუსმენ, ატმოსფეროთი ვტკბები. თუმცა ამ მხრივ დიდად არ მიმართლებს, რადგან რომელ ფესტივალსაც უნდა დავესწრო, კოკისპირული წვიმა აუცილებლად წამოვა.

**- შეგიძლიათ ფეხბურთისა და მუსიკის სიყვარული ერთმანეთს შეადაროთ?**

- მუსიკა ფეხბურთისგან განტვირთვაში მეხმარება და როცა მოედნიდან გამოვდივარ, ტელევიზორში თამაშების ყურების სურვილი უკვე აღარ მიჩნდება. თამაში კი იმდენად მიყვარს, რომ მას არასოდეს არაფერზე არ გავცვლიდი.

**- ვის უწოდებდით თქვენს მუსიკალურ კერპს?**

- ალბათ ბობ დილანს. შარშან მეგობართან ერთად დავესწარი მის კონცერტს და თითქოს ტაძარში მოვხვდი. მისი ცოცხლად მოსმენა საოცარი იყო. არადა, თითქოს მის მუსიკას უკვე წლებია ვუსმენ. ემოციური საღამო იყო.

**- ვის კონცერტზე დასწრებაზე ოცნებობთ?**

- ჯგუფის, რომელიც აღარ არსებობს – "ბითლზის". სამწუხაროა, რომ ეს ოცნება არ ამიხდება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი




იტალიურ და ინგლისურ მედიას თუ დავუჯერებთ, ხოსეპ გვარდიოლა ბაიერნის მთავარი მწვრთნელი გახდება

# შეუთანხმდა თუ არა პეპი ბაიერნს?

## ბაიერნი უარყოფს, მაგრამ რატომ გადმოსწიეს რეკორდმაისტერის ბოსებმა ჰაინკესთან შეხვედრა მარტიდან იანვარში? ერთი რამ ცხადად ჩანს:

## გვარდიოლას მიუნხენი აინტერესებს!

**„კიკერმა“ დაწერა, რომ იუპ ჰაინკესის მიღმა, „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ნომერ პირველი კანდიდატი ხოსეპ გვარდიოლაა. ამის შესახებ „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ვწერდით და შეგახსენებთ, რომ „კიკერი“ ბევრი სხვა გამოცემისგან განსხვავებით, ასეთ რამეს ჰაერზე არ წერს ხოლმე. გუშინწინ და გუშინ, ინგლისურ და იტალიურ მედიაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ესპანელმა მწვრთნელმა გადაწყვეტილება მიუნხენური გრანდის სასარგებლოდ მიიღო. „ბაიერნის“ ხელმძღვანელები გვარდიოლასთან შეთანხმებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მათთვის ნომერ პირველი კანდიდატი მომავალი სეზონისთვისაც რეკორდმაისტერის ამჟამინდელი თავკაცი იუპ ჰაინკესია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ „დონ იუპთან“ მარტში დაგეგმილი შეხვედრა კარლ-ჰაინც რუმენიგემ იანვარში გადმოიტანა და ამ დღეებში შედგება. იქნებ იმიტომ, რომ პეპმა „ბაიერნს“ მართლაც შეუთვალა თანხმობა? ამ ყველაფრიდან ერთი რამ ნათელია: გვარდიოლა „ბაიერნით“ მინიმუმ სერიოზულადაა დაინტერესებული.**

ერთი სიტყვით, შეთანხმების ოფიციალურ დადასტურებას ალბათ კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ, მაგრამ მოვლენების განვითარების ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელები 41 წლის **გვარდიოლაზე** სერიოზულად მუშაობენ. იტალიურმა არხმა „სკაი იტალიამ“ ეს გარიგება სულაც შემდგარად გამოაცხადა - პეპმა ინგლისურ („სიტი“, „ჩელსი“), იტალიურ (მილანი) და ფრანგულ (პსჟ) წინადადებებზე უარი თქვა და გადაწყვეტილება „ბაიერნის“ სასარგებლოდ მიიღო. „სკაი იტალიას“ ცნობით, ეს ინფორმაცია ტელეკომპანიას რეკორდმაისტერის ერთ-ერთმა მთავარმა სპონსორმა მიაწოდა. როგორც ჩანს, იგულისხმება სწორედ ის სპონსორი, რომელმაც გვარდიოლას ხელფასი უნდა დააფინანსოს.

### ბაიერნი შეთანხმებას უარყოფს

სწორედ „სკაი“ იტყობინება იმასაც, რომ გვარდიოლამ უარი თქვა „ჩელსის“ საოცნებო წინადადებაზე (22 მილიონი ევროს წელიწადში), რადგან უპირატესობას ბუნდესლიგაში მუშაობის პერსპექტივას ანიჭებს. ამავდროულად, ესპანური გაზეთი „ელ მუნდო დეპორტივო“ წერს, პეპის მეგობრებმა გვითხრეს, ჯერ არაფერი გადაუწყვეტიაო. თუმცა „ელ მუნდო დეპორტივო“ ადასტურებს, რომ პეპი „ბაიერნთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

„სკაის“ ინფორმაციას საფეხბურთო გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და ცხადია, „ბაიერნის“ ოფიციალურმა განცხადებამ არ დააგვიანა. გუშინ კომენტარი გააკეთა „ბაიერნის“ პრესმდივანმა **მარკუს ჰიორვიკმაც** და გვარდიოლასთან შეთანხმება რეკორდმაისტერის სახელით უარყო.

*„ამ თემაზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჭორის შესახებ, გნებავთ ინგლისიდან იყოს და გნებავთ, იტალიიდან, კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ,“* - ეს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. კალემ იქვე დასძინა, ჩვენ ჯერ **იუპ ჰაინკესს** დაველაპარაკებით და მხოლოდ მასთან საუბრის შემდეგ მოვიფიქრებთ, რა უნდა მოვიმოქმედოთო.

ჰაინკესმა ამას წინათ თქვა, რუმენიგეს მარტში უნდა შევხვდეო. ორიოდე დღის წინ გერმანულ პრესაში დაიწერა, რომ თავად რუმენიგეს სურვილით ეს შეხვედრა იანვარშივე შედგება. ცხადია, კალეს ამაზეც ჰკითხეს. აი, მისი პასუხიც: *„ვიცი, რაც თქვა იუპ ჰაინკესმა, მაგრამ მე შეხვედრის თარიღის შესახებ კომენტარს არ გავაკეთებ.“*

### რუმენიგე ჰაინკესს ამ კვირაში უნდა შეხვდეს

„შპორტ აინსის“, „კიკერის“ და „ბილდის“ ინფორმაციით, „ბაიერნის“ ბოსები ჰაინკესს ამ კვირაშივე შეხვდებიან (შეგახსენებთ, რომ „დონ იუპს“ რეკორდმაისტერთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება). ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ჰაინკესთან შეხვედრის დაჩქარება სწორედ გვარდიოლას ფაქტორის დამსახურებაა, რადგან პეპს სხვა მსურველები, „მანჩესტერ სიტი“ და „ჩელსიც“ აჩქარებენ და აწუხებენ. გერმანიაში ყველა ექსპერტი დარწმუნებულია იმაში, რომ 67 წლის ჰაინკესი მომდევნო სეზონში „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება.

გუშინ „მიუნხენერ თაგესცაითუნგში“ გამოქვეყნებულ სტატიაზეც ვწერდით, რომელშიც ეწერა, რომ გვარდიოლას მრჩეველი **ხოსე მარია ორობიტგი** მიუნხენში ჩავიდა და „ბაიერნის“ ბოსებს შეხვდა. გუშინ ამ უკანასკნელს „ბილდის“ კორესპონდენტი დაუკავშირდა და ორობიტგმა უთხრა, მიუნხენში კი არა, პირად საქმეებზე ფრანკფურტში გახლდითო. ცხადია, მას „ბაიერნის“ ბოსებთან შეხვედრა ფრანკფურტშიც შეეძლო. მეტიც, ასეთი შეხვედრის ორგანიზება ფრანკფურტში უფრო აზრიანი იქნებოდა - თუკი მხარეებს სურდათ, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო. სხვა მხრივ, საინტერესოა, რა პირადი საქმე უნდა ჰქონოდა ორობიტგს ფრანკფურტში წელიწადის ამ დროს?

### პირველი კონტაქტი 2012 წლის მაისში

ალსანიშნავია, რომ „ბაიერნი“ გვარდიოლას დათანხმებას ჯერ კიდევ 2012 წლის მაისში შეეცადა. ცნობილია, რომ მაშინ რეკორდმაისტერის იმდროინდელი სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** პეპის ძმას შეხვდა. მაშინ, ამ ამბის გახმაურებიდან რამდენიმე დღის შემდეგ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** გვარდიოლას სასურველი მწვრთნელი და ჰაინკესის ღირსეული შემცვლელი უწოდა. მას მერე „ბაიერნში“ გვარდიოლას შესახებ ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. რუმენიგე, ჰიონესი და ზამერი დუმილს ამჯობინებენ, თუმცა გვარდიოლათი დაინტერესებას არც უარყოფენ.

სამაგიეროდ, „ბაიერნი“ ამას წინათ, ფიფას გალა-დაჯილდოებაზე თავად პეპმა ახსენა: *„ბაიერნს“ მწვრთნელი ჰყავს და ჩემი მხრიდან ამ კლუბზე საუბარი ცუდი საქციელი იქნება!“* - თქვა მან და ბოლო დღეებში გავრცელებული ცნობების ფონზე ეს კომენტარი უკვე ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება.

### გერმანული ენა?

ცნობილია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მწვრთნელად ყოველთვის ისეთი სპეციალისტი სურთ, რომელიც გერმანულ ენას ფლობს, გვარდიოლამ კი გერმანული არ იცის. თუმცა პეპის აღმომჩენი და „ბარსას“ ყოფილი თავკაცი **კარლოს რექსაჩი** დარწმუნებულია, რომ მონდომების შემთხვევაში გვარდიოლა ამ პრობლემას იოლად ალმოფხვრის: *„პეპმა იცის ესპანური, იტალიური და ინგლისურიც. ვფიქრობ, გერმანული ენის შესასწავლად დიდი დრო არ დასჭირდება და არც იმას გამოვრიცხავ, რომ გერმანულს უკვე დიდი ხანია სწავლობს.“*

წინა კვირას, ციურიხში გვარდიოლამ თქვა, ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდს ჩავიბარებო. შეიძლება, ახლა უკვე იცის...

● ამბები

## იაროლიმი მლადაში ჩაირიცხა



ვეტერანი ჩეხი საყრდენი ნახევარმცველი **დავიდ იაროლიმი** კარიერას „მლადა ბოლესლავში“ გააგრძელებს. 33 წლის ფეხბურთელმა ამ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გაგახსენებთ, რომ იაროლიმი 9 წლის მანძილზე „ჰამბურგში“ თამაშობდა, სადაც კონტრაქტი ზაფხულში დაუმთავრდა, ახალი ხელშეკრულება კი არ გაუფორმეს და ფრანგულ „ევიანში“ გადავიდა, სადაც ამ სეზონის პირველ ნახევარში მხოლოდ ხუთ შეხვედრაში ათამაშეს. ნოემბერში იაროლიმმა „ევიანთანაც“ გაწყვიტა კონტრაქტი და ახლა „მლადაში“ ჩაირიცხა. ცნობილია, რომ აქტიური სპორტული კარიერის შემდეგ იაროლიმს „ჰამბურგში“ დაასაქმებენ.

## გალათასარაი სნეიდერს აჩქარებს

როგორც იცით, „გალათასარაი“ და „ინტერი“ **ვესლი სნეიდერის** ტრანსფერზე შეთანხმდნენ, რის შემდეგაც თურქულმა გრანდმა 28 წლის ჰოლანდიელ გამთამაშებელს კონკრეტული წინადადებით მიმართა. სნეიდერის მეუღლე თანახმაა, სტამბოლში გადავიდეს, თავად ვესლი კი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს და როგორც ჩანს, ინგლისიდან ელოდება წინადადებებს - ცნობილია, რომ მისი გადაბირებით „ლივერპულიც“ დაინტერესებულია.

*„ჩვენ მას ვერაფერს ვაიძულებთ,* - აცხადებს „გალათასარაის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი **სემი ჰაზნედაროღლუ**, - *შეიძლება, მას პრემიერლიგაში გადასვლა ურჩევნია, მაგრამ ჩვენ მისი პასუხი სწრაფად გვჭირდება. ჰოს გვეტყვის, თუ არას, პასუხი სწრაფად უნდა გვაცნობოს, რადგან თუ უარს გვეტყვის, გვინდა, ალტერნატიული გზის გამონახვის დრო დაგვრჩეს. ფაქტია, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ მის გადმოსაბირებლად და დროის გაწელვა არ გვაწყობს.“*

## კანი: გერმანიას მუნდიალის მოგება შეუძლია

**ოლივერ კანის** აზრით, გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მოგების რეალური შანსი აქვს. *„ბუნდესგუნდი მართლაც ძალიან ძლიერია და ვფიქრობ, რომ ამ გუნდს 2014 წელს მუნდიალის მოგება შეუძლია. ცხადია, ამისათვის იღბალიც საჭიროა, მაგრამ იღბალი სხვებსაც სჭირდებათ, მათ შორის, ესპანეთსაც,* - განაცხადა ოლიმ ჰამბურგში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას და დასძინა, - *ბოლო წლებში გერმანიის ნაკრები სრულყოფილად ვითარდებოდა და მომწიფდა იმისათვის, რომ დიდი ტიტული მოიგოს. ფაქტია, რომ ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. 2002 წელს 2-3 ისეთი კრეატიული ფეხბურთელი რომ გვყოლოდა, როგორებიც დღეს იოახიმ ლიოვს ჰყავს, ბედნიერი ვიქნებოდი.“*



43 წლის კანი „ბაიერნში“ **ხოსეპ გვარდიოლას** შესაძლო დანიშვნასაც გამოეხმაურა და თქვა, რომ ესპანელი მწვრთნელის რეკორდმაისტერში მიწვევას მიესალმება: *„ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან გვარდიოლა შესანიშნავი სპეციალისტია. მან „ბარსელონაში“ ძალიან ბევრს მიაღწია, თუმცა ცხადია, ჩნდება კითხვა, მოახერხებს თუ არა ესპანელი წარმატებების მიღწევას სხვა კლუბშიც.“*

## დაბრუნდება კირიაკოსი პანათინაიკოსში?

„ვოლფსბურგის“ 33 წლის მცველი **სოტირიოს კირიაკოსი** ათენის „პანათინაიკოსთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს და დიდი შანსია, რომ ბერძნულ გრანდში დაბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ „ვოლფსბურგში“ მას მომავალი აღარ აქვს. ბუნდესლიგის პირველ წრეში მას არც ერთ მატჩში არ უასპარეზია და „მგლების“ ახალი მწვრთნელი დიტერ ჰეკინგი აცხადებს, კირიაკოსი არ მჭირდებაო. გამოცდილი მცველი „პანათინაიკოსში“ 1999-დან 2005 წლამდეც თამაშობდა.

## დარჩებიან ჰანტი და არნაუტოვიჩი ვერდერში?

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით, „ვერდერის“ 26 წლის შემტევი ნახევარმცველი **აარონ ჰანტი** ბუნდესლიგის პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მას ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი წელიწად-ნახევარში უმთავრდება და ცხადია, რომ „ვერდერს“ აარონის შენარჩუნება სურს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „მუსიკოსები“ ჰანს უახლოეს მომავალში ახალი კონტრაქტის გაფორმებას შესთავაზებენ. იგივე ეხება 23 წლის ავსტრიელ თავდამსხმელ **მარკო არნაუტოვიჩსაც**, რომელსაც „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** ბოლო დროს მარჯვენა გარემარბად ათამაშებს ხოლმე. „ვერდერთან“ კონტრაქტი ამ უკანასკნელსაც 2014 წლის ზაფხულში უმთავრდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის შეჯამება

# რვა-ნახევარი თვე და ეკვატორი

## მიჩელი, სეზონის მეოთხე მსხვერპლი



ლა ლიგის პირველი ნახევრის ყველაზე დამახასიათებელი მომენტი: ლეო მესიმ 28 გოლი და 8 საგოლე პასი მიითვალა

**როდესაც გემი პირველად გადალახავს ეკვატორს, დიდი ზარ-ზეიმი იმართება გემბანზე. ეს ცერემონიალი, რომ ჩავუღრმავდეთ ნეპტუნის სამეფომდე ჩაგვიყვანს - არ ვაპირებთ, მით უფრო, რომ ლა ლიგა ის ხომალდია, რომელმაც ეკვატორი აგერ უკვე 82-ედ გადალახა. თუმცა ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ესპანურ საფეხბურთო ხომალდთა რეგატაში ერთი ისე დაწინაურდა, რომ თითქმის მაქსიმალური სისწრაფე განავითარა - „ბარსელონამ“ 57 შესაძლებლიდან 55 ქულით დაასრულა ჩემპიონატის პირველი ნახევარი.**

### ბარსა-რეალობა

„ბარსელონამ“ I წრის ბოლო ტურში მოგებით ესპანური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ზამთრის ჩემპიონის ტიტული დაიბევა. „რეალმა“ კი ბოლოადგილოსანს ვერ მოუგო. კონტრასტი უკვე თვალში საცემია - გუნდებს შორის სხვაობა 18 ქულაა. ამ ორი კლუბის „ვირტუალურ“ დაპირისპირებას აზრი ეკარგება, ისევე როგორც ჩემპიონატის მთავარ საკითხს - საჩემპიონო ინტრიგას.

### მესი vs რონი

**ლიონელ მესიმ** „მალაგასთან“ 3:1 მოგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. მან 4-ჯერ დაარტყა კარისკენ, ერთხელ ზუსტად, გაიტანა გოლი და გააკეთა 2 საგოლე გადაცემა. მის წინაალმდეგ 3-ჯერ იუხეშეს.

**კრიშტიანო რონალდომ** „ოსასუნასთან“ 0:0 დასრულებულ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო არ ითამაშა.

ჩვენს „ტურნირში“ საპატიო გაცდენები არ არსებობს, ასე რომ, მესიმ კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა: 14:8.



პაკო ალკასერი

## რვა-ნახევარი თვის შემდეგ

ბევრ გუნდზე გაიგონებთ, წინა ხაზში კრიზისი აქვსო, თუნდაც ტურინის „იუვენტუსზე“, მაგრამ ის, რაც „ხეტაფეში“ ხდებ(ო)და კრიზისზე მეტიცაა - მშობლიურ „კოლისეუმზე“ „ხეტაფეს“ თავდამსხმელებს რვა-ნახევარი თვე გოლი ვერ გაეტანათ! ბოლოს ეს მაისში „რასინგის“ კარში **მიკუმ** მოახერხა. მას მერე „ხეტაფეს“ ფორვარდებმა სულ 3 გოლი (!) გაიტანეს და სამივე სტუმრად. არადა, **ალვარო ვასკესი** „ესპანიოლიდან“ დიდი ზარ-ზეიმით გადაიყვანეს, მაგრამ 21 წლის ტალანტმა მადრიდში ვერ გაამართლა იმედები (2 გოლი), ხოლო **ფრანსისკო „პაკო“ ალკასერს** ჯერ ეპატიება, ის მხოლოდ 19 წლისაა. პაკომ სეზონში მე-2 გოლი გაიტანა „გრანადას“ კარში და თითქმის 9-თვიანი ანტირეკორდი შეწყვიტა.

## იცით, თუ არა რომ...

* მადრიდის „ატლეტიკო“ ერთადერთი გუნდია ლა ლიგაში, რომელმაც პირველ წრეში ყველა საშინაო მატჩი მოიგო - 10-დან 10! „ატლეტიკომ“ წრე 44 ქულით დაასრულა, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 18 ქულით მეტია.

* „ბარსელონა“ ერთადერთი გუნდია ლა ლიგაში, რომელმაც პირველ წრეში ყველა საგარეო მატჩი მოიგო - 10-დან 10!

* **მიჩელ გონსალესი** პრიმერას მე-4 მწვრთნელია, რომელიც ამ სეზონში მოხსნეს, **მაურისიო პოჩეტინოს** (ესპანიოლი), **მაურისიო პელეგრინოს** (ვალენსია) და **ხოსე ლუის ოლტრას** (დეპორტივო) შემდეგ. მის ნაცვლად „სევილიას“ **უნაი ემერი** გაუძღვება.

### ტურის ფრაზები

**ხოაკინ კაპაროსი:** *„მე მგონი, შევცდი მოედანზე მიშელ პერეირა რომ გამოვიყვანე - სხვაგან ქრის მისი გონება“,* - „მალიორკას“ თავკაცი ფრანგ ფეხბურთელზე, რომელიც „სევილიაში“ გადადის.

**ჟოზე მოურინიო:** *„ესპანეთის ჩემპიონატის საწყის ეტაპზე „რეალში“ რაღაც მოხდა, თუმცა რა მოხდა, იმას არ ვიტყვი“,* - ჟოზე შეთქმულების თეორიებზე გადავიდა, თუ მართლა საიდუმლოს ინახავს?

**პეპე მელი:** *„სტადიონიდან შინ ისე მივდივარ, როგორც ამაყი მშობელი“,* - „ბეტისის“ თავკაცი მორიგი გამარჯვების შემდეგ.

**ტიტო ვილანოვა:** *„მირჩევნია, ჩემი ავადმყოფობის გამო, ყურადღების ცენტრში არ მოვექცე. მირჩევნია, თითით საჩვენებელი ჩემი საქმის გამო ვიყო“,* - „ბარსელონას“ თავკაცი, რომელმაც ყველა გააკვირვა, როცა მალაგაში ჩავიდა.

**ანდრეს ინიესტა:** *„მაისში გამოჩნდება - აი, მაშინაც ასე თუ ვითამაშეთ, უკვე სულ სხვა საქმეა“,* - „ბარსელონას“ ნახევარმცველი ტიტულებს უმიზნებს.

**ლუის გარსია:** *„ჩვენ რომ მსაჯები გვყავს, მათგან ერთი-ორი თუ შეეფერება მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონატს“,* - „ხეტაფეს“ თავკაცის მწარე სიმართლე.

**დიეგო სიმეონე:** *„პირველ ტაიმში თითქმის უნაკლო ფეხბურთი ვითამაშეთ“,* - „ატლეტიკოს“ თავკაცი „სარაგოსას“ დამარცხების შემდეგ.

**მიჩელი:** *„შემართება რომ გამოავლინო, სისხლი უნდა გიჩქეფდეს ძარღვებში“,* - ეს იყო ლეგენდარული ფეხბურთელის ბოლო პრეტენზია „სევილიას“ ფეხბურთელებისადმი. მეორე დღეს ის მოხსნეს.

### ესპანური ფეხბურთის სუსტი წერტილი - მსაჯობა

**პერეს მონტერო** (ბილბაო-რაიო ვალეკანო): 4 „მარკას“ შეფასებით (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** სტუმართა კარში დანიშნა პენალტი, არადა თამაშის წესი საჯარიმოს გარეთ დაირღვა.

### ტურის საუკეთესო გოლი

**პატრიკ ებერტი** (ვალიადოლიდი) „მალიორკას“ კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**რობერტო ტრაშორასი** (რაიო ვალეკანო) საგოლე პასი **ალჰასან ბანგურას.**

### ტურის სტატისტიკა

*24 გოლი ტურში (2,4 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 61 ყვითელი ბარათი, 3 წითელი დაარიგეს.*

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **პატრიკ ებერტი** (ვალიადოლიდი), **სიკეირა** (გრანადა), **რობერტო სოლდადო** (ვალენსია).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხონათან კასტრო** (სელტა, 18 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **45 000 - „ვისენტე კალდერონი“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **6 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **20 - დეპორტივო**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **9 - ბილბაო, ვალიადოლიდი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **23 - რაიო ვალეკანო**

ყველაზე მეტი კუთხური: **10 - ატლეტიკო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **8 - რეალი, რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **64% - ბარსელონა**

### მომდევნო ტური

18 იანვარი: ესპანიოლი-მალიორკა

19 იანვარი: გრანადა-რაიო ვალეკანო, რეალ სოსიედადი-ბარსელონა, ხეტაფე-სევილია, მალაგა-სელტა.

20 იანვარი: ოსასუნა-დეპორტივო, ვალიადოლიდი-სარაგოსა, ატლეტიკო-ლევანტე, ვალენსია-რეალი.

21 იანვარი: ბეტისი-ბილბაო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



მადრიდის ატლეტიკომ ვისენტე კალდერონზე 10-დან 10-ვე მოიგო

### ტურის გმირი

პატრიკ ებერტი (ვალიადოლიდი)



**პატრიკი საკმაოდ სერიოზული ტრავმის შემდეგ პირველად თამაშობდა. მის ანგარიშზე ორი გოლი და საგოლე პასია „მალიორკას“ კარში. ამით „ვალიადოლიდმა“ 5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.**

### ბომბარდირები

28 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
18- რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

### ასისტენტები

11 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

36 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
19 - კრიშტიანო რონალდო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**სერხიო გარსია** (ესპანიოლი)

არ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ ლეო მესი 14-ჯერ მოხვდა სიმბოლურში. ჩვენი დაკვირვების სუბიექტი ხონათან „ხონი“ კასტროა. ეს ბიჭი „სელტას“ ფეხბურთელია, 18 წლისაა (ამ ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი) და მხოლოდ მესამედ თამაშობდა პრიმერაში, მისმა გუნდმა წააგო, მაგრამ მან დიდებულად ითამაშა დაცვის მარჯვენა ფრთაზე.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




## რეალი

# მარსელოს მოტეხილი ფეხი მილიონზე მეტი ღირს



მას შემდეგ, რაც „რეალის“ ექიმებმა ბრაზილიელ 24 წლის **მარსელოს** თამაშის უფლება დართეს, ფიფამ „სამეფო კლუბს“ სანაკრებო პაუზისას ფეხბურთელის დამტვრევისთვის კომპენსაცია გადაუხადა.

მარსელო 14 ოქტომბერს ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშზე დაშავდა - ფეხი მოიტეხა. ვარჯიში კი 7 იანვარს დაიწყო. მას მერე 56 დღე გავიდა, შესაბამისად, კომპენსაციის თანხამ მილიონ 150 ათასი ევრო შეადგინა.

„რეალი“ ერთ-ერთი პირველი კლუბია მსოფლიოში, რომელიც ფიფას ახალი კანონის წყალობით, მიიღებს კომპენსაციას. ფიფა თავის თავზე იღებს ხარჯებს, თუკი ფეხბურთელი სანაკრებო პაუზისას დაშავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ვოლფსბურგი


დიეგო ვოლფსბურგში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია

# დაემშვიდობეთ ზღაპრულ ხელფასებს!

## დიეგოს ფოლკსვაგენის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეზე მაღალი ხელფასი აქვს!

**ბუნდესლიგის პირველი წრე „ვოლფსბურგმა“ მე-15 ადგილზე დაასრულა - „მგლები“ მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელ ზონასთან ძალიან ახლოს არიან. თუ სახელფასო ბიუჯეტით (დაახლოებით 75 მილიონი ევრო წელიწადში) ვიმსჯელებთ, „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა! ამ კლუბზე დიდი სახელფასო ფონდი ბუნდესლიგაში მხოლოდ „ბაიერნს“ აქვს! ამრიგად, როგორც ხედავთ, ვოლფსბურგელთა სურვილები რეალობისგან ძალიან შორსაა!**

როგორც იცით, „ვოლფსბურგს“ საავტომობილო გიგანტი, „ფოლკსვაგენის“ კონცერნი მფარველობს და სწორედ „ფოლკსვაგენის“ შეფებმა გადაწყვიტეს, რომ კლუბს სახელფასო ბიუჯეტი შეუმცირონ. მართალია გვიან, მაგრამ კონცერნში მიხვდნენ, რომ კლუბში, რომლის 90% „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის, ზედმეტად მაღალი ხელფასებია. ცნობისათვის, კლუბში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგოა**, რომელიც „მგლებში“ 2010 წელს გუნდის მაშინდელმა მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** გადაიყვანა. „შპიგელის“ ცნობით, დიეგოს ხელფასი წელიწადში 8.2 მილიონი ევროა და ისიც ბონუსების გარეშე!

შედარებისთვის, „ფოლკსვაგენის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, **ხავიერ გარსია სანსის** შემოსავალი 2011 წელს პრემიებთან ერთად 7.7 მილიონი ევრო გახლდათ. ანუ, დიეგოს მასზე მეტი ხელფასი აქვს! ვოლფსბურგელები დიეგოს კონტრაქტს ჯერ ვერაფერს მოუხერხებენ, მაგრამ ყველანაირად ეცდებიან ზოგადი სურათის შეცვლას - მიზანი სახელფასო ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შემცირებაა.

*„ჩვენ აქ იმიტომ მოგვიყვანეს, რომ გუნდი უფრო წარმატებული იყოს. ინვესტიციები გაგრძელდება, მაგრამ აზრიანად,“* - ეს „ვოლფსბურგის“ ახალი სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** განცხადებაა. მასთან ერთად, გუნდს ახალი მწვრთნელი (**დიტერ ჰეკინგი**) ჰყავს.

### ყველაფერი ფელიქს მაგათის ბრალია

ბოლო წლებში (განსაკუთრებით მაშინ, როცა „ვოლფსბურგში“ **ფელიქს მაგათი** დაბრუნდა) „მგლებმა“ ძალიან ბევრი ფული დახარჯეს და ახლა პირველ გუნდში 35 ფეხბურთელი ჰყავთ. მათგან ბევრი საერთოდ არ თამაშობს, ან, თუ თამაშობს, ვერაფერს ახერხებს. მაგალითად, თავდამსხმელ **სრდიან ლაკიჩის** ხელფასი წელიწადში 2.6 მილიონი ევროა - მან 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გოლი არ გაუტანია. ვეტერანი ბერძენი მცველი **სოტირიოს კირიაკოსი** წელიწადში 2 მილიონს იღებს და ამ სეზონში არც ერთ მატჩში არ უასპარეზია!

საიდან, როდის და რატომ დაიწყეს ვოლფსბურგელებმა ზღაპრული ხელფასების გაცემა? ტენდენცია 2009 წელს დაიწყო: სენსაციური ჩემპიონობის შემდეგ „ვოლფსბურგში“ ხელფასები ყველას გაუზარდეს. მიზანი წარმატებული შემადგენლობის შენარჩუნება იყო, რაც სრულფასოვნად ვერ მოხერხდა - მაგალითად, **ედინ ჯეკო** „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა.

სახელფასო ბიუჯეტი კლუბში მეორედ 2011 წელს გაიზარდა, როცა „ვოლფსბურგში“ დაბრუნებულმა ფელიქს მაგათმა მარტო წინა ზამთარში 8 ახალი ფეხბურთელი გადაიბირა და ჯამში 20 მილიონი ევრო დახარჯა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სახელფასო ფონდის შემცირების დაგეგმვისა, ახლახან ვოლფსბურგელებმა დორტმუნდის „ბორუსიადან“ 7.5 მილიონ ევროდ **ივან პერიშიჩი** იყიდეს და მას წელიწადში 2.8 მილიონი ევრო დაუნიშნეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვოლფებს“ კვლავ დიდი მიზნები აქვთ. მიუხედავად პირველი წრის მე-15 ადგილზე დამთავრებისა, გუნდის პროგრამა მინიმუმი ამ სეზონში ევროპალიგის საგზურის მოპოვება, ანუ, მინიმუმ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### ლაუდრუპი მოურინიოს ნაცვლად?

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობას უკვე შერჩეული ჰყავს **ჟოზე მოურინიოს** შესაძლო შემცვლელი - დანიელი **მიქაელ ლაუდრუპი**.

ჟოზე მოურინიო, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს „სამეფო კლუბიდან“ წავა. მის ნაცვლად კი შეიძლება „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი მიქაელ ლაუდრუპი დაინიშნოს. ბოლო გამოკითხვები აჩვენებს, რომ პორტუგალიელი სპეციალისტი სწრაფი ტემპებით კარგავს კლუბის წევრთა (სოსიოსი) ნდობას.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ლეგენდარული დანიელი უელსურ „სუონსი სიტის“ ხელმძღვანელობს, რომელიც ინგლისურ პრემიერლიგაში კარგად ასპარეზობს.

### ჟოზემ დი მარია აითვალწუნა

როგორც ჩანს, ბოლო დროს **ჟოზე მოურინიო** თავისიანებს დაერია, რაც ადრეულ კარიერაში არ ახასიათებდა. ახლა კი **იკერ კასილიასის** შემდეგ, „მარკას“ ცნობით, „რეალის“ თავკაცმა არგენტინელი **ანხელ დი მარია** აითვალწუნა.

24 წლის დი მარია მოურინიომ სუსტი თამაშისთვის აითვალწუნა, სასტარტოშიც უფრო იშვიათად ათამაშებს და ნაკლებადაც ენდობა. „მარკა“ ამტკიცებს, რომ „ოსასუნასთან“ მატჩის ბოლოს დი მარიას და მოურინიოს შორის ასეთი „დიალოგი“ გაიმართა. *„საერთოდ არ თამაშობ, გაცილებით სასარგებლო იყავი, როცა ნაკლებ ხელფასს იღებდი. რაც ახალი კონტრაქტი დაიდევი, განძრევა გეზარება“*. ეს ყველაფერი გასახდელში მოხდა, არგენტინელს არაფერი უპასუხია.

სხვათა შორის, მოურინიომ მაშინ სახალხოდ ფეხბურთელი არ გააკრიტიკა და თქვა, რომ ფეხბურთელების მონდომებით კმაყოფილი დარჩა.

კონფლიქტს ჟურნალისტებთან დი მარიაც უარყოფს: *„ვშრომობ თავდაუზოგავად და თავს კარგად ვგრძნობ. ჩემი მიზანი, „რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებაა. რა თქმა უნდა, ძნელია, როცა ხშირად ვერ თამაშობ, ამის დამტკიცება, მაგრამ როგორც კი ჟოზე მოურინიო შანსს მომცემს, გამოყენებას შევეცდები“*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

სამბო. მწვრთნელები

# სამბისტებმა მუზაშვილი დაიბრუნეს

გუშინ სამბოს ფედერაციამ ღია ვარჯიშზე ახალი მწვრთნელები წარადგინა. ამიერიდან ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს სამგზის და ევროპის ჩემპიონი **ჯონდო მუზაშვილი** გაწვრთნის, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს - მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **ავთანდილ ცინცაძე**. ქალთა მწვრთნელად **ემინ რაში** დაინიშნა.

ამათგან ბოლო ხანებამდე ვაკანტური მხოლოდ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი იყო. ისიც მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონი არჩილ ჩოხელი ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაიღუპა. ფედერაციამ მის შემცვლელზე აქამდე იფიქრა და არჩევანი საბოლოოდ მუზაშვილზე შეაჩერა. საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა **სოსო ლიპარტელიანმა** საკადრო ცვლილებები ასე ახსნა: *„მუზაშვილის დანიშვნისას, უპირველესად, მისი მიღწევებით ვიხელმძღვანელეთ - მოგეხსენებათ, ის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, ყველაზე წარმატებული სამბისტი. ამასთან, უკვე საკმაოდ დიდი სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს. ის საბერძნეთში მუშაობდა, სადაც ბევრი მოსწავლე გაზარდა. ვფიქრობ, აქაც მიაღწევს წარმატებებს. ცინცაძეც მსოფლიოს ჩემპიონია, დაამთავრა კარიერა და ვფიქრობ, მისი გამოცდილება ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში გამოგვადგება“*.

ღია ვარჯიშის მიმდინარეობისას ჯონდო მუზაშვილსაც გავესაუბრეთ: *„ამ პოსტზე მუშაობა ორმაგად საპასუხისმგებლოა, რადგან არჩილ ჩოხელი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ვიმედოვნებ, მწვრთნელთა ამ გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ, რადგან არის გუნდი, რომელსაც ამის გაკეთება შეუძლია. პირველ ტურნირზე 10 თებერვალს წავალთ მინსკში მსოფლიოს თასის ეტაპზე, სადაც, ალბათ, პირველ-მეორე ნომრები გამოვლენ, მერე კი საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება და იმის მიხედვით დაკომპლექტდება მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ნაკრები. თაობათა ცვლაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ვითარებაში უნდა გავერკვე. გაიმართება ქვეყნის პირველობა და მერე ბევრ რამეზე შეგვეძლება პასუხის გაცემა“*.

**ირაკლი თავაძე**


ჯონდო მუზაშვილი





რეგიონი

# საკადრო ცვლილებები გორის სპორტულ ცხოვრებაში

ქართულ სპორტში მიმდინარე ცვლილებები რეგიონებსაც შეეხო. სხვადასხვა სახით ცვლილებები განხორციელდა ქალაქის მუნიციპალიტეტთან არსებულ შვიდივე სპორტულ ორგანიზაციაში. ამის შესახებ ინფორმაცია ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსმა **გია პაპიტაშვილმა** მოგვაწოდა. გორის სპორტულ ცენტრს მოქმედი მოჭიდავე **ნოდარ მეტრეველი** ჩაუდგა სათავეში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის სასპორტო სკოლას წარსულში ცნობილი ფალავნის თემურ ხუბულურის ძმა, აგრეთვე ყოფილი მოჭიდავე **კონსტანტინე ხუბულური** უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე კი **გია თენაძე** იქნება. საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელად **ზვიად შერმადინი** დაინიშნა. უკვე ვწერდით, რომ მოქმედი სპორტსმენი **გიორგი ბუხრიკიძე** გორის საცურაო აუზის დირექტორი გახდა. კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორს **ავთანდილ შოშიაშვილს**, ორი ახალი მოადგილე ჰყავს - ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი კრივში **ბექა ლობჟანიძე** და პროფესიონალებს შორის საქართველოს ჩემპიონის ქამრის მფლობელი **შალვა ჯომარდაშვილი.** გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორად კვლავ **ანზორ თენაძე** რჩება, მოადგილედ - ისევ ბატონი **გურამ პაპიტაშვილი.** ამ საკმაოდ წარმატებულ სკოლაში, სადაც ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** ვარჯიშობს, ახალ მოადგილედ ძიუდოისტი **იოსებ ფალელაშვილი** დაინიშნა.

საქართველოს ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობის ნაკრებებში განხორციელებული ცვლილებები გორელ მწვრთნელებსაც შეეხო. აქაური სპეციალისტები სწორედ ამ ორი სახეობის ეროვნულ და ასაკობრივ გუნდებში მუშაობდნენ. ძიუდოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ კვლავ გორელი **გიორგი ვაზაგაშვილი** რჩება, ხოლო გია თენაძე, რომელიც შარშან ჭაბუკთა და ქალთა გუნდების თავკაცი იყო, ამიერიდან მხოლოდ ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება. თავისუფალი ჭიდაობის ახალგაზრდულ ნაკრებში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ცნობილი გორელი სპეციალისტი **ნუგზარ სხირელი** აღარ იმუშავებს. ლუკა კურტანიძემ მის ადგილზე, ასევე გორელი **გიორგი გოგშელიძე** წარადგინა, თანაშემწედ - ამავე დარბაზის წარმომადგენელი **ოთარ თუშიშვილი.** კიდევ ერთი გორელი, **დავით პოლოსიანი** თავისუფალი ჭიდაობის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება.

დავძენთ, რომ გორში 2013 წლის ბიუჯეტი არათუ შემცირდა, როგორც ვარაუდობდნენ, არამედ გაიზარდა კიდეც.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

### მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს ძიუდოში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორს, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რამაზ ხარშილაძეს** და უსურვებს მას ჯანმრთელობას და წარმატებებს.

თარიღები და ფაქტები

### 16 - 17 იანვარი

**16. 1951 წ.** დაიბადა **რამაზ ხარშილაძე** - ძიუდო

**16. 2010 წ.** შედგა **ლევან კობიაშვილის** (ფეხბურთი) დებიუტი ბერლინის „ჰერტაში“.

**16. 2012 წ. სოფიო ქვაცაბაიამ** ბელეკის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**17. 1931 წ.** დაიბადა **ალექსანდრე შჩერბინა** - მძლეოსნობა.

**17. 1948 წ.** დაიბადა **დავით გოგია** - ფეხბურთი.

**17. 1961 წ.** დაიბადა **მაია ჩიბურდანიძე** - ჭადრაკი.

**17. 1979 წ.** დაიბადა **მამუკა წერეთელი** - ფეხბურთი.

**17. 1980 წ.** დაიბადა **ვალერი აბრამიძე** - ფეხბურთი.

**17. 2010 წ.** ძიუდოში კორეის მასტერსზე მესამე პრიზიორი გახდა **ლომერ ყორყოლიანი**.

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● დაჯილდოება

# არაოლიმპიელებიც გამოარჩიეს

გუშინ ხალხმრავლობა იყო კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ - ოლიმპიურმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა, ქართული სპორტის მესვეურებმა მოიყარეს აქ თავი. სპორტული რადიო „ჯა-კოს“ და მისი თავკაცის - ცნობილი ტელეკომენტატორის, კალათბურთში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ჯამლეტ ხუხაშვილის** თაოსნობით არაოლიმპიურ სახეობებში საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი გამოვლინდა და დაჯილდოვდა.



გენადი კვიკვინია (მარცხნივ)

სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტი ხმა მკლავჭიდში 2012 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა **გენადი კვიკვინიამ** მიიღო და წლის სპორტსმენადაც ის დაასახელეს. მეორე ადგილი სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულმა **გიორგი ბაინდუროვმა** დაიკავა. მესამე იყო საქართველოს ოთხგზის ფალავანი **ადამ ოქრუაშვილი**. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 4. **ლევან გილიგაშვილი** (მსოფლიოს ჩემპიონი ათლეტიზმში), 5. **ნანა ძაგნიძე** (დიდოსტატი, მსოფლიო რეიტინგით მე-5 ადგილი და ბლიცში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაო), 6. **გოგა ალთუნაშვილი** (ფუტსალი, „იბერია-სტარის“ კაპიტანი), 7. **უშანგი კუზანაშვილი** (სამბოში ევროპის ხუთგზის ჩემპიონი), 8. **დავით პატარიძე** (კარატეში მსოფლიო ჩემპიონი), 9. **პაატა ხმალაძე** (ბილიარდში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი), 10. **თემურ ქურციკიძე** (ნარდში საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი).

წლის საუკეთესო სპორტსმენებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. საინტერესო ღონისძიება სპორტკლუბ „თელას“ (ხელმძღვანელები - **თენგიზ** და **ლარისა გაჩეჩილაძეები**) მოცეკვავეებმა დაამშვენეს.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი



მაკა ფურცელაძე

## კარგად დაიწყეს

ესტონეთში გრძელდება სახელოვანი დიდოსტატის პაულ კერესის საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც ორი ჩვენებურიც მონაწილეობს. დიდოსტატ **მაკა ფურცელაძეს** უფრო მაღალი რეიტინგის მეტოქეები ჰყავს. განვლილ ოთხ ტურში მან ორი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და ერთიც წააგო, 2,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს. 3,5 ქულით მასპინძელი შვიჯოვი მეწინავეობს. რაც შეეხება ფიდეს ოსტატ **ვარლამ ვეფხვიშვილს**, მან ორი პარტია მოიგო და ამდენივეში დაუზავდა მეტოქეებს, ოთხი შესაძლებლიდან 3 ქულით რუს იური მალინინთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებს.

ვაჟა დანელია

## მწირი მონაგარი

ხუთი მოგება და ოთხი ყაიმი - ასეთი შედეგით დაასრულა ერევანში ანდრანიკ მარგარიანის საერთაშორისო მემორიალი უკრაინელმა დიდოსტატმა მარტინ კრავცივმა და ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გუშინ იგი რუს ალექსეი გოგანოვს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე დაზავდნენ: **შოთა აზალაძე** - ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი), **დავით ბენიძე** - ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი), ტიგრან ჰარუთიუნიანი - კარენ გრიგორიანი (ორივე - სომხეთი), შტეფან ჟილკა (ჩეხეთი) - ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა).

სამწუხაროდ, ქართველმა საერთაშორისო ოსტატებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს: ბენიძემ 3 ქულით ბოლო მე-10 ადგილი დაიკავა, ხოლო აზალაძემ 3,5 ქულით მეექვსე-მერვე ადგილები გაიყო.

წრიულ ტურნირში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: კრავცივი - 7, გრიგორიანი - 6,5, ბარიშპოლეცი, გოგანოვი - 5,5-5,5, გაბუზიანი - 4, ჟილკა, აზალაძე, ბაბუჯიანი - 3,5-3,5, ჰარუთიუნიანი, ბენიძე - 3-3 ქულა.

ვაჟა დანელია

● რეგიონი. ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ტურნირი საჩხერეში

საჩხერეში სპორტის სხვადასხვა სახეობის დაფუძნებასა და განვითარებაში დიდია იუზა ჩხეიძის წვლილი, რომელიც ამას წინათ წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი განსაკუთრებით ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. საჩხერის საჭადრაკო კლუბ „კაისას“ ინიციატივით დაარსა ამ ამაგდარი ადამიანის ხსოვნის ტურნირი. ეს ასპარეზობა ამ დღეებში გაიმართა საჩხერის კინოთეატრში ყველა ადგილობრივი უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით. გამარჯვებულ **კახა სამყურაშვილს** გადაეცა „კაისას“ გარდამავალი თასი. ჩემპიონთან ერთად პრიზიორები მალხაზ იაკობიძე და ნუგზარ გოგოლიძე ფულადი პრიზით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ტურნირი ტრადიციულად იანვარში გაიმართება.

თამაზ ლაშხი
საჩხერე

● შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა: გამიგია, რომ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია ოლიმპიური სოლიდარობა. გთხოვთ მიპასუხოთ, რას საქმიანობს ეს ორგანიზაცია?**

გიგა კაპანაძე
სტუდენტი

**პასუხი:** ოლიმპიური სოლიდარობა არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური პროგრამა, რომლის ძირითადი დებულებებიც მიიღო სოკის საგანგებო კომიტეტმა 1978 წელს. ოლიმპიური სოლიდარობის მიზანია, დაეხმაროს სოკის მიერ აღიარებულ ეოკებს. დახმარება ხორციელდება სოკისა და ეოკის მიერ შედგენილი ერთობლივი პროგრამით, რომელსაც ხელმძღვანელობს სოლიდარობის კომისია და თავმჯდომარეობს სოკის პრეზიდენტი. ოლიმპიური სოლიდარობა ხელს უწყობს ოლიმპიზმის პოპულარიზაციას, სპორტსმენთა და მწვრთნელთა ტექნიკური ცოდნის გაღრმავებას, სპორტის ადმინისტრაციულ მუშაკთა მომზადებას, საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან, ოლიმპიური განათლებისა და პროგრამების კომისიებთან, აგრეთვე სხვა მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

● ჩოგბურთი

# ანტალიიდან ისრაელში

გასულ კვირას ანტალიაში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში თამაშობდა **სოფიო ქვაცაბაია**. ერთეულთა თანრიგის სასტარტო შეხვედრა ჩვენებურმა უკრაინელი **მარიანა ზაკარლიუკთან** დათმო, წყვილებში კი სწორედ მარიანასთან ერთად ზედიზედ სამ დუეტს სძლია და ფინალში გავიდა, სადაც მე-2 ნომრად განთესილ ჩიაკი ოკადაეს (იაპონია) და მელის სეზერის (თურქეთი) ტანდემთან 3:6, 4:6 დამარცხდა.

გუშინ სოფიოს თურქეთში შევეხმიანეთ და ანტალიურ ბატალიებზე შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ:

- მარიანა ზაკარლიუკი საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელია. WTA-ს რეიტინგით იგი 280-ე იყო, ამჟამად მესამასეა. წყვილებშიც კარგად თამაშობს. ამიტომაც ვძლიეთ სამ მეტოქეს, მათ შორის - ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ უნგრელ რეკა-ლუკა იანის და ბულგარელ ისაბელა შინიკოვას. გადამწყვეტ პაექრობაშიც, ალბათ, არ გაგვიჭირდებოდა გამარჯვება, მაგრამ ჩემმა მეწყვილემ ფეხის კუნთი გაიწყვიტა და მთელი დატვირთვით ვერ ითამაშა.

**- ანტალიის მორიგ ტურნირში ახალ მეწყვილესთან ერთად იასპარეზებ...**

- დიახ, მე და შინიკოვა გამოვალთ ერთად, რადგან მარიანა ზაკარლიუკი ტრავმის გამო ერთდროულად ორ ფრონტზე ვერ გამოვა. ისაბელასთან ტანდემში უწინაც მიასპარეზია, ერთხელ ფინალშიც ვიყავით. პირველ ნომრად ვართ განთესილი. სტარტზე მეტოქე არ გვყოლია. ოთხშაბათს რეკა-ლუკა იანის და სლოვენიელი ნასტია კოლარის დუეტს დავუპირისპირდებით. მოგეხსენებათ, ფავორიტების წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. ასე რომ, ძნელი ბრძოლა გველის.

**- ანტალიის შემდეგ რომელ ტურნირში გეგმავ მონაწილეობას?**

- ერთი კვირის მერე ისრაელში გავემგზავრები და 28 იანვრიდან ეილათის 75.000-იან ტურნირში ჩავებმები. იმ ასპარეზობის დამთავრებისთანავე იქვე 6-9 თებერვალს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასზე ევროაფრიკული ზონის პირველი ლიგის შეჯიბრება გაიმართება. საქართველოს ნაკრებთან ერთად ავსტრიის, ბელარუსის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, ბულგარეთის, ხორვატიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, ისრაელის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვენიისა და თურქეთის ქალთა ეროვნული გუნდები მეორე პლეიოფში გასასვლელად იბრძოლებენ. ეს შეჯიბრება კი 2013 წლის აპრილშია დაგეგმილი. რაც შეეხება ევროაფრიკული ზონის პირველი ლიგის ასპარეზობას, იქ მონაწილე 16 გუნდი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდება, საიდანაც საუკეთესოები სწორედ იმ ორი საგზურისთვის შეეცილებიან ერთმანეთს, ბოლო ადგილებზე გასულნი კი ლიგაში დასარჩენად გაირჯებიან...

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ წინასწარი განაცხადით საქართველოს ნაკრები ეილათში ასეთი შემადგენლობით გამოვა: **სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ეკატერინე გორგოძე** და მოთამაშე **კაპიტანი მაკა ჩახნაშვილი**.



ფედერაციის თასის გათამაშებისთვის მზადების შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით შემოგთავაზებთ, ახლა კი ანტალიის ქალთა ახალ ტურნირს (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) დავუბრუნდეთ. გუშინ აქ ძირითადი ბადის სასტარტო შეხვედრები გაიმართა. სოფიო ქვაცაბაიამ, რომელიც ტურნირზე მეხუთე ნომრადაა განთესილი, იოლად დაამარცხა კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული სერბი დუნია სანკიჩი - 6:1, 6:1 და მეორე წრეში ჰოლანდიელი მარით ბოონსტრას მძლეველ (6:3, 5:7, 6:3) მი იოოს (კორეა) დაუპირისპირდება. დღეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისაბელა შინიკოვასთან ერთად იანი-კოლარის დუეტს შეხვდება.

ვაჟა დანელია

# იაპონური სინდრომი



ანა ტატიშვილი

სიდნეიში ორი დღეა, გრძელდება ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია პირველობა, რომლის ძირითად ბადეში იყო განთესილი 22 წლის **ანა ტატიშვილი**. ამას წინათ მან სიდნეის საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ორი მოგების შემდეგ მესამე შეხვედრა 42 წლის იაპონელ კიმიკო დატე-კრუმთან დათმო - 3:6, 0:6. და აი, მორიგი მარცხი ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთან - გუშინ Australian Open-ის პირველ წრეში მსოფლიოს რეიტინგით 72-ე ადგილზე მყოფ (თავად ტატიშვილი ამჟამად 54-ეა) აიუმი მორიტასთან წააგო - 3:6, 3:6. ორი კვირის შემდეგ WTA-ს განახლებულ რეიტინგში ქართველი ჩოგბურთელი შარშან ავსტრალიის ღია პირველობაზე მოპოვებულ 100 ქულას დაკარგავს და კლასიფიკაციაშიც დაქვეითდება (შეგახსენებთ, რომ შარშან სიდნეიში ანამ პირველი წრე დასძლია).

მწვანე კონტინენტზე ანა წყვილებშიც იასპარეზებს: პირველობის სტარტზე ანდრეა კლეპაჩთან (სლოვენია) ერთად ჩინელების - სინუან ჰანისა და იი-მიაო ჩჟოუს დუეტს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ტოჩინოშინი დაუმარცხებელია

ტოკიოში, სუმოს წლის პირველი სუპერტურნირის, ჰაცუ ბაშოს დაწყებიდან სამი დღე გავიდა და **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** დაუმარცხებელია. 25 წლის ფალავანმა, რომელიც აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირაა, მე-7 მაეგაშირა **მასუნოიამა** დაამარცხა: მეტოქე ელვისებურად ეცა ქართველს დაჯახებისას, თუმცა ლევანმა იორიკირის ილეთით მოიგო. ტოჩინოშინის მომდევნო მეტოქე მე-8 მაეგაშირა **იოშიკაძეა**, რომელსაც ბაშოზე ჯერ არ მოუგია.

ელიტის უმძიმესმა ფალავანმა (212 კგ) **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** კი წააგო, მას 38 წლის ვეტერანმა მონღოლმა, **კიოკუტენჰომ** აჯობა. გაგამარუს მორიგი მეტოქე ბულგარელი გოლიათი **აოიამაა**.

ბაშოს მესამე დღეს სენსაცია მოხდა: დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** პირველმა მაეგაშირა **მიოგირიუმ** აჯობა.



ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

**III დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** მიოგირიუ-ჰაკუჰო (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (სოტოგაკე), ამინიშიკი-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი (კოტენაგე), ტოჩიოძანი-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-შოჰოზანი (ცუკიოტოში), გოეიდო-ბარუტო (ოკურიდაში), კიოკუტენჰო-**გაგამარუ** (უვატენაგე), კაისეი-არანი (ცუკიდაში), **ტოჩინოშინი**-მასუნოიამა (იორიკირი).

**IV დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო, ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-გოეიდო, კისენოსატო-ბარუტო, კაკურიუ-ამინიშიკი, კოტოოშუ-მიოგირიუ, ტოჩიოძანი-შოჰოზანი, კაისეი-იკიოი, **გაგამარუ**-აოიამა, **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## კალათბურთი

### საქართველოს ნაკრები



# საქართველო, მეორედ პარკერის წინააღმდეგ

## მინიმუმ 7 მატჩი ევროპასკეტის მოსამზადებელ ეტაპზე

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის (4 სექტემბერს სლოვენიაში დაიწყება) მზადების პროცესში ევრობასკეტის ორ ფავორიტს დაუპირისპირდება - საფრანგეთსა და სერბეთს. სამთა ტურნირი ფრანგულ ქალაქ ანტიბში 15-17 აგვისტოს გაიმართება. ცნობილია მატჩების განრიგიც:

**15 აგვისტო:** საფრანგეთი-სერბეთი

**16 აგვისტო:** საქართველო-სერბეთი

**17 აგვისტო:** საფრანგეთი-საქართველო

*- საფრანგეთში დაგეგმილ შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. როგორც საფრანგეთი, ასევე სერბეთი ევრობასკეტის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის ფავორიტები არიან და მათთან ამხანაგურად გაჯიბრება ჩვენი ნაკრებისთვის მეტად სასარგებლო იქნება,* - გვითხრა გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

■ ■ ■

საინტერესოა, რომ 19-წლიან ისტორიაში საქართველოს ნაკრები ერთხელაც არ შეხვედრია სერბეთს. თუმცა ექსიუგებს ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელ-კალათბურთელები კარგად იცნობენ. თავად განსაჯეთ: საქართველოს ნაკრების თავკაცი სერბი **იგორ კოკოშკოვია;** სერბების დამრიგებელ **დუშან ივკოვიჩთან** წლების განმავლობაში მუშაობდა **გიორგი ცინცაძე** (მოსკოვის ცსკა-სა და „დინამოში"); **მილენკო ტეპიჩი** „პანათინაიკოსში" **გიორგი შერმადინის** თანაგუნდელი იყო, ხოლო ამჟამად **ბექა ბურჯანაძის** გვერდით სევილიის „კახასოლში" ირჯება.

■ ■ ■

რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, მასთან ამხანაგურად ერთხელ უკვე ვითამაშეთ: 2008 წელს ლატვიის საერთაშორისო ტურნირზე 69:90 დავმარცხდით. აი, როგორი შეფასება მისცა მატჩს ნაკრების მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა:**

*- მართალია, შედეგი არასახარბიელოა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმაღლესი დონის გუნდს ვხვდებოდით. ფრანგებს საწყისი სამი მეოთხედი თანაბრად ვებრძოლეთ, არაფერს ვუთმობდით, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა. ტონი პარკერი დინჯად ირჯებოდა, გარედან არ ჩაუგდია - შესვლებს ახორციელებდა... მისი თამაში პირველად ვნახე ცოცხლად და მინდა ვთქვა, რომ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.*

ფრანგებს პარკერის გარდა NBA-ში კიდევ არაერთი წარგზავნილი ჰყავთ - **იოაკიმ ნოა, კევინ სერაფინი, ბორის დიაო, ნიკოლა ბატუმი, რონი ტურიაფი, ნანდო დე კოლო.** სწორედ ამიტომაა ბოლო წლებში სამფეროვნები (თავად ფრანგები საკუთარ ნაკრებს ლურჯებს უწოდებენ) საერთაშორისო სარბიელზე კვარცხლბეკიდან რომ არ ჩამოდიან. მათ 2011 წლის ევრობასკეტზე მეორე ადგილი დაიკავეს, ფინალში ესპანეთთან დამარცხდნენ.

მკითხველისთვის ასევე საინტერესოა, კიდევ ვისთან გამართავს საკონტროლო შეხვედრებს საქართველოს ნაკრები. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს, რადგან გუნდს ყველა მატჩი გასვლაზე (ლიტვაში) უნდა ჩაეტარებინა, არ გაიმართა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შესაძლოა, ეს შეჯიბრება არც წლეულს ჩატარდეს, მაგრამ როგორც ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, კალათბურთის ფედერაცია ეცდება თბილისში მინიმუმ ერთი ამხანაგური მატჩი მაინც დაგეგმოს. თუმცა ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ვისთან როდის ვითამაშებთ.

*- წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაკრები მოსამზადებელ ეტაპზე შვიდიდან ცხრა მატჩამდე გამართავს. ყველაფერი დამოკიდებულია შემოთავაზებებზე. წლეულს ჩვენთან თამაშის სურვილს ბევრი ნაკრები გამოთქვამს და საქმე ასარჩევად გვაქვს. უბრალოდ ველით ზუსტ თარიღებს და ამის მიხედვით გადაწყვეტს იგორ კოკოშკოვი, სად ვითამაშებთ. საფრანგეთის გარდა კიდევ ორ საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. მოსამზადებელი მატჩების სრული სია საბოლოოდ თებერვლის დასაწყისისთვის დაზუსტდება.*

ცხადია, მკითხველს არანაკლებ აინტერესებს ნატურალიზებული ამერიკელის საკითხი. აი, რა გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა:

*- ამ საკითხზე მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ერთად ვმუშაობთ. სწორედ ის გადაწყვეტს, ისევ ჯეიკობ პულენს დაეყრდნობა თუ სხვას მოვიწვევთ.*

**ამხანაგური მატჩი**

**25.08.2008**

**რიგა, ლატვია**

**საქართველო-საფრანგეთი 69:90**

**24:22, 17:21, 14:18, 14:29**

**საქართველო:** ცინცაძე (25 წუთი, 1 ქულა, 3 პასი), ელისი (33 წთ, 12 ქ, 3 პ), სანიკიძე (29 წთ, 5 ქ, 8 მოხსნა), ცქიტიშვილი (22 წთ, 4 ქ), ფაჩულია (28 წთ, 23 ქ, 3 ჩაჭრა); სათადარიგონი: ვ. ბოისა (22 წთ, 11 ქ), შერმადინი (7 წთ, 8 ქ), გამყრელიძე (17 წთ, 2 ქ), შენგელია (9 წთ, 3 ქ, 1 დაფარება), ა. ბოისა (3 წთ, 2 მ), ტულუში (3 წთ), ბერიშვილი (1 წთ).

**საფრანგეთი:** ტელინი (2ქ), ჩიკანგუ (8ქ), ბოკოლო (5ქ), პარკერი (12ქ), გრადი (8ქ), დე კოლო (13ქ), ბრუნი (9ქ), ტურიაფი (12ქ), კირკსაი (3ქ), დიავარა (10ქ), სოლიმანი (2ქ), მარკიზი (2ქ)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 36 | მოხსნები | 30 |
| 14 | პასები | 16 |
| 7 | ჩაჭრა | 14 |
| 1 | დაფარება | 4 |
| 20 | დაკარგვა | 14 |
| 16 | ჯარიმა | 29 |
| 36/19 | ორქულიანები | 40/24 |
| 22/5 | სამქულიანები | 25/11 |
| 28/16 | საჯარიმოები | 10/9 |

### ქორქია-საკანდელიძის მემორიალი. პირველი დღე

# 2013 გაიხსნა

**2013 წელი „დინამოსა" და სტუ-ს დაპირისპირებით გაიხსნა - მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალზე პირველი შეხვედრები გაიმართა. ფავორიტები აუტსაიდერებს დაუპირისპირდნენ და ორივე მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.**

**15 იანვარი**

**დინამო-სტუ 85:59**

**19:14, 16:20, 26:15, 24:10**

**დინამო:** კარიმი (13ქ, 3პ), ჩიკვილაძე (5ქ, 5ჩ), ლილუაშვილი (9ქ, 3პ), კობაიძე, ნინიაშვილი (8ქ, 7მ), კეიდია (2ქ), გელაზონია (12ქ, 13მ), კლაიმენი (22ქ, 10მ, 3პ), ღუდუშაური (14ქ, 3პ, 3ჩ).

**სტუ:** ჩაჩიბაია (15ქ, 9მ), თევზაძე (6ქ), კვეტენაძე (8ქ, 11მ), კორკოტაძე (2ქ), ლ. მინაშვილი (6ქ), მაჩალაძე (4ქ, 7მ), პირველაშვილი (11ქ), დ. დვალიშვილი, კუქავა (1ქ), ჯანაშია (6ქ, 7მ), ქორიძე.

თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ შედარებით ახალგაზრდა სტუ-ელებს დინამოელთა შემოტევის მოგერიება გაუჭირდათ და მეორე ნახევარი **ირაკლი ხომტარიას** გუნდის კარნახით წარიმართა.

კი დავწერეთ, სტუ შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ გუშინ „დინამოს" მწვრთნელმა ნდობა გამოუცხადა 20-წლამდელთა გუნდის წევრებს და **ლილუაშვილმა, გელაზონიამ, ღუდუშაურმა** იმედები გაუმართლეს.

დღის ბომბარდირი „დინამოს" ლეგიონერი **ფლინ კლაიმენი** გახდა - 22 ქულა, 10 მოხსნა.

**სამედიცინო-არმია 62:99**

**12:30, 14:24, 19:21, 17:24**

**სამედიცინო:** ჯიქია (9ქ), ბიბილური (2ქ), არწივიძე (3ქ), შიოლაშვილი, გაბისონია (6ქ, 8მ, 3პ), ლ. რევაზაშვილი (2ქ), მაისურაძე (13ქ), ფერიაშვილი (6ქ), გ. რევაზაშვილი (8ქ, 9მ), კორძაძე (2ქ), ჭიჭვეიშვილი (11ქ, 7მ), ელიაძე.

**არმია:** გამყრელიძე (13ქ, 4პ), ბაბიაშვილი (10ქ), ა. ბოისა (6ქ, 7მ), უგრეხელიძე (12ქ), წივწივაძე (5ქ, 4პ), ვ. მინაშვილი (1ქ), საყვარელიძე (12ქ), შარაბიძე (10ქ), ჯგერენაია (14ქ, 7მ, 3ჩ), ფარღალავა (16ქ, 4პ).

მიუხედავად იმისა, რომ „არმია" ხუთმა წამყვანმა კალათბურთელმა დატოვა, გუშინაც დავრწმუნდით, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად რჩება. თუ დინამოელებს ტექნიკოსები 20 წუთის განმავლობაში თანაბრად ებრძოდნენ, არმიელებმა „სამედიცინოსთან" ყველა კითხვას პირველივე ტაიმში გასცეს პასუხი - დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ (54:26).

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ ეს იყო A ჯგუფის მატჩები. ამავე ჯგუფში მეხუთე გუნდი „ოლიმპია". B-ში ითამაშებენ: „შსს აკადემია", „რუსთავი", თსუ, „სოხუმი".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მემორიალის მეორე დღის კალენდარში ცვლილება განხორციელდა. 14 საათზე უნდა ეთამაშათ „არმიასა" და სტუ-ს. მათი დაპირისპირება 16 საათისთვის გადაიდო, ხოლო „სამედიცინო" „ოლიმპის" წინაშე 14 საათზე წარდგება.





თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

### სუპერლიგა



შსს აკადემიას მწვრთნელი გიორგიოს კეცელიდისი (მარცხნივ) და ლევან მიქაბერიძე

# ძველი გუნდით ახალი მიზნებისკენ

იანვარში სუპერლიგის ზოგიერთ გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა. დავინტერესდით, რა სიტუაციაა „შსს აკადემიაში", რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე „ოლიმპთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებზე დაასრულა. საინტერესოა ისიც, რომ შსს-ელებს 16, 18 და 20 წლამდელთა ჩემპიონატებშიც ჰყავთ კარგი გუნდები.

- ჩვენი პრიორიტეტი უცვლელია, - გვითხრა გუნდის სპორტულმა დირექტორმა ლევან მიქაბერიძემ, - გვაქვს გეგმა, რომლის მიხედვით ვცდილობთ ქართულ კალათბურთს რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა გავუზარდოთ. სწორედ ამიტომ გვყავს სამი ასაკობრივი გუნდი და თითოეულ კალათბურთელს ყველა პირობა აქვს სწორად განვითარებისთვის. სუპერლიგის წარმომადგენელი „შსს აკადემია" კი სწორედ ჩვენი ახალგაზრდული გუნდის წევრებით უნდა შეივსოს.

**- პირველი წრის შემდეგ შემადგენლობაში რა სახის ცვლილებები განხორციელდა?**

- პირველი გუნდი დატოვა ბესიკ ლეჟავამ. იგი „შსს აკადემიას" კარგი თამაშით არაერთხელ დახმარებია, თუმცა ამ ეტაპზე მისი და მწვრთნელის შეხედულებები არ დაემთხვა. გვესმის, რომ ლეჟავა ეროვნული ნაკრების კანდიდატია და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რისთვისაც სხვა გუნდში გადასვლა იქნება უმჯობესი. 20-წლამდელთა გუნდში დავიმატეთ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში გამოცდილი ლერი კვანტალიანი. იგი აქამდე „სოხუმის" ღირსებას იცავდა. 18-წლამდელთა გუნდს კი შეემატა სოსო მაჭავარიანი, რომელიც ჭაბუკთა ნაკრების წევრია.

**- „შსს აკადემია" ქორქია-საკანდელიძის მემორიალს რამდენად კარგად მომზადებული ხვდება?**

- 30 დეკემბრამდე ვვარჯიშობდით, რის შემდეგაც კალათბურთელებმა რამდენიმე დღე დაისვენეს და წვრთნა 3 იანვარს განვაახლეთ. ჩავატარეთ საკონტროლო მატჩი თსუ-სთან. მემორიალში ხუთშაბათიდან ჩავერთვებით და იმედი მაქვს, გუნდი შეძლებს შესაძლებლობების კარგად წარმოჩენას. აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ოთხივე ასაკის გუნდს. საპასუხოდ კი, ოთხივე ლიდერებს შორისაა.






### ქართველი NBA-ში

# ისევ ჩიკაგო, ისევ წააგო

„ატლანტა ჰოქსმა" არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფერული მატჩი ჩაატარა. მას ერთ მეოთხედში 20 და ნაკლები ქულა არასოდეს ჩაეგდო და ეს ჩიკაგოში „ბულსთან" „მოახერხა". საბოლოოდ 97:53 „ხარების" სასარგებლოდ.

„ჰოქსის" ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** 19 წუთში 4 ქულა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მისმა გუნდმა თამაშიდან 82-ჯერ სტყორცნა და მხოლოდ 24-ჯერ ჩააგდო. ზაზამ 9-დან 2 ორქულიანი გამოიყენა.

16 იანვარს NBA-ში ქართული დღეა: ზაზას „ატლანტა" **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინს" შეერკინება.



ფაჩულია ბუზერის წინააღმდეგ

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბექა ურჯუკაშვილთან

# ურჯუკაშვილები არ ნებდებიან

**საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ობენას" შუამარბი ბექა ურჯუკაშვილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ორი წლის წინათ, 2011 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშებისას გამოჩნდა. მაშინ ის ოცი წლის იყო. სამწუხაროდ, ახალგაზრდა უკანახაზელი ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე „ბორჯღალოსანთა" რიგებში ვერ მოხვდა. თუმცა ეროვნულ გუნდში ის არც მას შემდეგ გამოჩენილა.**



ბექა ურჯუკაშვილი

იმ პერიოდში, საქართველოს ნაკრებსა და ფედერალ 1 დივიზიონის კლუბ „ფიჟაკშიც" **ბექა ურჯუკაშვილი** ფულბეკის პოზიციაზე იყო გამწესებული. თუმცა ახალ გუნდში, „ობენაში", რომელშიც წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა, შუამარბად თამაშობს. საკლუბო კარიერისა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ მას საფრანგეთში დავუკავშირდით.

- საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის კვალობაზე „ობენა" საკმაოდ კარგად ორგანიზებული კლუბია. ახლა ამ გუნდის ხელმძღვანელებმა სამწლიანი პროექტი შეიმუშავეს, რომლის საბოლოო მიზანი ელიტურ, მეორე დივიზიონში ალზევებაა. წლევანდელი სეზონის წინ ბევრი ახალი მოთამაშე აიყვანეს. ცხადია, პლეი ოფში თამაში გვინდა, თუმცა რანგით უფრო მაღალ დივიზიონში გადასვლას ვერ შევძლებთ და არც არავინ გვთხოვს.

**- მეორე დივიზიონში თამაშის უფლების მოპოვება ერთია და იქ თამაშისთვის სათანადო პირობების ქონა მეორე. როგორია „ობენას" ინფრასტრუქტურა?**

- ჩვენს გუნდს შესანიშნავი საწვრთნელი ბაზა და სათამაშო მოედანი აქვს. ამ რეგიონში „ობენა" ყველაზე დიდი სარაგბო კლუბია. ძალიან კარგი მწვრთნელები გვყავს. მთავარ დამრიგებელ მარკ რენოს საფრანგეთის ნაკრებშიც უთამაშია, ფილიპ ავგუსტინი კი საფრანგეთის 20-წლამდელთა უკანა ხაზსაც ავარჯიშებს. ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა, სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, დილას მძლეოსნობის დარბაზში სიმძიმეებს ვეზიდებით, ოდნავ მოგვიანებით სისწრაფეზე ვვარჯიშობთ, საღამოს კი სათამაშო ტაქტიკას ვხვეწთ. ერთი სიტყვით, პროფესიონალი გუნდია, რაც ფედერალ 1 დივიზიონში იშვიათია.

**- უცხოელები ბევრნი ხართ?**

- არა, „ობენა" ძირითადად ფრანგებითაა დაკომპლექტებული, ჩემ გარდა გუნდში კიდევ ერთი ქართველი პირველხაზელი თემურ გელანტია და ორი არგენტინელი ირიცხება.

**- თემურ გელანტიამ სეზონის დასაწყისში რამდენჯერმე ითამაშა და მერე გუნდის შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა...**

- თემური გუნდის ძირითადი შერკინების ბურჯია. დასაწყისში სამ მატჩში ითამაშა და მერე ტრავმიანობამ შეუშალა ხელი. ნელ-ნელა მწყობრში შედის და, იმედია, მალე დაგვეხმარება.

**- აქამდე ძირითადად ფულბეკად და ხანდახან გარემარბად თამაშობდით, ამჟამად კი შუამარბის პოზიციაზე ხართ რეგულარულად...**

- დიახ, მე ფულბეკად თამაში მერჩია, ვიდრე გარემარბად, რადგან ჩემს შესაძლებლობებს მეტად ვიყენებდი. მერე 2011 წლის ივნისში, როცა ნაკრებთან ერთად ბუქარესტში IRB ერთა თასზე სათამაშოდ ვიყავი, მაშინდელმა დაცვის მწვრთნელმა, ავსტრალიელმა ჯონ მაგლტონმა მითხრა, შუამარბად (№12) თამაში სცადეო.

„ობენაში" კონტრაქტს ხელი რომ მოვაწერე გუნდის ხელმძღვანელებს ვუთხარი, ფულბეკად და შუამარბად თამაში შემიძლია მეთქი. მათ გადაწყვიტეს, რომ შუამარბად მეთამაშა და ახლა ყველა მატჩში ამ პოზიციაზე გამოვდივარ. ვფიქრობ, ცუდად არ გამომდის. მაგლტონი გამოცდილი სპეციალისტია და ეტყობა რაღაც დაინახა.

**- 2011 წლის IRB-ის ერთა თასი ახსენეთ. მას შემდეგ ნაკრებში აღარ გიძახებენ...**

- შარშან საქართველოს A ნაკრებს ვახლდი უელსში. იქ ეროვნული გუდნის მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგიც იმყოფებოდა. მაშინ ფულბეკად ვითამაშე. მერე ჰეიგი მელაპარაკა, მითითებები მომცა, მითხრა, რა მქონდა გასაუმჯობესებელი. ძირითადად აქცენტი სისწრაფესა და სისხარტეზე გააკეთა.

ეს ყველაფერი გავითვალისწინე, მას შემდეგ ამ კომპონენტების გაუმჯობესებაზე ვმუშაობ. საამისოდ სპეციალურად მწვრთნელიც ავიყვანე, რომელიც ჩემთან ინდივიდუალურად მუშაობს. ყველანაირად ვცდილობ წინ წავიდე, სრულვყო ოსტატობა და ნაკრებში როცა დამიძახებენ, სიამოვნებით ვითამაშებ.

**- ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით და რაგბის გარდა, ალბათ, სხვა გატაცებაც გექნებათ...**

- არა, მთლიანად რაგბიზე ვარ კონცენტრირებული. როგორც გითხარით, ყოველდღე ინტენსიური ვარჯიშები გვაქვს და მხოლოდ ოთხშაბათია თავისუფალი. ამის პარალელურად მწვრთნელთა კურსებზე დავდივარ, ერთი დიპლომი უკვე ავიღე, რაც უფლებას მაძლევს 15 და 17-წლამდელთა გუნდებთან ვიმუშაო. ამ ასაკის ბავშვებს უკანახაზში თამაშს ვასწავლი.

ამასთან ერთად სწავლასაც განვაგრძობ. თუმცა წინ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სათამაშო, უკვე ვფიქრობ, მორაგბის კარიერის დასრულების შემდეგ რა ვაკეთო. მინდა რაგბიში დავრჩე და მწვრთნელი გავხდე. ამას დრო სჭირდება და ამიტომ თადარიგს წინდაწინ ვიჭერ.

**- მალხაზ ურჯუკაშვილი თქვენი ბიძაა. 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ ეროვნულ გუნდში ისიც არ გამოჩენილა...**

- მახო ფედერალ 2 დივიზიონში მოასპარეზე „დეკასვილში" თამაშობს. შესანიშნავ ფორმაშია. ის უნივერსალია და უკანა ხაზში ყველა პოზიციაზე გამოჰყავთ, სადაც სჭირდებათ. ფაქტობრივად, ისე გამოდის ხოლმე, რომ „დეკასვილი" ხშირად მისი თამაშის წყალობით იგებს. იმ ცუდმა პერიოდმა, რაც ტრავმების სიხშირით იყო გამოწვეული, ჩაიარა და ძალიან კარგ ფორმაშია. ხშირად ასახელებენ ხოლმე მატჩის საუკეთესო მორაგბედ.

**- თქვენ ხომ არ აპირებთ, რომელიმე უფრო სერიოზულ გუნდში გადასვლას?**

- ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ამჟამად მხოლოდ „ობენას" ხელმძღვანელები მთავაზობენ გუნდში დარჩენას. თუმცა იმედი მაქვს, რომ უფრო ძლიერ გუნდში თამაშის საშუალებაც მომეცემა. როგორც უკვე ვთქვი, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.



მალხაზ ურჯუკაშვილი

მეტოქეები



ხუან ანტონიო ორენგა (მარცხნივ) და ბრაის ბევინი

# რეალური ორიენტირი 2019 წელი

**ერთა თასის გათამაშებაში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებს ესპანეთის ეროვნული ნაკრები. ამ გუნდს სათავეში ახალზელანდიელი ბრაის ბევინი უდგას, რომელიც ესპანეთში თითქმის 20 წელიწადია მუშაობს.**

ახლახან ესპანეთის რაგბის კავშირის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია, დევიზით - „ესპანური რაგბის წარსული, აწმყო და მომავალი", სადაც სიტყვით „ლომების" თავკაცი **ბრაის ბევინი** გამოვიდა. დარბაზში საკმაოდ მრავალფეროვან აუდიტორიას მოეყარა თავი. იქ იყვნენ ესპანეთის კალათბურთელთა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **ხუან ანტონიო ორენგა**, მსოფლიოს ჩემპიონი **ხორხე გარბახოსა**, ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი **ფერნანდო რამაი**, ასევე ჟურნალისტების ძალიან დიდი ჯგუფი, ყოფილი მორაგბეები, მწვრთნელები, მენეჯერები, კლუბების პრეზიდენტები და მათი სპონსორები.

*„ესპანეთში ოცი წლის წინათ, 1993 წელს ჩამოვედი. მაშინ ესპანეთის რაგბის განვითარების პროგრამის პრეზენტაცია მოვაწყვეთ, რომელსაც სულ სამი კაცი დაესწრო. დღეს კი პირთამდე სავსე დარბაზის წინაშე მომიწევს ლაპარაკი.*

*მაშინ ახალი ზელანდიიდან ვიდეოკასეტებით სავსე ჩანთა ჩამოვიტანე, რათა მესწავლებინა რაგბის თამაში ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის და მათ შორის ნიჭიერი სპორტსმენები აღმომეჩინა. ამჟამად ესპანეთში ბევრი სარაგბო კლუბია, რომლებსაც საბავშვო სკოლებიც აქვს, რაგბის თამაშობენ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.*

*ამჟამად ესპანეთში 15 ათასი ლიცენზირებული მორაგბე გვყავს, მათთან ერთად ბავშვების უდიდესი რაოდენობაა დაკავებული სპორტის ამ სახეობით. ჩვენი მიზანია მესამე დონის ქვეყნებიდან მეორეში უახლოეს მომავალში გადავბარგდეთ.*

*ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს კლასიფიკაციაში ამჟამად მე-18 ადგილზეა. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანია, 2019 წლის მსოფლიოს თასის საგზური მოვიპოვოთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 2015 წლის მსოფლიოს უდიდეს ფორუმზე თამაშის უფლების მისაღებად არ ვიბრძოლებთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ 1999 წელს მიღწეული შედეგი გავიმეოროთ. თუმცა მაშინ მსოფლიოს თასზე 24 გუნდი ასპარეზობდა. ამჟამად მათი რიცხვი ოცამდეა შემცირებული, რაც მდგომარეობას საგრძნობლად გვირთულებს.*

*ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ ნოემბერში აფრიკულ ტურნეში. იქ ნამიბიისა და ზიმბაბვეს ნაკრებები დავამარცხეთ და, ისედაც, შარშანდელი სეზონი შესანიშნავი გვქონდა. ვეცდებით, აკრეფილი სიჩქარე არ შევანელოთ"* - თქვა ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ბრაის ბევინმა.

# სტუდენტებმა რუსი დათვები დასცეს

**ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, რუსეთის ეროვნულმა გუნდმა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, საკონტროლო მატჩი გამართა იოჰანესბურგის უნივერსიტეტის ნაკრებთან და 12:21 დამარცხდა.**

თამაში სამი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. პირველი მესამედი რუსებმა 12:0 მოიგეს, თუმცა მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 60 წუთში მონაგრის გაზრდა ვერაფრით მოახერხეს. **პაველ კვერნაძემ** მესამე ხაზში ორი ტაიმის განმავლობაში ითამაშა. ძმები **ვალერი** და **გრიგორი ცნობილაძეები** კი რუსთა შემადგენლობაში მესამე ტაიმში გამოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრები ამავე უნივერსიტეტის გუნდს 1999 წელს გამართულ საწვრთნელ შეკრებაზეც შეხვდა და მაშინაც დამარცხდა. მორიგ შეხვედრას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები იოჰანესბურგის „ლაიონზთან" გამართავენ, რომელიც შარშან ზერაგბის გათამაშებაში ასპარეზობდა.

„ბორჯღალოსნები" რუსეთის ნაკრებს 23 თებერვალს სოჭში დაუპირისპირდებიან.

**რუსეთის ნაკრები**

**15. იგორ კურაშოვი, 14. იგორ კლუჩნიკოვი, 13. მიხაილ ბაბაევი, 12. ალექსანდრ მაკოვეცკი, 11. იაროლავ რეჩნევი, 10. სერგეი იანუშკინი, 9. ალექსეი შერბანი. 1. სერგეი ნოვოსელოვი, 2. სერგეი ჩერნიშევი, 3. ინოკენტი ზიკოვი, 4. მაქსიმ კისილევი, 5. რუსლან შირინოვი, 6. პაველ ბუტენკო, 7. ანდრეი გარბუზოვი, 8. პაველ კვერნაძე.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA
რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები


ბრენდონ ჯენინგსი

„მილუოკი ბაქსის" მცველი **ბრენდონ ჯენინგსი** და „ოკლაჰომა სიტის" ფორვარდი **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯენინგსი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ბრენდონი საშუალოდ მატჩში 24.5 ქულას (მეორე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში) აგროვებდა და 48.0 პროცენტის სიზუსტით ესროდა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე იყო 6.5 შედეგიანი პასი და 4.0 მოხსნა.

დურანტის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. მცველი თითოეულ მატჩში მინიმუმ 25 ქულას აგროვებდა, მათ შორის, სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა "ლეიკერსის" წინააღმდეგ - 42 ქულა მიითვალა. მისი საშუალო მონაგარი იყო - 32.5 ქულა (ლიდერი ლიგაში), 6.8 მოხსნა და 5.5 შედეგიანი პასი.

### ჯენინგსის კვირა

**8 იანვარი. მილუოკი-ფინიქსი 108:99**. 29 ქულა, 9 პასი.

**9 იანვარი. ჩიკაგო-მილუოკი 96:104.** 35 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი.

**11 იანვარი. მილუოკი-დეტროიტი 87:103**. 15 ქულა, 3 მოხსნა.

**13 იანვარი. ტორონტო-მილუოკი 96:107**. 19 ქულა, 10 პასი.

### დურანტის კვირა

**7 იანვარი. ვაშინგტონი-ოკლაჰომა 101:99**. 29 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 2 დაფარება.

**9 იანვარი. ოკლაჰომა-მინესოტა 106:84**. 26 ქულა, 8 მოხსნა.

**11 იანვარი. ლეიკერსი-ოკლაჰომა 101:116**. 42 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება.

**13 იანვარი. პორტლენდი-ოკლაჰომა 83:87**. 33 ქულა, 6 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დერონ უილიამსი** („ბრუკლინი"), **კენეტ ფარიდი** ("დენვერი"), **დევიდ უესტი** („ინდიანა"), **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი") და **ნიკოლა ვუჩევიჩი** ("ორლანდო").

### ვაშინგტონი-ორლანდო 120:91

**28:22, 31:31, 37:24, 24:14**

ვ: ოკაფორი (19+11 მოხსნა), პრაისი (18+6 პასი), სერაფინი (18+5 მოხსნა+3 დაფარება), ბილი (17), უოლი (12+6 პასი), ვესელი (10+7 მოხსნა).

ო: ნელსონი (19+12 პასი+3 ჩაჭრა), ვუჩევიჩი (13+13 მოხსნა), დევისი (13), რედიკი (12).

### ბოსტონი-შარლოტი 100:89

**28:18, 28:27, 20:25, 24:19**

ბ: პირსი (19+6 პასი), რონდო (17+10 მოხსნა+12 პასი), ბრედლი (16), გრინი (11), გარნეტი (7+10 მოხსნა).

შ: უორიკი (16), სეშენსი (16), უოკერი (12), გორდონი (12), კიდ-გილკრისტი (10+8 მოხსნა), ჰენდერსონი (10).

### ჩიკაგო-ატლანტა 97:58

**26:15, 22:5, 23:17, 26:21**

ჩ: ბუზერი (20+13 მოხსნა), დენგი (18), ნოა (9+16 მოხსნა).

ა: სკოტი (10), ჰორფორდი (6+11 მოხსნა).

### მემფისი-კლივლენდი 73:99

**19:25, 15:28, 18:20, 21:26**

მ: რენდოლფი (15+12 მოხსნა), ელინგტონი (11+6 მოხსნა), არტური (10), გასოლი (8+10 მოხსნა).

კ: ბარნსი (16+8 მოხსნა), კროუფორდი (16), ბლედსოუ (14), გრიფინი(10+6 მოხსნა+5 პასი).

### დალასი-მინესოტა 113:98

**26:19, 29:26, 36:25, 22:28**

დ: კოლისონი (23+9 პასი+3 ჩაჭრა), მაიო (20+7 მოხსნა+9 პასი), ბრენდი (20+6 მოხსნა), ნოვიცკი (10+6 პასი), კამანი (10), კარტერი (10).

მ: ბარეა (21+5 პასი), პეკოვიჩი (20+12 მოხსნა), კანინგემი (12+6 მოხსნა), კირილენკო (10+9 მოხსნა).

### იუტა-მაიამი 104:97

**30:25, 29:19, 25:21, 20:32**

ი: ჯეფერსონი (23+11 მოხსნა), ჰეივორდი (22), მილსეპი (17+9 მოხსნა), კეროლი (12).

მ: ჯეიმსი (32+6 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (16), ლუისი (13), ჩელმერსი (12+7 პასი), უეიდი (11+5 მოხსნა), ალენი (10).

### ფინიქსი-ოკლაჰომა 90:102

**24:21, 21:30, 23:21, 22:30**

ფ: ბრაუნი (21), გორტატი (19+15 მოხსნა), ბიზლი (14+11 მოხსნა), ტელფეირი (14), დრაგიჩი (11).

ო: დურანტი (41+5 მოხსნა), უესტბრუკი (36+8 მოხსნა+5 პასი), მარტინი (12+3 ჩაჭრა), პერკინსი (0+13 მოხსნა).

### საკრამენტო-კლივლენდი 124:118

**31:24, 38:33, 24:30, 31:31**

ს: კაზინსი (26+14 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ტორნტონი (20), ტ. ევანსი (18), ფრედეტი (16), სალმონსი (14), რობინსონი (12+7 მოხსნა).

კ: უეიტერსი (33+5 პასი), ტომპსონი (17+15 მოხსნა), მაილზი (17), ირვინგი (15+3 ჩაჭრა), ზელერი (13+6 მოხსნა), კასპი(10).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 36 | 24 | 12 | 66.7 |
| 2. ნიუ იორკი* | 37 | 24 | 13 | 64.9 |
| 3. ინდიანა* | 38 | 23 | 15 | 60.5 |
| 4. ბრუკლინი | 37 | 22 | 15 | 59.5 |
| 5. ჩიკაგო | 36 | 21 | 15 | 58.3 |
| 6. ატლანტა | 37 | 21 | 16 | 56.8 |
| 7. ბოსტონი | 37 | 20 | 17 | 54.1 |
| 8. მილუოკი | 36 | 19 | 17 | 52.8 |
| 9. ფილადელფია | 38 | 16 | 22 | 42.1 |
| 10. ტორონტო | 37 | 14 | 23 | 37.8 |
| 11. დეტროიტი | 38 | 14 | 24 | 36.8 |
| 12. ორლანდო | 37 | 13 | 24 | 35.1 |
| 13. შარლოტი | 37 | 9 | 28 | 24.3 |
| 14. კლივლენდი | 40 | 9 | 31 | 22.5 |
| 15. ვაშინგტონი | 35 | 7 | 28 | 20.0 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 38 | 30 | 8 | 78.9 |
| 2. კლიპერსი* | 38 | 29 | 9 | 76.3 |
| 3. სან ანტონიო* | 40 | 29 | 11 | 72.5 |
| 4. მემფისი | 36 | 24 | 12 | 66.7 |
| 5. გ. სტეიტი | 36 | 23 | 13 | 63.9 |
| 6. დენვერი | 39 | 23 | 16 | 59.0 |
| 7. ჰიუსტონი | 38 | 21 | 17 | 55.3 |
| 8. პორტლენდი | 37 | 20 | 17 | 54.1 |
| 9. იუტა | 40 | 21 | 19 | 52.5 |
| 10. მინესოტა | 35 | 16 | 19 | 45.7 |
| 11. ლეიკერსი | 37 | 16 | 21 | 43.2 |
| 12. დალასი | 39 | 16 | 23 | 41.0 |
| 13. საკრამენტო | 38 | 14 | 24 | 36.8 |
| 14. ფინიქსი | 40 | 13 | 27 | 32.5 |
| 15. ნიუ ორლეანი | 37 | 11 | 26 | 29.7 |

** - დივიზიონის ლიდერი*

### ქულა

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 29.8 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 29.3 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.2 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.5 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 20.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 20.1 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 19.9 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.5 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.7 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.1 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.1 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 10.9 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.9 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.9 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 10.6 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.2 |
| კენეტ ფარიდი (დენ) | 10.2 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.2 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.7 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.1 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.4 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.8 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.7 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.3 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 6.9 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.1 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.1 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 2.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.9 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.8 |
| მეტა უორლდ-პისი (ლეი) | 1.8 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.8 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.8 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.7 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.6 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.1 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.1 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 2.0 |

ველოსპორტი

# ლენსმა აღიარა


ლენს არმსტრონგი

ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** ამერიკელ ტელეწამყვანთან **ოპრა უინფრისთან** ინტერვიუში აღიარა დოპინგის გამოყენება. ამის შესახებ წერს სააგენტო AP საკუთარ წყაროზე დაყრდნობით.

ინტერვიუ 14 იანვარს, არმსტრონგის მშობლიურ ქალაქ ოსტინში ჩაიწერა. უინფრიმ თავის "ტვიტერზე" დაწერა, რომ საუბარი ორსაათ-ნახევარზე მეტხანს გრძელდებოდა.

არმსტრონგთან ინტერვიუს ჩანაწერი 17 იანვარს გავა ეთერში. ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კონფიდენციალურობის შესახებ, ამიტომაც, ველომრბოლის აღიარების დეტალები მხოლოდ გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ გახდება ცნობილი.

ინტერვიუმდე რამდენიმე საათით ადრე კი სკანდალურად ცნობილმა ველომრბოლმა პირველად მოიხადა ბოდიში იმის გამო, რომ მთელი კარიერა დოპინგს იყენებდა და ამის წყალობით მოიგო შვიდჯერ ტურ დე ფრანსი.

ლენსი ეწვია მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდს, რომელსაც "ლაივსტრონგი" ჰქვია და ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მის გარშემო აგორებულმა სკანდალმა საფრთხის წინაშე დააყენა საქველმოქმედო ორგანიზაციის მუშაობა და ბევრი უსიამოვნება მოუტანა ფონდის თანამშრომლებს. ველომრბოლი პირობას იძლევა, რომ აღადგენს "ლაივსტრონგის" რეპუტაციას და ფონდის თანამშრომლებს მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შეხვედრის დროს, არმსტრონგს ერთხელაც არ უთქვამს, რომ დოპინგის მომხმარებელი იყო.

ავტოსპორტი. დაკარი 2013

# სტეფანს კონკურენტი აღარ დარჩა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, განახლდა რალი-რეიდი დაკარი. გაიმართა მეცხრე ეტაპი, რომელიც ყველაზე გრძელი იყო წლევანდელ ავტომარათონზე. მონაწილეებს 593 კილომეტრი უნდა გაევლოთ.

კვლავაც დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს მოტომრბოლთა კლასში. არ გაუმართლა მეცხრე ეტაპის დროს გენერალური კლასიფიკაციის ლიდერს **დავიდ კასტოს** - ის ძროხას დაეჯახა, მხარი დაიზიანა და ორი საათი დაკარგა.

სამაგიეროდ, კარგად განვითარდა ეტაპი მოქმედი ჩემპიონ **სირილ დეპრესთვის**, რომელმაც საუკეთესო დრო აჩვენა, მაგრამ ამან ფრანგს საერთო ჩათვლაში ლიდერობა მაინც ვერ მოუტანა.

ახალი ლიდერი გახდა პორტუგალიელი **რუბენ ფარია**, რომელიც თითქმის ხუთწუთ-ნახევარს უგებს დეპრეს. საერთოდ, მოტომრბოლთა კლასში ისევ სიმჭიდროვეა და სავარაუდოდ, ბოლო მომენტამდე რთული იქნება გამარჯვებულის წინასწარმეტყველება.

### IX ეტაპი

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 5:41.36; 2. **ხოან ბარედა ბორტი** (ესპანეთი, "ჰუსკვარნა") - +4.03; 3. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, "ჰუსკვარნა") - +5.14; 4. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +7.47; 5. **ელდერ როდრიგესი** (პორტუგალია, Honda) - +8.47...

### საერთო ჩათვლა

1. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - 25:57.12; 2. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +5.23; 3. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +9.03; 4. **ივან იაკეში** (სლოვაკეთი, KTM) - +16.56; 5. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, "ჰუსკვარნა") - +22.58...



■ ■ ■

ავტომობილების კლასში კი პრაქტიკულად გარკვეულია გამარჯვებული. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ფრანგი **სტეფან პეტერანსელი** მეათედ მოიგებს დაკარის რალი-რეიდს. პეტერანსელის ერთადერთი კონკურენტი კატარელი ნასერ ალ-ატიია იყო, მაგრამ კატარელს სხვადასხვა სახის პრობლემა შეექმნა და ფინიშზე ყველაზე გვიან მივიდა. სწორედ ამის შემდეგ დარჩა უკონკურენციოდ პეტერანსელი.

რაც შეეხება მეცხრე ეტაპის გამარჯვებულს, ეს გახლავთ **ხოან რომა**, რომელმაც წლევანდელ რალიზე უკვე მეორე ტრიუმფს მიაღწია. მან ოთხი წუთი და 11 წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ პეტერანსელს.

### IX ეტაპი

1. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - 5:36.28; 2. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - +4.11; 3. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +6.54; 4. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - +8.37; 5. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +9.39...

### საერთო ჩათვლა

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 24:11.43; 2. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +49.31; 3. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +56.03; 4. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - +1:34.16; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +2:01.08...

ჰოკეი

# საუკეთესოები სტარტის წინ


სიდნი კროსბი

კანადურმა სპორტულმა ვებგვერდმა TSN-მ რეგულარული ჩემპიონატის წინ გამოაქვეყნა ლიგის საუკეთესო მოთამაშეთა რეიტინგი.

სიის სათავეში ვხედავთ "პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანს **სიდნი კროსბის**, რომელიც ზედიზედ მესამე წელია ინარჩუნებს პირველობას. ლოკაუტის პერიოდში 25 წლის კანადელი ჩრდილოეთ ამერიკაში დარჩა იმის მიუხედავად, რომ მისი გადაბირებით რამდენიმე ევროპული კლუბის იყო დაინტერესებული.

მეორე ადგილზეა კროსბის თანაგუნდელი **ევგენი მალკინი**. მას შარშან, ანალოგიურ რეიტინგში 22-ე ადგილი ეკავა. ლოკაუტის დროს რუსი მაგნიტოგორსკის "მეტალურგში" თამაშობდა და 37 მატჩში 65 ქულა (23+42) დააგროვა.

TSN-ის რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს "ფილადელფიას" ფორვარდი **კლოდ ჟირუ**, რომელმაც ასევე დიდი პროგრესი განიცადა შარშანდელთან შედარებით, როცა 25-ე ადგილზე იმყოფებოდა. ლოკაუტის პერიოდში ჟირუ გერმანიის "აისბარენში" გამოდიოდა.

ხუთეულში მოხვდა კიდევ ერთი რუსი **პაველ დაციუკი**, რომელიც გასულ წელთან შედარებით, ორი პოზიციით დაქვეითდა. 34 წლის ფორვარდმა ლოკაუტის პერიოდი მოსკოვის ცსკა-ში გაატარა და 31 მატჩში 36 ქულა (11+25) დააგროვა.

საინტერესოა, რომ ათეულში ვერ მოხვდა შარშანდელი მეორეადგილოსანი, "ვაშინგტონის" კაპიტანი **ალექსანდრ ოვეჩკინი**. ის ამჯერად მე-14 პოზიციაზე აღმოჩნდა.

NHL-ის საუკეთესო მოთამაშეთა ათეული ასე გამოიყურება:

1. სიდნი კროსბი (პიტსბურგი)
2. ევგენი მალკინი (პიტსბურგი)
3. კლოდ ჟირუ (ფილადელფია)
4. სტივენ სტემკოსი (ტამპა ბეი)
5. პაველ დაციუკი (დეტროიტი)
6. ჯონათან ტეუვზი (ჩიკაგო)
7. ში უებერი (ნეშვილი)
8. დანიელ სედინი (ვანკუვერი)
9. ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი)
10. ანჟე კოპიტარი (ლოს ანჯელესი)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რაგბი. ექვსი ერი

# გადაურჩება უელსი ხის კოვზს?



უელსის ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა **რობ ჰოულიმ** იმ 35 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ექვსი ერის გათამაშებაში „წითელი ურჩხულების" ღირსებას დაიცავენ. მოქმედი ჩემპიონის რიგებში ხუთი დებიუტანტი ითამაშებს.

ევროპის საუკეთესო გუნდს ბოლო დროს ტრავმებმა მწვავედ დარიეს ხელი. შედეგად ნოემბრის ტესტებზე უელსელები ძალიან ცუდად გამოვიდნენ და მსოფლიოს კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილიდან მეცხრემდე დაქვეითდნენ. ამჯერად ჰოულის სამწყსოს ცხრა წამყვანი მოთამაშე აკლია, რაც ნებისმიერი ძალის გუნდისთვის დიდი დანაკლისია. ესენი არიან: **ეშლი ბეკი, ჰიუ ბენეტი, ლუკ ჩარტერისი, ბრედლი დევისი, ჯეიმზ ჰუკი, აარონ ჯარვისი, ალუნ ვინ ჯოუნზი, დენ ლიდიატი** და **რის პრისტლენდი.**

როგორც უკვე ვთქვით, ნაკრების გაფართოებულ სიაში ხუთი დებიუტანტია. მათ შორის არიან გუნდის კაპიტნის, **სემ ვერბარტონის** კარდიფელი თანაგუნდელები **ჯოშ ნავიდი** და სამხრეთაფრიკული წარმოშობის **ანდრის პრეტორიუსი.** მათთან ერთად, უელსის ნაკრების კვართს პირველად მოირგებენ „ნიუპორტის" მეორეხაზელი **ენდრიუს კუმბსი** და ოსფრიზელები **ელი ვოლკერი** და **ჯეიმზ კინგი.**

კუმბსი და კინგი ავსტრალიური წარმოშობის არიან და ნაკრებში თამაშის შანსი მიეცათ ვინ ჯოუნზისა, დევისისა და ჩარტერისის ტრავმის გამო. ჰოულიმ გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში **რაიან ჯოუნზიც** ჩაწერა, თუმცა კარგად იცის, რომ ექვსი ერის საწყის ორ ტურში ის გუნდს ვერაფრით დაეხმარება.

უკანა ხაზში დაბრუნდა **ლი ბირნი** (კლერმონი), რომელსაც უელსის ნაკრებში 2011 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ არ უთამაშია.

*„ჩვენ საკმაოდ გამოცდილი მორაგბეებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. უნდა შევაქოთ ახალწვეულები, რომლებიც, დარწმუნებულნი ვართ, ნაკრებში ინტეგრირებას მალე შეძლებენ.*

*გუნდში მრავლად არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც კარგად იციან, როგორ უნდა მოიგონ დიდი მატჩები და ტურნირები, მათ არაერთხელ გაუსინჯავთ წარმატების გემო. დავიმატეთ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც ბოლო დროს თავიანთ კლუბებში გამორჩეულნი იყვნენ და მათ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს"* - თქვა ჰოულიმ.

უელსელები ექვსი ერის გათამაშებაში პირველ მატჩს შინ ირლანდიის ნაკრებთან გამართავენ. „სამყურები" წლეულს ფავორიტებად მიიჩნევიან და, სავარაუდოდ, მოქმედ ჩემპიონებს უშელავათო ბრძოლას შესთავაზებენ. მერე „წითელ ურჩხულებს" ზედიზედ სამი თამაში ელით სტუმრად, მათ შორის უშუალო კონკურენტებთან, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან. ბოლო ტურში კი მეტოქე შინ ინგლისი იქნება, რომელთანაც უელსის ამ ფორმაციის ნაკრებს, ვფიქრობთ, გამარჯვების შანსი არ აქვს.

ერთი სიტყვით, ექვსი ერის შარშანდელი გამარჯვებულები წლეულს, შესაძლოა, „ხის კოვზის" მფლობელები გახდნენ.

**უელსის ნაკრები**

**შერკინება:** სკოტ ენდრიუ, ლუ რიდი, ჯოშ ნავიდი, სემ ვერბარტონი, ენდრიუს პრეტორიუსი (ხუთივე-კარდიფი), კრაიგ მიტჩელი (ექსტერი), ადამ ჯოუნზი, რაიან ბევინგტონი, რიჩარდ ჰიბარი, რაიან ჯოუნზი, იან ევანსი, ჯეიმზ კინგი, ჯასტინ ტიპურიჩი (შვიდივე-ოსფრიზი), პოლ ჯეიმზი (ბასი), გეთლინ ჯენკინსი (ტულონი), მეთიუ რისი, კინ იუენსი, ჯოშ ტამბული, აარონ შინგლერი (ოთხივე-ჰლანეჰლი), ენდრიუ კუმბსი, ტობი ფალეატუ (ორივე-ნიუპორტი)

**უკანა ხაზი:** ლი ბირნი (კლერმონი), ლიამ ვილიამსი, ჯორჯ ნორსი, სკოტ ვილიამსი, ჯონათან დევისი, ტევის კნოლი (ჰლანეჰლი), ლეიგ ჰალპფენი, ალექს კატბერტი, ჯიმი რობერტსი, ლოიდ ვილიამსი (კარდიფი), ელი ვოლკერი, დენ ბიგარი (ოსფრიზი), ჯეიმზ ჰუკი (პერპინიანი), მაიკ ფილიპსი (ბაიონი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ჩოგბურთი

# ცუდი ამბავი



ბრედ დრიუიტი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) პრეზიდენტი **ბრედ დრიუიტი** იძულებულია დატოვოს თავისი პოსტი მას შემდეგ, რაც ექიმებმა მას უკურნებელი სენი - ე. წ. ლუ გერინგის ავადმყოფობა დაუდგინეს.

54 წლის ავსტრალიელი გააგრძელებს თავისი მოვალეობების შესრულებას იქამდე, სანამ მის მემკვიდრეს არ იპოვიან. დრიუიტის მმართველობის პერიოდში გაიზარდა "დიდი სლემის" ჩემპიონატების საპრიზო ფონდი, იყო ტურნირების კალენდრის გამარტივების მცდელობა, რომელიც საჩოგბურთო ელიტის აზრით, მეტად მჭიდრო იყო.

ლუ გერინგის ავადმყოფობა ცენტრალურ ნერვულ სისტემას ანადგურებს. ამ სენის განკურნება შეუძლებელია. ის აუცილებლად იწვევს დამბლას, ბოლოს კი ლეტალური შედეგი დგება სასუნთქი გზების ინფექციის გამო.

**გია თვალაბეიშვილი**

● ამბები

**ველოსპორტი**

## ჩემპიონი წავიდა

ბრიტანელმა ქალმა ველომრბოლმა **ნიკოლ კუკმა**, რომელიც 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, 29 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 2008 წელი საუკეთესო იყო კუკის კარიერაში. მაშინ მან შეძლო დროზე განცალკევებითი რბოლის მოგება არა მხოლოდ ოლიმპიადაზე, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატზეც.

მაგრამ კუკმა ჩააგდო ლონდონის ოლიმპიადა, სადაც მხოლოდ 31-ე მივიდა ფინიშთან ჯგუფურ რბოლაში. მაშინ ვერცხლის მედალი მოიგო მისმა თანამემამულემ და მთავარმა კონკურენტმა ბრიტანეთის საუკეთესო ქალი ველომრბოლის ტიტულისთვის ბრძოლაში - **ელიზაბეტ ერმიტსტედმა.**

**კრივი**

## მარკესი არ მიდის

მექსიკელმა მოკრივემ **ხუან მანუელ მარკესმა** კარიერის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო. მექსიკური პრესის ცნობით, ვეტერანმა მოკრივემ ყური არ უგდო მეუღლის თხოვნას და პროფესიულ რინგზე გამოსვლას გააგრძელებს.

არსებული ინფორმაციის თანახმად, მარკესი უკვე შეხვდა პრომოუტერ **ფერნანდო ბელტრანს,** სადაც გადაწყდა შემდეგი ბრძოლის ჩატარება 13 ან 20 აპრილს. როგორც ადრე იტყობინებოდნენ, მექსიკელის ყველაზე სავარაუდო მეტოქედ სახელდება **ჯესი ვარგასი** ან **ვიაჩესლავ სენჩენკო.** გამარჯვების შემთხვევაში, უკვე სექტემბერში ხუან მანუელი მეხუთედ შეხვდება ფილიპინელ **მენი პაკიაოს.**

**ჩოგბურთი**

## ფედერერმა დევისზე უარი თქვა

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის პირველ რაუნდში, - იტყობინება შვეიცარიის ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. 1-3 თებერვალს, ჟენევაში გაიმართება მსოფლიოს ჯგუფის შეხვედრა შვეიცარიასა და ჩეხეთს შორის. ამ მატჩში შვეიცარიელთა პირველი ნომერი იქნება მსოფლიოს რეიტინგის მე-17 ნომერი **სტანისლას ვავრინკა.** გარდა ამისა, შვეიცარიელთა რიგებში გამოძახებული არიან: **მარკო ჩიუდინელი** (148), **ჰენრი ლააკსონენი** (291), **სანდრო ეჰრატი** (353) და **მიხაელ ლამერი** (360).

შეგახსენებთ, რომ ჩეხეთი დევისის თასის მოქმედი ჩემპიონია.

**კალათბურთი**

## ჯინობილი ორი კვირა დაისვენებს

"სან ანტონიო სპურსის" შემტევი მცველი **მანუ ჯინობილი** ვერ დაეხმარება თავის გუნდს 10-14 დღის განმავლობაში, - იტყობინება Yahoo Sports. არგენტინელმა კალათბურთელმა მარცხენა მუხლის ტრავმა ორი დღის წინ, "მინესოტასთან" მატჩის დროს მიიღო.

მიმდინარე რეგულარულში ჯინობილი საშუალოდ მატჩში 12.6 ქულასა და 4.6 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

## რეი ოტეულს მიუახლოვდა

"მაიამი ჰიტის" ვეტერანი მცველი **რეი ალენი** 21-ე ადგილზე გადავიდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში. "იუტასთან" გასვლით შეხვედრაში (97:104), ალენმა 10 ქულა დააგროვა და ახლა, მის ანგარიშზე მოდის 23 336 ქულა კარიერაში, რაც ორი ქულით მეტია "ბოსტონის" ლეგენდის **რობერტ პერიშის** მონაგარზე.

ალენის შემდეგი სამიზნეა **ჩარლზ ბარკლი,** რომელიც მე-20 ადგილზეა და 421 ქულით უსწრებს რეის.

**გია თვალაბეიშვილი**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ავსტრია-ჰორნი | 4:0 |
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 3:2 |
| მიუნხენი-დინამო (ზ) | 1:0 |
| კიოლნი-დუისბურგი | 3:1 |
| თუნი-იანგ ბოიზი | 0:1 |
| მატერსბურგი-ოლომოუცი | 1:3 |
| სელტიკი-სტიაუა | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ტორკი-ექსეტერი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ნანიტონი | 1:3 |
| დარტფორდი-მაკლსფილდი | 2:0 |
| სტოკპორტი-მენსფილდი | 1:3 |
| ტელფორდი-ლუტონი | 0:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| **გადათამაშება** | |
| ბირმინგემი-ლიდსი | 1:2 |
| ბორნმუთი-უიგანი | 0:1 |
| ბრენტფორდი-საუთენდი | 2:1 |
| ლეიტონი-ჰალი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| მილტონი-უენსდი | 2:0 |
| სტოკი-კრ. პალასი | 1:1 დ.დ. 4:1 |
| სანდერლენდი-ბოლტონი | 0:2 |
| ბლეკპული-ფულჰემი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| **ინგლის** | |
| **League Trophy** | |
| ქრიუ-ბრედფორდი | 4:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ინტერი-ბოლონია | 2:2 დ.დ. 3:2 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩი** | |
| რეალი-ვალენსია | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| სტ. ეტიენი-ლილი | 0:0 პენ. 7:6 |
| **თურქეთის თასი** | |
| მერსინი-ტრაბზონი | 0:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| დონეგალი-კლიფტონვილი | 0:1 |
| დუნგანონი-გლენავონი | 2:1 |
| გლენტორანი-ბალიმენა | 1:2 |
| კოლრეინი-ბალინამალარდი | 1:5 |
| ლისბურნი-პორტდაუნი | გადაიდო |
| **აზია** | |
| **გულფის თასი** | |
| საემიროები-ქუვეითი | 1:0 |
| ერაყი-ბაჰრეინი | 1:1 პენ. 4:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ვეფ რიგა-ბილბაო | 99:76 |

| | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| კრ. [illegible]-ნიჟნი ნოვგოროდი | 92:75 |
| ჟოენსუ-ვენტსპილსი | 80:78 |
| პინარი-გაზ მეთანი | 89:59 |
| ჟოლნოკი-გრაველინი | 75:71 (ო) |
| თოფასი-ხიმიკი | 93:90 |
| პარიზი-ჰაპოელი (ჰ) | 83:66 |
| ოლდენბურგი-მინსკი | 74:64 |
| ოკაპი-ბონი | 60:65 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ბელარუსი-ს. კორეა | 26:20 |
| რუსეთი-კატარი | 29:22 |
| ტუნისი-ჩერნოგორია | 27:25 |
| ეგვიპტე-ალჟირი | 24:24 |
| ისლანდია-მაკედონია | 23:19 |
| სერბეთი-ს. არაბეთი | 30:20 |
| გერმანია-არგენტინა | 31:27 |
| ესპანეთი-ავსტრალია | 51:11 |
| დანია-ჩილე | 43:24 |
| პოლონეთი-სლოვენია | 24:25 |
| საფრანგეთი-ბრაზილია | 27:22 |
| ხორვატია-უნგრეთი | 30:21 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| იუგრა-ბარისი | 6:4 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 6:5 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 2:3 (ბ) |
| ლევ პოპრადი-სლოვანი | 3:4 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზაგრები | 2:3 |
| ვენა-ლინცი | 5:4 |
| ვილახი-ზნოიმო | 7:4 |
| დორნბირნი-გრაცი | 3:2 (ო) |
| კლაგენფიურტი-ინსბრუკი | 2:3 (ბ) |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 1:5 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ოდენსე | 3:2 (ბ) |
| სონდერიისკი-კოპენჰაგენი | 9:1 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:2 |
| ესბერგი-ფრედრიკშავნი | 1:7 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სპარტა | 2:1 |
| ლილეჰამერი-სტრიერნენი | 4:3 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-იოკერიტი | 0:5 |
| კერპეტი-ლუკო | 2:4 |
| ტპს-პელიკანსი | 2:3 |
| ჰიფკ-იუვიასკიულა | 4:1 |
| ესეტი-ტაპარა | 4:5 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 1:3 |
| **შვეიცარია** | |
| ლანგნაუ-კლოტენი | 2:3 (ბ) |
| ცუგი-ამბრი | 1:6 |
| ციურიხი-სერვეტი | 6:3 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ტიმრა | 4:3 (ბ) |

● TV პროგრამა

**16 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ფეიენოორდი.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ჩელსი.
**14:00** ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი. ეინდჰოვენი-დნიპრო.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბენფიკა-სელტიკი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. აიაქსი.
**20:30** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ტოტენჰემი.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. დორტმუნდი.
**23:45** ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ჩელსი-საუთჰემპტონი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გალათასარაი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-პორტლენდი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. რასინგი-სარასენზი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
**20:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. დეტროიტ პისტონსი. 1988-89 წლები.
**22:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-პორტლენდი.
**00:45** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბრისბენი. ავსტრალია.
**13:40** სპორტ-NEWS.
**14:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბრისბენი. ავსტრალია.
**16:05** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**16:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. მონტეპასკი-მაქაბი.
**18:45** სპორტ-NEWS.
**19:15** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ლევერკუზენი-მეტალისტი.
**21:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-იუტა.
**23:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -6 | 5 | (მზე) |
| ქუთაისი | 0 | 10 | (მზე) |
| ბათუმი | 0 | 13 | (მზე) |
| ფოთი | 2 | 12 | (მზე) |
| ზუგდიდი | -2 | 11 | (მზე) |
| გორი | -10 | 5 | (მზე) |
| თელავი | -7 | 5 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -8 | 4 | (მზე) |
| ბაკურიანი | -18 | -1 | (მზე) |
| ბორჯომი | -14 | 2 | (მზე) |
| მესტია | -12 | -2 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2103 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6605 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4750 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ბებიამ პეტროვა დაამარცხა

**ავსტრალიის ღიაზე დასრულდა პირველი წრე. პირველი სათამაშო დღისგან განსხვავებით, ამჯერად ბევრი განთესილი გამოეთიშა ბრძოლას, იყო სენსაციებიც, დამყარდა ერთი რეკორდი. მოკლედ, დღე მელბურნში საინტერესო გამოვიდა...**

## ცენტრალური მატჩი

დღის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკისა** და ცოტა ხნის წინ, რეიტინგის ტოპ-ოცეულის წევრის **საბინ ლისიცკის** დაპირისპირება იყო (ორივენი პოლონური წარმოშობისა არიან).

ვოზნიაცკის თამაშს არ ესწრებოდა მისი ბოიფრენდი, პროფესიული გოლფის პირველი ნომერი **რორი მაკილროი**, რომელიც ამჟამად, აბუ დაბიში იმყოფება და იქ ტურნირში მონაწილეობს. გუშინდელი დღე წყვილისთვის ბედნიერი აღმოჩნდა. სანამ კარო კორტზე გავიდოდა, გამოცხადდა, რომ მაკილროიმ ახალი, მრავალწლიანი და მრავალმილიონიანი კონტრაქტი გააფორმა კომპანია "ნაიკთან". ამ ამბით გამოწვეული სიხარული არ გააფერმკრთალა ვოზნიაცკიმ და ლისიცკის დამარცხებით, თავადაც გაუკეთა საჩუქარი ბოიფრენდს.

ლისიცკიმ დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ უწოდებდნენ განუთესავებს შორის ყველაზე სახიფათო მეტოქეს. გერმანელი, ამჟამად, 36-ე ადგილზეა WTA-ის რეიტინგში. ბოლო ორი უიმბლდონის ნახევარფინალისტმა და მეოთხედფინალისტმა ბოლო დროს უკლო თამაშს, თორემ შარშან, მე-12 პოზიციაზე იყო კლასიფიკაციაში.

დანიელი ბეწვზე გადაურჩა დამარცხებას - მესამე სეტში 0:3 ჩამორჩა, მაგრამ ზედიზედ ექვსი გეიმის აღებით, სასწაულებრივ გადაარჩინა შეხვედრა. ვოზნიაცკიმ ძალიან საიმედო ჩოგბურთი ითამაშა - მან მხოლოდ რვა უნებლიე შეცდომა დაუშვა, იმ დროს, როცა ლისიცკის ანგარიშზე 57 (!) შეცდომა მოდის. მაგრამ ამ ერთი ლოკალური წარმატებით ვერ ვიმსჯელებთ დანიელის მზადების დონეზე. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ბოლო წელიწად-ნახევარია ვოზნიაცკი ძალიან არასტაბილურია - მარცხი უიმბლდონისა და ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში, როლან გაროსის მესამე რაუნდში... ეს ყველაფერი იმის თამამად თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ არავის გაუკვირდება ვოზნიაცკის მარცხი მეორე წრეში...

სხვათა შორის, ვოზნიაცკიმ არ უღალატა ტრადიციას და მელბურნში ამჯერადაც გადალახა პირველი წრის ბარიერი. ეს მან ზედიზედ მეექვსედ გააკეთა.

■ ■ ■

როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** რეიტინგის მეხუთე ათეულში დაეშვა, მაგრამ პირველ რაუნდში მასთან შეხვედრას არავინ ისურვებდა. საბოლოოდ, აპენინელი **პეტრა კვიტოვას** გადაეყარა, რომელთანაც წარმატების შანსი ჰქონდა, რადგან ჩეხი ძალიან მძიმედ შევიდა ახალ სეზონში. მაგრამ, პეტრამ პირველად მისცა წელს თავის გულშემატკივრებს სიხარულის საბაბი.

სკიავონე პერიოდულად ახერხებდა საიმედოდ და ძლიერად თამაშს, რაც მთავარია, საკუთარი განწყობით პუბლიკა თავის მხარეს გადაიყვანა. ფრანჩესკამ მოასწრო ამ მატჩში აუტსაიდერად და ლიდერად ყოფნა, თუმცა საბოლოოდ წააგო, ოღონდ ეს სახეზე ღიმილით გააკეთა.

## დღის რეკორდი

იაპონელმა **კიმიკო დატემ** პირველად 23 წლის წინ ითამაშა ავსტრალიის ღია პირველობაზე. მაშინ მან ცნობილი ამერიკელი **პემ შრაივერი** დაამარცხა და მეოთხე წრეში გავიდა. ოთხი წლის შემდეგ, დატემ არანაკლებ სახელოვან **კონჩიტა მარტინესს** სძლია, რითაც ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, თუმცა იქ მომავალ ჩემპიონთან **შტეფი გრაფთან** დამარცხდა.

შრაივერი, მარტინესი და გრაფი უკვე დიდი ხანია ჩამოშორდნენ დიდ ჩოგბურთს, კიმიკო დატე კი ჯერაც თამაშობს და გუშინ, ავსტრალიის ღიას ისტორიაში ქალთა ერთეულთა თანრიგის მატჩის ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული გახდა.

თანაც, 42 წლის იაპონელს იოლი მეტოქე არ ჰყოლია - მე-12 ნომრად განთესილი რუსი **ნადია პეტროვა**. ანგარიშიც შთამბეჭდავია - 6:2, 6:0. როგორც იტყვიან, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

## დღის სენსაცია

შარშანდელ სეზონში გაბრწყინების შემდეგ, **სარა ერანი** წელს ჯერჯერობით ვერაფრით იწონებს თავს. მისი მორიგი ჩავარდნა გახდა მატჩი **კარლა სუარეს ნავაროსთან**. საბოლოო ანგარიშია - 6:4, 6:4, რომელიც შეიძლება სენსაციად ვერ მოვნათლოთ, მაგრამ სერიოზული მოულოდნელობა ნამდვილად არის. ორივე სეტი ერთნაირი სცენარით მიდიოდა - თავიდან ესპანელი ბრეიკით გადიოდა წინ, შემდეგ ერანი ათანაბრებდა ანგარიშს, მაგრამ მაშინვე აგებდა საკუთარ მოწოდებას.

## დღის განადგურება

ავსტრალიის ღიას მთავარმა ფავორიტმა **სერენა უილიამსმა** რუს **მარია შარაპოვას** მიჰბაძა და მანაც „მშრალი" ანგარიშით მოიგო პირველი წრის მატჩი რუმინელი **ედინა გალოვიცის** წინააღმდეგ. მაგრამ, ამერიკელმა მაინც გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივარი. ფანებს ახსოვდათ შარშანდელი სიტუაცია, როცა სერენამ ბრისბენში კოჭის ტრავმა მიიღო და ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვა. ახლა, უმცროს უილიამსს იგივე უბედურება კინაღამ გუშინდელ მატჩში შეემთხვა. მარჯვნიდან დარტყმის დროს, ამერიკელმა წონასწორობა დაკარგა და ფეხი გადაიბრუნა. თუმცა, საბედნიეროდ, მინიმალური სამედიცინო ჩარევა აღმოჩნდა საკმარისი უილიამსის კორტზე დასაბრუნებლად. რუმინელს „ცალფეხა" სერენასთან შანსი არ ჰქონდა. ამერიკელმა შარაპოვაზე უკეთესი მაჩვენებლები დააფიქსირა - მატჩი 54 წუთში მოიგო (მარიამ 55 წუთში) და მეტოქეს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მისცა (შარაპოვას ორი ასეთი საფრთხის მოგერიებამ მოუწია).

რა თქმა უნდა, მოიგო თავისი პირველი შეხვედრა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ**, თუმცა ის ისეთი დამაჯერებელი არ ყოფილა, როგორც შარაპოვა და სერენა უილიამსი. **მონიკა ნიკულესკუსთან** მატჩის პირველ სეტში ბელარუსი საიმედოდ გამოიყურებოდა, ასე რომ, ამ პარტიაში დიდი ბრძოლა არ ყოფილა. სამაგიეროდ, მეორე სეტში ვიქტორიას ერთგვარი ჩავარდნა დაეწყო: ბევრ შეცდომას უშვებდა და მალე რუმინელმა 3:0 წაიყვანა ანგარიში. უფრო მეტიც, მეოთხე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტიც მიიღო. ამ მომენტში აზარენკა საკუთარ თავს გაუბრაზდა და როგორც ჩანს, ამან საბრძოლველად განაწყო. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი საბოლოო აჩქარება გააკეთა.

## დღის დებიუტანტები

იშვიათია „დიდი სლემის" ტურნირებზე ახალგაზრდა მოთამაშეთა ასეთი მასობრივი წარმატება. ამას სათავე დაუდო ყაზახმა **იულია პუტინცევამ**. ასაკით ერთ-ერთმა ყველაზე ნორჩმა ჩოგბურთელმა შეძლო გაცილებით გამოცდილი **კრისტინა მაკჰეილის** სამ სეტში დამარცხება. თუმცა ასაკობრივი რეკორდი გუშინ მაინც ევროპელებს ჰქონდათ. 16 წლის ხორვატი **დონა ვეკიჩი** მოულოდნელად ძალიან იოლად გაუსწორდა ჩეხ **ანდრეა ჰლავაჩკოვას**. ახლა მას წინ აქვს მატჩი კაროლინ ვოზნიაცკისთან. გაახარა თავისი გულშემატკივრები გერმანელმა **ანიკა ბეკმა**, რომელმაც ტურნირის 28-ე ნომერი **იაროსლავა შვედოვა** გაამგზავრა შინ. ავსტრალიის ღიას ბადეში დამაჯერებელი დებიუტი ჰქონდა **ლაურა რობსონს** - მან იოლად სძლია **მელანი ოუდინს**, ხოლო გამოცდილმა **სოფია არვიდსონმა** დღის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გამოაცხო, როცა ტაილანდელ დებიუტანტთან **ლუკ-ჰიკა კუმხუმთან** წააგო.



## დღის მარათონები

გუშინ, პირველ წრეში რამდენიმე მარათონული მატჩი გაიმართა. აღვნიშნავთ ესპანელი **გარბინ მუგურუსას** მოგებას **მაგდალენა რიბარიკოვაზე** - 4:6, 6:1, 14:12, აგრეთვე **კრისტინა მლადენოვიჩის** გამარჯვებას **ტიმეა ბაბოშთან** მატჩში - 6:3, 4:6, 11:9. მამაკაცთა ბადეში ასევე ორი მატჩის გადამწყვეტ სეტში მივიდა საქმე 6:6-მდე. უაილდ-ქარდის მფლობელი ავსტრალიელების დაპირისპირებაში **ჯეიმს დაკუორტმა ბენჯამინ მიტჩელს** სძლია (6:4, 7:6(8), 4:6, 5:7, 8:6), ხოლო 34 წლის **ტომი ჰაასმა** მატჩბოლი ვერ გამოიყენა 31 წლის **იარკო ნიემინენის** წინააღმდეგ და წააგო - 6:7(3), 6:4, 3:6, 6:4, 6:8. საინტერესოა, რომ ეს არის გერმანელის ზედიზედ მესამე წაგებული ხუთსეტიანი მატჩი „დიდი სლემის" ტურნირებზე - უიმბლდონზე მან თანამემამულე **ფილიპ კოლშრაიბერთან** წააგო, აშშ-ის ღიაზე - **ერნესტ გულბისთან**, როცა სეტებში 2:0-ს იგებდა.

**გია თვალაბეიშვილი**

### I წრე

#### კაცები

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:1, 6:2, 6:2; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ალიაჟ ბედენე (სლოვენ) 4:6, 6:3, 7:5, 7:6(1); **ჟერემი შარდი (საფ)**-ადრიან მენენდეს-მასეირასი (ესპ) 7:6(5), 6:7(3), 6:2, 6:1; **მარსელ გრანოლერსი (ესპ, 30)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 7:6(6), 7:6(5), 1:0 უარი; **ანდრეას სეპი (იტა, 21)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 6:2, 6:4, 6:3; **დენის ისტომინი (უზბ)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; **რაჯივ რამი (აშშ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 6:4, 3:6, 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 12)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:4, 7:5, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 14)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 2:6, 6:3, 6:2, 6:2; **ჯესი ლევინი (კან)**-ტომი რობრედო (ესპ) 7:6(5), 6:7(2), 6:4, 6:4; **იუენ-ჰსუე ლუ (ტაივ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:2, 6:1, 4:6, 6:1; **გაელ მონფილსი (საფ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 18) 6:7(7), 7:6(4), 6:3, 6:3; **ფლორიან მაიერი (გერ, 25)**-რინ უილიამსი (აშშ) 2:6, 3:6, 6:2, 7:6(12), 6:1; **რიკარდას ბერანკისი (ლიტ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:2, 7:6(4), 7:5; **ჟოაო სოუზა (პორ)**-ჯონ-პატრიკ სმიტი (ავსტრა) 6:4, 6:1, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:3, 6:1, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 7:5, 6:2; **გო სოედა (იაპ)**-ლუკ სევილი (ავსტრა) 6:7(4), 6:3, 6:2, 6:3; **ჯეიმს დაკუორტი (ავსტრა)**-ბენჯამინ მიტჩელი (ავსტრა) 6:4, 7:6(8), 4:6, 5:7, 8:6; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 29) 6:3, 6:1, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ტომი ჰაასი (გერ, 19) 7:6(3), 4:6, 6:3, 4:6, 8:6; **ივან დოდიგი (ხორ)**-დი ვუ (ჩინ) 7:5, 4:6, 6:3, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ჟოსლენ უანა (საფ) 6:4, 7:5, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:5, 6:2, 6:1; **მილოშ რაონიჩი (კან, 13)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 3:6, 6:1, 6:2, 7:6(0); **ლუკაშ როსოლი (ჩეხ)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 7:6(5), 7:5, 6:2; **ამირ ვაინტრაუბი (ისრ)**-გუიდო პეია (არგ) 7:6(2), 7:5, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 17)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:2, 6:3, 6:4; **დანიელ ბრანდსი (გერ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ, 27) 6:3, 3:6, 6:3, 6:4; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:3, 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-დუდი სელა (ისრ) 3:6, 6:1, 7:5, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ბენუა პერი (საფ) 6:2, 6:4, 6:1.

#### ქალები

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:1, 6:4; **ელენი დანილიდუ (საბ)**-კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ) 7:5, 5:7, 6:4; **ლუკსიკა კუმხუმი (ტაილ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 7:6(5), 6:4; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ, 31) 6:2, 6:4; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ, 21)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:4, 6:1; **ელენა ვესნინი (რუს)**-კაროლინ გარსია (საფ) 3:6, 6:3, 6:1; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:4, 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 16)**-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:3, 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-საბინ ლისიცკი (გერ) 2:6, 6:3, 6:3; **დონა ვეკიჩი (ხორ)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:1, 6:2; **დარია გავრილოვა (რუს)**-ლორენ დევისი (აშშ) 6:3, 6:7(2), 6:4; **ლესია ცურენკო (უკრ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 24) 7:5, 3:6, 7:5; **სუ-ვეი ჰსიე (ტაივ, 26)**-ლარა არუაბარენა (ესპ) 7:6(5), 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:2, 6:1; **იულია პუტინცევა (ყაზ)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:1, 6:7(0), 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-სარა ერანი (იტა, 7) 6:4, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 3)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:0, 6:0; **გარბინ მუგურუსა (ესპ)**-მაგადელნა რიბარიკოვა (სლოვაკ) 4:6, 6:1, 14:12; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ანა ტატიშვილი (საქ) 6:3, 6:3; **ანიკა ბეკი (გერ)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 28) 6:2, 6:7(7), 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 20)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:1, 7:5; **იანა ჩეპელოვა (სლოვაკ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:2, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-რებეკა მარინო (კან) 6:3, 6:0; **მარია კირილენკო (რუს, 14)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 6:2; **კიმიკო დატე (იაპ)**-ნადია პეტროვა (რუს, 12) 6:2, 6:0; **შაარ პეერი (ისრ)**-ალექსანდრა პანოვა (რუს) 6:4, 1:6, 6:3; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-მარია-ტერეზა ტორრო-ფლორი (ესპ) 2:6, 6:4, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 17)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 7:6(4), 6:4; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 29)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:1, 6:1; **კარისტინა მლადენოვიჩი (საფ)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 6:3, 4:6, 11:9; **ლორა რობსონი (ბრიტ)**-მელანი იუდინი (აშშ) 6:2, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:4, 2:6, 6:2.


ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608